

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი  
გეოგრაფიის დეპარტამენტი  
რეგიონული გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრა

**გიორგი დათუკიშვილი**

**საქართველოში მემცენარეობის (მემომდგრეობის) განვითარების ისტორიულ-  
გეოგრაფიული თავისებურებანი  
(ივ.ჯავახიშვილის მიხედვით)**

**ს ა მ ა გ ი ს ტ რ ო ნ ა შ რ ო მ ი**

ხელმძღვანელი:  
ასოც. პროფ. რობერტ მაღლაკელიძე

თბილისი, 2019

**სარჩევი**

შესავალი ----- 2

**თავი I. საქართველოს მეურნეობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი**

1.1. საქართველოს ბუნებრივი მრავალფეროვნება და მისი სამეურნეო გამოყენების ზოგადი თავისებურებანი -----	5
1.2. ბუნება და მეურნეობა შუა საუკუნეების საქართველოში -----	10
1.3. საქართველოს მეურნეობა მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასწყისში --	11
1.4. საქართველოს მეურნეობა სოციალიზმის ეპოქაში -----	12
1.5. საქართველოს ბუნებრივ-აგრარული პოტენციალი ივ. ჯავახიშვილის მიხედვით -----	13
1.6. საქართველოს ბუნებრივი პირობები და მეურნეობის თავისებურებანი - ისტორიული წყაროების მიხედვით -----	16

**თავი II. საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი**

2.1. სოფლის მეურნეობის ზოგადი ისტორიული მიმოხილვა -----	22
2.2. ბუნებრივი პირობები და სოფლის მეურნეობა ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მიხედვით -----	25

**თავი III. მემინდვრეობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი საქართველოში**

3.1. მემინდვრეობის კულტურა, მისი შემდგენლობა, რაობა და სივრცე -----	27
3.2. მარცვლეული კულტურების ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი --	27
3.3. მეხილეობის ისტორიულ - გეოგრაფიული თავისებურებანი -----	36
3.4. მებოსტნეობის ისტორიულ - გეოგრაფიული თავისებურებანი -----	45
3.5. მევენახეობა-მელვინეობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი -----	47
3.5.1. მევენახეობა-მელვინეობის მნიშვნელობა საქართველოსათვის -----	47
3.5.2. ტერასული მევენახეობა -----	51
3.5.3. საინგილოს ყურძნის ჯიშები -----	54
3.5.4. კახეთში გავრცელებული ყურძნის ჯიშები -----	54
3.5.5. შიდა ქართლში გავრცელებული ყურძნის ჯიშები-----	57
3.5.6. იმერეთში გავრცელებული ყურძნის ჯიშები -----	59
3.5.7. რაჭული ყურძნის ჯიშები -----	61
3.5.8. სამეგრელოში შერჩენილი ყურძნის ჯიშები -----	62
3.5.9. გურიაში შერჩენილი ყურძნის ჯიშები -----	64
3.7.10. აჭარული ყურძნის ჯიშები -----	66

**თავი IV. სოფლის მეურნეობის ზონალური სპეციალიზაციის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი**

4.1. სასოფლო-სამეურნეო არეალები ძველ საქართველოში -----	67
4.2. სასოფლო - სამეურნეო კულტურების გავრცელების თავისებურებანი ----	70
4.3. სოფლის მეურნეობის ზონალობის ეკონომიური მნიშვნელობა -----	72
დასკვნები -----	73
გამოყენებული ლიტერატურა -----	75

## შესავალი

### თემის აქტუალობა

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება თითქმის სტიქიურად მიმდინარეობს. ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად იმორტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარს აღწევს, ხოლო დასახელება მოიცავს თითქმის ყველა სახეობას - ბოსტნეულს, ციტრუსებს, მარცვლეულს, მესაქონლეობის პროდუქციას და სხვ.

თანამედროვე საქართველო აგრარული ქვეყანაა, რომლის სამეურნეო ტრადიციები ათასწლეულებს ითვლის. საქართველო ცნობილია არა ერთი სახეობის კულტურული მცენარის სამშობლოდ, რაც საქართველოს მოსახლეობის მაღალ სამეურნეო ტრადიციებზე და გამოცდილებაზე მიუთითებს.

თანამედროვე სოფლის მეურნეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმ ტრადიციების და გამოცდილების ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინება, რასაც ეფექტურად იყენებდა ქართველი მეურნე. ამგვარი გამოცდილების ყველაზე სრულყოფილი აღწერა მოცემულია ივ.ჯავახიშვილის ნაშრომებში, კერძოდ „საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში“.

### ნაშრომის მიზანი

ნაშრომის მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებების ანალიზი ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის“ მიხედვით.

### ნაშრომის სამეცნიერო მნიშვნელობა

ნაშრომის სამეცნიერო მნიშვნელობა უკავშირდება საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებების წარმოჩენას ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის“ მიხედვით, რაც დღემდე არ განხორციელებულა. აღნიშნული კვლევა, გეოგრაფიული თვალსაზრისით, მრავალმხრივია საყურადღებო. მასში მოცემულია უმნიშვნელოვანესი ცნობები საქართველოს მოსახლეობის აღწერების მეთოდოლოგიის, დემოგრაფიული ვითარების, სასოფლო და საქალაქო დასახლებათა, ადმინისტრაციული დაყოფის (სადროშოების), სოციალური წყობის, ფინანსური ინსტიტუტების და ურთიერთობების, აღებ-მიცემობის, მეურნეობის ტიპების და გეოგრაფიული ნომენკლატურის შესახებ.

ივ. ჯავახიშვილი საინტერესო ცნობებს გვაწვდის მეურნეობის განვითარების გეოგრაფიული თავისებურებების, არაერთი კულტურული მცენარის გავრცელების, ზრდა-განვითარებასთან დაკავშირებულ აგროლონისძიებებისა და აგროტექნიკური საშუალებების შესახებ. მაგალითად, დღეს საქართველოში პრაქტიკულად მივიწყებულია ბამბისა და ბრინჯის წარმოების გამოცდილება. არადა, საქართველოში ბამბა უძველესი დროიდან მოჰყავდათ. დადგენილია, რომ ადრე შუა საუკუნეებიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე მას საექსპორტო დანიშნულება გააჩნდა. დღეს ბამბა და ბრინჯი საერთოდ აღარ იწარმოება საქართველოში, და ათასობის ტონა იმპორტირდება მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნიდან.

აღსანიშნავია ისიც, რომ ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში“ ასევე განხილულია არაერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის არეალი და ზონა, რაც ეფუძნება ვახუშტი ბაგრატიონის ფუნდამენტურ ნაშრომს - „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ამგვარი ვითარება კიდევ უფრო ზრდის მისი გეოგრაფიული ანალიზის სამეცნიერო მნიშვნელობას.

### **ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა**

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ნათელი წარმოდგენის შექმნა მიწათმოქმედების იმ დარგებზე, რომლებსაც წარმატებით მისდევდნენ ჩვენი წინაპრები. წარსული გამოცდილების გათვალისწინება კი, ჩვენი აზრით, თანამედროვე სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

### **ნაშრომის სტრუქტურა**

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. **პირველ** თავში განხილულია საქართველოს მეურნეობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი, **მეორე** თავში - საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი, **მესამეში** - მემინდვრეობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი, და **მეოთხე** თავში - სოფლის მეურნეობის ზონალური სპეციალიზაციის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი.

## I თავი. საქართველოს მეურნეობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი

### 1.1 საქართველოს ბუნებრივი მრავალფეროვნება და მისი სამეურნეო გამოყენების ზოგადი თავისებურებანი

საქართველოს ბუნებრივი მრავალფეროვნება გამორჩეულია მსოფლიოში, განსაკუთრებით კი სუბტროპიკულ და ზომიერ სარტყელში. აქ შვიდ ათეულზე მეტი ბუნებრივი ლანდშაფტია წარმოდგენილი, დაწყებული ნოტიო სუბტროპიკული ან სემიარიდული ნათელი ტყეებით, დამთავრებული ჭარბტენიანი და ნივალური ლანდშაფტებით. ამგვარი მრავალფეროვნება რამდენიმე ფაქტორს უკავშირდება, რომელთაგან მნიშვნელოვანია: გეოგრაფიული მდებარეობა (ტროპიკული და ზომიერი სარტყლის მიჯნაზე), სიმაღლებრივი სარტყლოვნობა (ზღვის დონიდან 5200 მეტრამდე) და ტერიტორიის სამეურნეო გამოყენების რამდენიმე ათასწლოვანი ისტორია.

საქართველო მსოფლიოში ასევე გამოირჩევა „პირველადი“ ხელუხლებელი ბუნებრივი გარემოს (ტერიტორიების) მაღალი ხვედრითი წილით, რაც ქვეყნის ფართობის 14%-ზეა წარმოდგენილი. ბუნებრივი გარემო ხელუხლებელი სახით გვხვდება როგორც დაცულ ტერიტორიებზე, ისე მაღალმთიანი და რთული რელიეფის პირობებში.

ცოცხალი სამყაროს სახეობათა რაოდენობის, ენდემიზმის და ბიომრავალფეროვნების მიხედვით საქართველო ევროპის ქვეყნების ხუთეულში შედის, რაც მკაფიოდ მეტყველებს მისი ბუნებრივი გარემოს მრავალფეროვნებაზე და განუმეორებლობაზე.

მცირე ფართობის მიუხედავად, საქართველოს კლიმატი ძალიან **მრავალფეროვანია**. მის ჩამოყალიბებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას: გეოგრაფიული მდებარეობა, თბილი შავი ზღვის სიახლოვე, რელიეფის ფორმები და ადგილის სიმაღლე, ატმოსფეროს ცირკულაცია და ქვეფენილი ზედაპირის ხასიათი.

საქართველოს ჰავის თავისებურებებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს **კლიმატური ბარიერები**. ამ მხრივ აღსანიშნავია კავკასიონი, რომელიც აფერხებს ჩრდილოეთის ცივი ჰაერის მასების შემოდგომას საქართველოს (და, საერთოდ, სამხრეთ კავკასიის) ტერიტორიაზე. ამასთან, მიმართულებას უცვლის ჰაერის მასებს, რომლებიც შემოვლით აღწევენ საქართველოში. ისინი გაივლიან შავ ზღვაზე და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ბარის თბილ ზედაპირზე, რის გამოც საქართველოს ტერიტორიაზე შედარებით გამთბარი ჰაერის მასების სახით ვრცელდებიან. ამის გამოა, რომ აქ ჰაერის ტემპერატურა გაცილებით მაღალია, ვიდრე იმავე განედებზე მდებარე მეზობელ სახელმწიფოებში. სწორედ კავკასიონი განაპირობებს იმას, რომ მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთით მდებარე ტერიტორია სუბტროპიკულ სარტყელშია მოქცეული, მისგან ჩრდილოეთით კი – ზომიერ სარტყელში. მეორე უმთავრესი კლიმატური ბარიერი ლიხის ქედია, რომელიც ნოტიო სუბტროპიკებს გამოყოფს მშრალი სუბტროპიკებისგან.

საქართველოს ტერიტორიაზე **ჰაერის ტემპერატურა** ადგილის სიმაღლის ზრდის შესაბამისად იცვლება. სიმაღლის ყოველ 100 მეტრზე აქ ტემპერატურა 0,2-0,9°-ით ეცემა. ჰაერის ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა მინიმალურია შავი ზღვის სანაპიროზე და 16-17°-ს შეადგენს, ხოლო მაქსიმალური – სამხრეთ-აღმოსავლეთ

ნაწილში (ელდარის დაბლობზე, 26-27°ჩ). მაღალ მთებში წლიური ამპლიტუდა 2-5°ჩ-ს არ აღემატება.

**ატმოსფერული ნალექების** წლიური რაოდენობა საქართველოს ტერიტორიაზე 350-4000 მილიმეტრის ფარგლებში მერყეობს: მინიმალურია ელდარის ვაკეზე (აღმოსავლეთი საქართველო), ხოლო მაქსიმალური – მთა მტირალაზე (დასავლეთი საქართველო). ცალკეულ წლებში მთა მტირალაზე მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 5000 მილიმეტრსაც აღემატებოდა, რაც უდიდესი მაჩვენებელია ევროპაში.

საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები, განსაკუთრებით კი ჰავის მრავალფეროვნება, განაპირობებს **კლიმატური რესურსების** განსხვავებულ განაწილებას როგორც დასავლეთიდან აღმოსავლეთის, ისე ვერტიკალური ზონალობის მიმართულებით. ჰავის მრავალფეროვნება აგროკლიმატურ რესურსებში აისახება, რაც მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების წინაპირობაა.

გამოიყოფა **5 ძირითადი აგროკლიმატური ზონა**, რომლებიც ერთმანეთისგან აქტიურ ტემპერატურათა ჯამით (10<sup>0</sup>ჩ-ზე მაღალი ტემპერატურების წლიური კრებადობა), ნალექების რაოდენობით, სიმშრალის ინდექსით, ყინვიან დღეთა რიცხვით, ექსტრემალურ ამინდთა ტიპებით და სხვა აგროკლიმატური მაჩვენებლებით განსხვავდებიან.

**I აგროკლიმატური ზონა** მოიცავს საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლს, კოლხეთის დაბლობს, ალაზნის ველის და ქვემო ქართლის ვაკის ნაწილს. იგი ხასიათდება ჰაერის საკმაოდ დიდი ტენიანობით (80-85 პროცენტი და მეტი), აქტიურ ტემპერატურათა ჯამის (4200-4600<sup>0</sup>ჩ), სავეგეტაციო პერიოდში ატმოსფერული ნალექების (500-1500 მილიმეტრი), ჰიდროთერმული კოეფიციენტის (1.5-4.0), უყინვო პერიოდის (წლის 60-80 პროცენტი) მაღალი მაჩვენებლებით. აგროკლიმატური ზონის ფარგლებში კარგად ვითარდება სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები: კივი, ასევე – ვაზი, მარცვლეული, ხეხილოვანი, ბოსტნეული და სხვა კულტურები.

**II აგროკლიმატური ზონა** მოიცავს დასავლეთ საქართველოს მთისწინებს და აღმოსავლეთ საქართველოს მთათა შორისი ბარის ძირითად ნაწილს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 3000-4000<sup>0</sup>ჩ-ს. სავეგეტაციო პერიოდში ატმოსფერული ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში 800-1200, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – 400-600 მილიმეტრია. ჰიდროთერმული კოეფიციენტი მერყეობს 3.5-დან (დასავლეთ საქართველო) 1.0-მდე (აღმოსავლეთ საქართველო). უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა წლის მანძილზე საშუალოდ 70 პროცენტია. ზონის ფარგლებში განვითარებულია მემარცვლეობა (საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბალი, სიმინდი), მეხილეობა, მევენახეობა, მეკარტოფილეობა, მებაღიეობა და სხვა.

**III აგროკლიმატური ზონა** მოიცავს საქართველოს დაბალი და საშუალო მთების ნაწილს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 2000-3000<sup>0</sup>ჩ -ს, სავეგეტაციო პერიოდში ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 400-1200 მილიმეტრია, ჰიდროთერმული კოეფიციენტი კი – 2.0-3.0. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა საშუალოდ წლიურის 50-60 პროცენტს შეადგენს. ზონაში სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან შესაძლებელია მარცვლეულის (ხორბალი, ქერი, სიმინდი), კარტოფილის, ბოსტნეულის და ზოგიერთი ხეხილოვანი კულტურის წარმოება.

**IV აგროკლიმატური ზონა** საქართველოს საშუალო მთებში და სამხრეთ საქართველოს ვულკანურ პლატოებზე ვრცელდება. ჰაერის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 2000<sup>0</sup>ჩ-ზე ნაკლებს, სავეგეტაციო პერიოდში ატმოსფერული ნალექების ჯამი 160-170 მილიმეტრია, ჰიდროთერმული კოეფიციენტი კი 2.5-3.0. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა საშუალოდ წელიწადში 40 პროცენტს შეადგენს. ზონაში შესაძლებელია ქერის, შვრიის, კარტოფილის, ბოსტნეული და კენკროვანი კულტურების წარმოება.

**V აგროკლიმატური ზონა** მაღალ მთებს მოიცავს და მთელ საქართველოშია წარმოდგენილი. ჰაერის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 1000-1100<sup>0</sup>ჩ. სავეგეტაციო პერიოდში ატმოსფერული ნალექები 200-370 მილიმეტრია. ჰიდროთერმული კოეფიციენტი მერყეობს 2.5-3.5 ფარგლებში. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა საშუალოდ წელიწადში 20-30 პროცენტს შეადგენს. ზონაში თითქმის შეზღუდულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება. არსებული კლიმატური რესურსები შერის, ქერის, ზოგიერთი ბოსტნეული, კენკროვანი კულტურების და საადრეო კარტოფილის ჯიშების წარმოების განვითარების საშუალებას იძლევა (ნელიზბარაშვილი, 2011).

საქართველოს **ნიადაგური საფარის** მრავალფეროვნება განპირობებულია ბუნებრივი ფაქტორების – გეოლოგიური აგებულების, კლიმატის, რელიეფის და ცოცხალი სამყაროს ურთიერთდამოკიდებულებით. აქ წარმოდგენილია ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული როგორც ჭაობისა და ნახევარუდაბნოს, ისე მთისა და ბარის ნიადაგების ათეულობით ტიპი.

საქართველოში **სასოფლო-სამეურნეო** დანიშნულების მიწები ტერიტორიის 2/5-ზე მეტს შეადგენს, ტყეებით დაფარულია თითქმის ამდენივე, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო მიწებს (ჭაობები, ბუჩქნარები, სამრეწველო ობიექტები, ქალაქები და სხვ.) ტერიტორიის 14 პროცენტი უკავია. რაოდენობრივად სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ყველაზე მეტია კახეთში, ყველაზე ნაკლები კი – აჭარაში. სასოფლო მიწების 1/4 სახნავია, რითაც მდიდარია კახეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი; ღარიბია – აჭარა, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი. ამგვარი მიწების 1/10 მრავალწლიან კულტურებს, 2/3 – საძოვრებს, ხოლო დანარჩენი სათიბებს უკავია (საქართველოს გეოგრაფი, 2000).

საქართველოში ასევე ძალიან მაღალია ე.წ. გენეტიკური და **აგრობიომრავალფეროვნების** ხარისხიც. უძველესი სამიწათმოქმედო კულტურის ქვეყანაში, კულტურული მცენარეების გამოსაყვანად, ოდითგან იყენებდნენ ველურ მცენარეთა მდიდარ გენოფონდს. აქ ვაზის 500-მდე უნიკალური ჯიშია გამოყვანილი. ამის გარდა, საქართველოს მსოფლიოში ხორბლის წარმოშობის ერთ-ერთ ცენტრად მიიჩნევენ. მსოფლიოში ცნობილი მისი 29 სახეობიდან საქართველოში აღწერილია 14, რომელთა შორის 5 სახეობა ენდემურია. მათი „ველური წინაპრებისაგან“ გამოყვანილი ხეხილის მრავალი ადგილობრივი ჯიში საქართველოს ტყეებში დღესაც ხარობს.

საქართველო **ღვინის სამშობლო** და მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი კერაა მსოფლიოში. ამის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს ყველა კუთხეში მიმოხვეული უამრავი არქეოლოგიური მასალა, მათ შორის – მიწაში ჩაფლული ვაზის ფურცლის ანაბეჭდები, ყურძნის წიპწები, ქვევრები, ღვინის სასმისები, ვაზის მოვლის იარაღები და სხვ. ყურძნის წიპწების დღემდე შემორჩენილი უძველესი ნიმუში 7 ათასი წლით თარიღდება (ქსე.ტ.7).

**ანტიკური ხანის** არაერთ თხზულებასა და დოკუმენტშია აღწერილი საქართველოში ღვინის დაყენებისა და მოხმარების მაღალი კულტურა. ამაზე მოგვითხრობს პომპროსის „ოდესეა“ (ძვ.წ. VIII ს.), აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“ (ძვ.წ III ს.), სტრაბონისა (ძვ. III-II ს.) და ქსენოფონტეს (ძვ. V ს.) თხზულებები. დადასტურებულია, რომ **ტერმინი „ღვინო“** სხვა ენებში სწორედ ქართულიდან შევიდა. ამ ფაქტს მრავალი სწავლული ადასტურებს. ამაზე მიგვანიშნებს მდიდარი ამჟღავნოვანი ქართული ტერმინოლოგიაც. ვაზს და ღვინოს უკავშირდება გეოგრაფიული ტოპონიმების სიმრავლეც: ვაზიანი, ვაზისუბანი, მარანი, მარანჭალა, კენახისჭალა, ნავენახევი და მრავალი სხვა. საინტერესოა ისიც, რომ ძველად



საქართველოში ვაზის (მევენახეობის) გავრცელების მიხედვით ატარებდნენ საზღვარს მთასა და ბარს შორის (საქართველოს გეოგრაფია, 2000).

საქართველოს ტყეებში დღემდე შემორჩენილია ვაზის არაერთი **გაველურებული ჯიში**. საქართველო ასევე განთქმულია კულტურული ვაზის აბორიგენული ჯიშების ისეთი სიმრავლით, რაც მსოფლიოს არც ერთი ქვეყნისათვის არ არის დამახასიათებელი.

ვაზი უდიდეს როლს ასრულებდა და ასრულებს ქართველი კაცის ცხოვრებაში. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენი ხალხის სამეურნეო კულტურასა და ტრადიციებთან. ძნელბედობის უამს მოსახლეობას ყურძნით, ღვინით, ჩურჩხელით, ჩამინით და სხვა პროდუქტით გაჰქონდა თავი. ლაშქრობაში მეომრებს, როგორც წესი, თან მიჰქონდათ მეტად ნოყიერი და მარგებელი ჩურჩხელა. არსებობს ასეთი გამოთქმაც: „სანამ ვაზი ცოცხლობს, საქართველო ცოცხალიაო.“ ვაზი ქართველი კაცის მატერიალური სიძლიერის მაჩვენებელიც იყო. პურ-ღვინით ფასდებოდა ამა თუ იმ კუთხის, თემის თუ ოჯახის კეთილდღეობა.

ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ, როდესაც იესო ქრისტეს მოციქულებმა – ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა საქართველოში იქადაგეს, ღვინო საეკლესიო რიტუალების განუყრელი ნაწილია. ამას ადასტურებს ეკლესია-მონასტრების გარშემო ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი საღვინე ჭურჭელი. აქვე აღმოჩენილია ჩვ.წ.-მდე IX-VII სს. დათარიღებული ღვინის მსმელი კაცის ფიგურა, რომელიც ნაყოფიერების სიმბოლოცაა.

ქართულ ეკლესია-მონასტრებში დღესაც შეხვდებით უძველეს მარნებსა და საწნახელებს. აღსანიშნავია ნეკრესში აღმოჩენილი IV საუკუნის მარანი, იყალთოს სამონასტრო კომპლექსის ღვინის ქარხნის ნაშთები, ალავერდის კათედრალის უძველესი ორმოცქვევრიანი მარანი და სხვ. სამონასტრო ღვინის დამზადების ტრადიცია დღესაც გრძელდება. ისტორიული და არქიტექტურული თვალსაზრისით, აღსანიშნავია აღ. ჭავჭავაძის მამულში მდებარე XIX საუკუნეში აგურით ნაგები ენოთეკა უძვირფასესი ღვინოების კოლექციით. კოლექციის ყველაზე ძველი სასმელი – „პოლონური თაფლი“ 1814 წლით თარიღდება.

ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დასახლდა ადამიანი, რომლის ნასახლარები დღემდეა შემორჩენილი. გეოგრაფიული გარემოს ფაქტორი დიდ როლს ასრულებდა ანტიკური პერიოდის საქართველოს ისტორიაშიც. დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ამ თვალსაზრისით განსახვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თავდაცვისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით დასავლეთი საქართველო უკეთეს პირობებში იყო, რადგან კავკასიონის მთავარი ქედი, ლიხისა და მესხეთის ქედები სამი მხრიდან იცავდა კოლხეთს, დასავლეთიდან კი მას შავი ზღვა ეკვროდა. იბერია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ბუნებრივი ზღუდეებით დაუცველი იყო და უმეტესად სწორედ ამ მხარეებიდან ესეოდა ხოლმე მტერი.

სამაგიეროდ ბუნებრივი პირობები მიწათმოქმედების განვითარებისათვის აღმოსავლეთ საქართველოში გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე დასავლეთში. კოლხეთის მწირი ნიადაგები, ჰავის სინოტივე და ტერიტორიის დიდი ნაწილის ჭაობიანობა მნიშვნელოვნად ზღუდავდა მიწათმოქმედების გავრცელებას. ამიტომ მოსახლეობის სიმჭიდროვე და დასახლებულ პუნქტთა რაოდენობა აქ უფრო ნაკლები უნდა ყოფილიყო, ვიდრე იბერიაში. კოლხეთის აღმავლობასა და ეკონომიკურ-კულტურული კავშირის დამყარებას ანტიკურ სამყაროსთან დიდად შეუწყო ხელი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს კოლონიზაციამ ბერძნების მიერ.

## 12. ბუნება და მეურნეობა შუა საუკუნეების საქართველოში

შუა საუკუნეებში, ისევე როგორც ადრეულ პერიოდში, ბუნებრივი პირობების სხვადასხვაობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მეურნეობის განვითარებაში. კერძოდ, მძიმე გუთანი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში გავრცელდა, სადაც ნიადაგი ღრმა ხვნას მოითხოვდა. მომდევნო ეპოქებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოში სიმინდისა და ლობიოს მასიურ გავრცელებას. დასავლეთ საქართველოს ტენიანი ჰავა და არცთუ ნაყოფიერი ნიადაგი სწორედ ამ კულტურებისთვის იყო შესაფერისი. მათ თითქმის მთლიანად გამოაძევეს ღომი და ხორბალი, რომლებიც გაცილებით მეტ ფართობს ითხოვდა და ბუნებრივი პირობების მიმართაც უფრო მომთხოვნი იყო. აღმოსავლეთ საქართველოში ხორბალმა შეინარჩუნა წამყვანი როლი, რადგან აქაური მშრალი ჰავა (ურწყავი მიწათმოქმედების პირობებში) ხელსაყრელი არ იყო სიმინდისათვის. ფართოდ ვერც კარტოფილი გავრცელდა, რადგან ის უფრო ცივ ადგილებში ხარობს და საქართველოს ბარის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ კულტურისათვის მაინცდამაინც ხელსაყრელი არ აღმოჩნდა.

კიდევ უფრო დიდი განსხვავება იყო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით საქართველოს მთისა და ბარის რაიონებს შორის. საქართველოს მთის არაერთ პროვინციაში, რელიეფის გამო, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ბორბლის (ურმის) გამოყენება. უმეტესწილად კი დასამუშავებლად ვარგისი მიწების სიმცირემ განაპირობა მთის ეკონომიკური ჩამორჩენილობა ბართან შედარებით. ამის გამო საქართველოს ბარში ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე გაჩნდა ქალაქები და შეიქმნა მაღალი კულტურა, ხოლო მთა დარჩა პრიმიტიული მეურნეობის დონეზე. სამაგიეროდ, მთამ შეინარჩუნა მეომრული სული, არაჩვეულებრივად მდიდარი და მრავალფეროვანი მითოლოგია და ფოლკლორი. ეს განსაკუთრებით ეხება საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთს (კავკასიონის რეგიონს). მისგან განსხვავებით, სამხრეთ მთიანეთს უფრო ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობები ჰქონდა და ამიტომ ბართან შედარებით სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობა აქ დიდად არ იგრძნობოდა.

## 13. მეურნეობა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში

მძიმე ისტორიული პირობების გამო საქართველო საგრძნობლად ჩამორჩა დასავლეთ ევროპას. მან ისე სრულად ვერ შეძლო ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამოყენება, როგორც ევროპის ქვეყნებმა, რომლებმაც გამოიყენეს წყლისა და ქარის ენერჯია, განავითარეს ზღვაოსნობა და სხვ. ევროპისაგან განსხვავებით, საქართველოში კაპიტალიზმი ადგილობრივ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. იგი აქ, როგორც რუსეთის იმპერიის პერიფერიაში, რუსეთის ცენტრალური რაიონებიდან შემოვიდა. საქართველოს მეურნეობა იმპერიის ინტერესებს დაექვემდებარა და შესაბამისად, გარკვეული ცვლილებები განიცადა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ე.ი. იმ პერიოდიდან, როცა საქართველოში ფეხი მოიკიდა წარმოების კაპიტალისტურმა წესმა, იწყება დასავლეთ საქართველოს აღმავლობა. შავი ზღვის ნავსადგურები – ფოთი და ბათუმი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრები გახდა. ტყიბულის ქვანახშირის და ჭიათურის მარგანეცის საბადოების ექსპლუატაციაში შესვლამ საგრძნობლად შეცვალა რეგიონის სამეურნეო პროფილი. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა აქტიურად ჩაება მრეწველობასა და

ვაჭრობაში და ახალწარმოქმნილ ქართულ ბურჟუაზიაში მან ძირითადი ადგილი დაიკავა.

აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა უფრო ინერტული აღმოჩნდა და ძირითადად ტრადიციული მეურნეობის ერთგული დარჩა (მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის პოლიტიკური ცენტრი – თბილისი, რომელიც ბაქოს შემდეგ მეორე სამრეწველო ქალაქი იყო იმპერიის ამ რეგიონში, სწორედ აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს). თბილისის ქართული მოსახლეობის ზრდა ძირითადად დასავლეთ საქართველოდან მიგრაციის ხარჯზე ხდებოდა. ეს უფრო ინტენსიური გახდა საქართველოში რკინიგზის მშენებლობისა და განსაკუთრებით სურამის ქედში გვირაბის გაყვანის შემდეგ, რომელმაც მჭიდროდ დააკავშირა ქვეყნის ორი ნაწილი.

1872-1883 წლებში სარკინიგზო კავშირი დამყარდა თბილისს-ფოთს-ბათუმსა და თბილისს-ბაქოს შორის. XIX ს. ბოლო მეოთხედში საქართველოში გაიხსნა ბევრი ფაბრიკა-ქარხანა თუ კუსტარული (წვრილი) საწარმო. განვითარდა მოპოვებითი (1879 წლიდან ჭიათურის მანგანუმის), კვებისა და მსუბუქი მრეწველობები. აღნიშნულ პერიოდშივე თბილისში აშენდა თუჯჩამომსხმელი და სახერხი ქარხნები, ბამბისა და თამბაქოს ფაბრიკები, განახლდა რკინის მადნის დამუშავება (ჩათახი, ფოლადაურის ხეობა), ჩაისახა მინის (სოფ. ღვარები, გორის რაიონი) წარმოებაც. სასიკეთო ძვრები აღინიშნა სოფლის მეურნეობაშიც. საქართველოს ცალკეულ მაზრებში მოწეული პურისა და ღვინის ერთი მეოთხედი ბაზარზე გადიოდა. მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო კავშირის დამყარებამ ბიძგი მისცა ისეთი დარგების განვითარებას, როგორცაა მეაბრეშუმეობა, მებამბეობა, მეთამბაქოეობა და სხვ. სწრაფად ვითარდებოდა საგარეო ვაჭრობა. თბილისი თანდათანობით იქცნა როგორც საქართველოს, ისე კავკასიის კულტურულ-ეკონომიკური და ადმინისტრაციული ცენტრის მნიშვნელობას.

საქართველოს ეკონომიკა XX საუკუნის დასაწყისში ძირითადად აგრარული იყო. აღნიშნულ პერიოდში წარმოების საშუალებათა საკუთრების რამდენიმე ფორმა არსებობდა. კერძოდ, სოფლის მეურნეობაში ჭარბობდა წვრილგლეხური, ნატურალური მეურნეობა, ხოლო მრეწველობაში – კერძო საწარმოები. შემოსავალში სოფლისა და სატყეო მეურნეობის წილი 65%-ს, ხოლო მრეწველობის – 18%-ს აღწევდა. XX საუკუნის დასაწყისში მრეწველობის განვითარება აქტიურად მიმდინარეობდა. მას საქართველოში ხელს უწყობდა ევროპული ინვესტიციებისა და კერძო ბიზნესის აშკარა „ინტერვენცია“. უცხოელი ინვესტორები განსაკუთრებული მონდომებით „იღვწოდნენ“ ელექტროენერგეტიკის, მოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. საქართველოს საექსპორტო პროდუქციის დიდი ნაწილი რუსეთის ბაზრის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მზადდებოდა.

საქართველოში გასაბჭოებამდე იწარმოებოდა 300 ათას ტონაზე მეტი მარცვლეული, 550 ტონა ჩაის ფოთოლი, 80 ათას ტონამდე ყურძენი. მართალია, ზემომოყვანილი მაჩვენებლები არც ისე დიდია, მაგრამ იგი მიგვანიშნებს იმ პერიოდის ეკონომიკის აშკარა აღმავლობაზე..

#### **14. საქართველოს მეურნეობა სოციალიზმის ეპოქაში**

საქართველოს ეკონომიკის საბჭოური (სოციალიზმის) პერიოდი 1921-1990 წლებს მოიცავს. მისი დასაწყისი მეურნეობის ყველა დარგის მასობრივი, ხშირად ძალდატანებითი გასახელმწიფოებრიობით აღინიშნა. წვრილგლეხური მეურნეობისა და კერძო საწარმოების ბაზაზე თანდათან ყალიბდებოდა სახელმწიფო მეურნეობა, სახელმწიფო ვაჭრობა და სხვ. XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსათვის

საქართველოში წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრების ორი ფორმა დამკვიდრდა: სახელმწიფო და არასახელმწიფო (კოოპერაციულ-საკოლმეურნეო). სოციალიზმის პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობამ კარგად გამოხატული სუბტროპიკული სპეციალიზაცია შეიძინა. ჩვენი რესპუბლიკის ბევრი რეგიონი საკავშირო ინტერესებიდან გამომდინარე ვითარდებოდა. კახეთი და იმერეთი ძირითადად მევენახეობას მისდევდა, შიდა ქართლი – მეხილეობას, ქვემო ქართლი – საადრეო მებოსტნეობას, სამეგრელო, გურია, აჭარა და აფხაზეთი – მეჩაიეობასა და სუბტროპიკულ მეხილეობას. მარცვლეულის, ტექნიკური კულტურების (მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი და სხვ.) და მესაქონლეობის პროდუქციის უდიდესი ნაწილი იმპორტირებული იყო – შემოგვქონდა მოკავშირე რესპუბლიკებიდან. ამგვარი „სპეციალიზაციის“ უარყოფითი მხარე საბჭოთა იმპერიის ნგრევის დაწყებისთანავე გამოჩნდა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო თითქმის ვერ იყენებდა ხელსაყრელ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას.

ეკონომიკის სახელმწიფო „რელსებზე“ გადასვლას უარყოფითთან ერთად დადებითი მხარეებიც გააჩნდა. სოციალიზმის პერიოდში საქართველოში განვითარდა ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია, ტრანსპორტის არაერთი სახეობა. 1921-1990 წლებში საქართველოში 400-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო აშენდა და ამოქმედდა. მათგან 70-მდე ობიექტი თბილისში, 20-მდე ქუთაისში, 10-10-ზე მეტი სოხუმში, ბათუმში, გაგრაში, რუსთავსა და ზუგდიდში. გარკვეული რაოდენობა საწარმოებისა ამოქმედდა საქართველოს თითქმის ყველა ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტში. აღნიშნულ სამრეწველო ობიექტთა ერთი მესამედი კვების მრეწველობის დარგებს განეკუთვნებოდა, 60 ერთეულზე მეტი – საშენ მასალათა მრეწველობას.

საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში საქართველოში იქმნებოდა საბჭოთა კავშირის სამრეწველო პროდუქციის 1,4%, ელექტროენერჯის 0,9%, მანგანუმის მოპოვების 20%. საქართველოში იწარმოებოდა მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 1,7%, მათ შორის: ჩაის – 94%, ციტრუსების – 98%, ხილისა და ყურძნის – 9-9 პროცენტი (2).

### 1.5. საქართველოს ბუნებრივ-აგრარული პოტენციალი ივ. ჯავახიშვილის მიხედვით

ივ.ჯავახიშვილი (ტ.4-5, 1987) საქართველოს, მდებარეობის მიხედვით, ორ ნაწილად ყოფდა: ერთ ნაწილს მთა შეადგენდა, ხოლო მეორეს კი ბარი. „მიწა-წყლის ასეთი დანაწილება იმდენად ბუნებრივია, რომ სიტყვა მთა და ბარი ყველგან იხმარება და საბუთებშიც არის აღბეჭდილი. იმისდა მიხედვითაც, თუ მეურნეობის რომელი დარგისათვის იყო მიწა ბუნებითა, თუ მდებარეობით, ან და ნიადაგის თვისებით შესაფერისი და განკუთვნილი, თითოეულს თავისი აღმნიშვნელი ტერმინი ჰქონდა“ - აღნიშნავს დიდი ივანე..

ივ.ჯავახიშვილის მიხედვით, იმ ადგილს, რომელიც მოსახნავად იყო გამოსადეგი და გამოყენებული „სახნავ-სათესი“ ეწოდებოდა, ხოლო რომელიც საამისოდ გამოყენებული არ ყოფილა „უხნავი“ ერქვა. საქონლის გამოსაკვებად განკუთვნილ მიწას „სამოვარი“ ერქვა. სასამოვრე ადგილი ისეთ ადგილს ერქვა, რომელიც სამოვრად გამოდგებოდა, ან სამოვრად გადაქცევა შეიძლებოდა. სამოვარს გარდა, მიწა შეიძლება თივის მოსაგროვებლადაც ყოფილიყო განკუთვნილი.

ყოველი განიერი მეურნე მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი მიწის შერჩევას ცდილობს, რათა ხანგრძლივმა გამოცდილებამ ადამიანს ასწავლა, რომ ამა თუ იმ სამეურნეო დარგისათვის სხვადასხვა თვისების ნიადაგი და პირობებია საჭირო. ეს ძველად კარგად ესმოდათ და სწორედ ამის გამომხატველია ტერმინები, სახნავი, სათესი, სათიბი, სავენახე და სხვ. ამა თუ იმ სამეურნეო დარგისათვის მიწის ვარგობის გადასაწყვეტად მისი **ნიადაგისა და ბუნების თვისებათა** ცოდნა და გათვალისწინება იყო საჭირო. მიწათმოქმედმა ოდითგანვე იცოდა, რომ ზოგი მცენარეულობისა, თუ ბოსტნეულის, ან ხეხილის მოყვანა-გაშენებისათვის კარგი ნიადაგი აუცილებლად იყო საჭირო, ზოგი მცენარე კიდევ მჭლე ნიადაგზეც საუცხოოდ ხმარობდა. ამის წყალობით ნიადაგის თვისებათა დასახასიათებლად განსაკუთრებული ტერმინოლოგია შეიქმნა, რომლის ცოდნა ისტორიკოს-ეკონომისტისათვისაც საჭიროა.

ივ. ჯავახიშვილის არაერთხელ აღნიშნავს, რომ ყოველი ქვეყანა თავისი ნიადაგის, ჰავისა, წყლისა და ნაყოფიერების თვისების მიხედვით ფასდება. ამა თუ იმ ქვეყნის ათვისების დროს მთავარი ყურადღება იმას ჰქონდა მიქცეული, თუ რამდენად კარგად და უხვად შეეძლო მას მცენარეთა აღმოცენება (ივ. ჯავახიშვილი, 1987). ამას გარდა, „ნაყოფიერი ქვეყანა იმდენად ფასობდა, რამდენად კარგი და საღი ჰავა და საამო სასმელი წყალი მოეპოვებოდა. ამ ყველაფრით ადამიანს ცხოვრება უადვილდებოდა ამა თუ იმ სირთულეების მიუხედავად“.

უძველესი დროიდან დასავლეთ საქართველო, **კოლხეთი**, უაღრესად ნაყოფიერ და მდიდარ მხარედ ითვლებოდა. ამას გვიდასტურებს არგონავტების შესახებ ძველი თქმულებებიც ბერძენი ისტორიკოსების და გეოგრაფების დადასტურებით. მაგრამ კოლხეთის მიწა-წყლის დიდ ღირსებასთან ერთად, საქართველოს ამ ნაწილის ბუნებას თავისი დიდი ნაკლიც ჰქონდა. აქ მდებარეობდა ჭაობიანი მიდამო, სადაც ხშირი იყო წვიმები, ნოტიო და ტენიანი ქარები. ასევე აორთქლებული წყალი ხშირად ბურუსით ფარავდა არე-მარეს. ამის გამო ჰაერი აქ მძიმე და ნოტიო იყო. კოლხეთში ჰავა იშვიათად იცვლებოდა. აქ ქროდა სამხრეთის ქარი, ჩრდილოეთის გამაგრილებელი ქარი კი იშვიათად თავისი ნაკლები სიძლიერით. ამას ერთვოდა კენქრონად წოდებული ქარი, ადგილობრივი ქარი, რომელიც ცხელ და უსიამოვნო ქარად ითვლებოდა.

ბუნების ამგვარი პირობების გამო, ხალხს ჭაობიან ადგილებში უხდებოდა ცხოვრება. მათი ხის, ან ლერწმის დაწნული სახლებიც ჭაობში იდგა. ამიტომ ამ ადგილებში ფახით არ უხდებოდათ სიარული, არამედ ნავებით. ასეთ პირობებში სოფლის მეურნეობის გარკვეულ დარგებზეც საუბარიც კი ზედმეტი იყო. ხალხი ჭაობიან ადგილებში მოშხამულ წყალს სვამდა. ამ ყველაფერმა ადამიანი გარეგნულად შეცვალა - უფრო მაღალი და მსუქანი გახადა. ხმა უფრო დაუბოხა. კანის ფერი ყვითელი გაუხდა დაავადებების გამო. ქართველ ისტორიკოსებს (იგულისხმება ვახუშტი ბაგრატიონი), აღნიშნული აქვთ დასავლეთ

საქართველოს ყველა მათ ხელთ არსებული მანვე თვისება. მათი თქმით საქართველოს სხვა ნაწილებთან შედარებით აქ სენი ძალზედ მეტი და მძიმე თვისებებით გამოირჩეოდა. მაგრამ ყველა ამ უარყოფითი ცნობების გადაკითხვის დროს უნდა ახსოვდეს ადამიანს, რომ აქ საუბარი არ არის დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მრავლად გვხვდება უამრავი ვარგისიანი მიწა, რომელზედაც შეიძლება ვაწარმოოთ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა. მიუხედავად ყველაფისა, კოლხეთში იყო კარგი გამოსაზამთრებელი ადგილებიც, სადაც ადამიანს შეეძლო გამოზამთრება საქართველოს სხვა ნაწილებთან შედარებით უფრო უკეთ და ადვილად. ასევე მრავლად შევხვდებით საზაფხულო და საშემოდგომო ადგილებს, რომლებიც გამოირჩევა შავი ზღვის უნიკალური სანაპიროებით, სანადირო ადგილებით და ასე შემდეგ.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი, **მესხეთ-ჯავახეთი** გამოირჩევა ქედების სიუხვით და მაღალმთიანი რაიონებით. ეს მხარე უხვად დაჯილდოვებულია სასმელი წყლით. მრავლადაა მინერალური წყალი. ბუნების სიმშვენიერესთან ერთად ამ კუთხეს ჰავაც საუცხოო გააჩნია. აქ ხდება მზის სითბოს და სიცივის ზომიერი განაწილება. მაგრამ ასეთ შესანიშნავ კუთხესაც ჰქონდა თავისი ნაკლი. მეტისმეტად მაღალი და დაქანებულ-ფერდობებიანი მთების სიმრავლის გამო მესხეთ-ჯავახეთში ნაკლები იყო სასოფლო სამეურნეო საქმიანობისათვის გამოსადეგი მიწები, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით. მიუხედავად ამ პრობლემის გამო აქ განვითარებული არის სოფლის მეურნეობა. აქ მოჰყავთ კართოფილი, ქერი, ხორბალი, მწვანილი და სხვა. არის უნიკალური სამოვარი მდელოები საქონლისათვის. მაგრამ ამ კუთხის აღმოსავლეთ ნაწილი ძალიან ცივი არის. ზამთარში თოვლი უხვადაა და წლის უმეტესი ნაწილი ცივია ხოლმე.

აღმოსავლეთ საქართველოს შუაგული **ქართლი** და მისი მოსაზღვრე **კახეთი** შემოსაზღვრული არის მაღალი მთებით, უხვი მცენარეულობით და ორი დიდი მდინარით მტკვარით და ალაზნით. ეს ორი მდინარე მათ სარწყევ არტერიას წარმოადგენს უხსოვარი დროიდან მოყოლებული დღემდე. მტკვრის და ალაზნის გასწვრივ, ირგვლივ გადაჭიმული არის ველი, რომელიც გამოსადეგი არის სოფლის მეურნეობისათვის. ამ უნიკალურ ადგილას განლაგებული არის ქერის და პურის ყანები. ბაღ-ბოსტნები, ვენახები, ხილის ბაღები და სხვა. ეს ადგილი ძალზედ მნიშვნელოვანი არის საქართველოს როგორც ეკონომიკისთვის, ასევე ყველა აქ მცხოვრები ადამიანისათვის.

კახეთის და უმეტესწილად ქართლის ჰავის შედარებითი სიმშრალის მიუხედავად, ზოგან სინოტივე საგრძნობი არის. უმველესი დროიდან მოყოლებული ქართლ-კახეთი თავისი ნაყოფიერებით არის განთქმული. იგი დაჯილდოვებული იყო ბუნების უხვი სიკეთით. ტყეების წყალობით საუკეთესო ჰავა იყო. მაგრამ დროთა განმავლობაში მდინარის დონემ იკლო და სარწყავმა წყალმაც იკლო. ამიტომ ხშირი არის ახლა გვალვები, რაც უარყოფით

ზეგავლენას ახდენს სოფლის მეურნეობაზე. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ძველად ალაზანზე და მტკვარზე ნაოსნობა იყო გაჩარებული, მაგამ დროთა სვლამ როგორც ამ ორი მდინარის წყალუხვობა შთანთქა ასევე ნაოსნობაც. მდინარეები გარშემოტყმული იყო უხვი ტყით, მაგრამ დგეს აქ დასასახლებული ტერიტორიაა და განადგურდა ტყი მასივები (ივ.ჯავახიშვილი,1987).

თბილისის გარშემო გადაჭიმული იყო პირუტყვისათვის საჭირო სამოვარი მდელოები. ივრის სამოვარი საუცხოო და უნიკალურ საზამთრო სამოვარ ადგილს წარმოადგენს. მრავლად არის სათიბი მდელოები. მიუხედავად საუცხოო სათიბებითა და უნიკალური სანადირო ადგილებითა და ნაკრძალებით, ზაფხულში ამ მიდამოებში ყოფნა ძნელი არის, რადგან გადატიტვლევულ ველზე საშინლად ცხელა. გაცილებით მძიმე პირობებით არის გამორჩეული **გარეჯის უდაბნო**. აქ ყოფილა უხვად მწვანე მდელო, მაგრამ დროთა ცვლამ გააუდაბნოვა არე-მრე. ამიტომ აქ საცხოვრებელი სახსარი არსად მოიძებნება. ხშირია უწყლობა, ზამთარი კი ძალზედ სუსხიანი იცის.

ამგვარად, საქართველოს მიწა-წყალი უაღრესად მრავალფეროვანი და მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის გამოსადეგი იყო. ნოტიობის სიჭარბის გამო სარწყავი მიწები დასავლეთ საქართველოში არ იყო, ან ცოტა მოიპოვებოდა. პირიქით, აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგისა და ჰავის შედარებითი სიმშრალის გამო ბევრგან მიწის მორწყვა აუცილებელი იყო და სასოფლო მეურნეობაშიც სარწყავ-ურწყავ მიწებსა და სარწყავ რუებს აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული.

„მემინდვრობა“ სასოფლო მუშაობის უძველეს დარგს წარმოადგენს. თავდაპირველად ადამიანი მესაქონლეობას მისდევდა, მაგრამ დროთა განმავლობაში სასოფლო მეურნეობა მთავარ დარგად იქცა. ყოველივე ამას კი ესაჭიროებოდა მიწის დამუშავება. არსებობდა მრავალი სახნავი იარაღი, რომელიც ხნავდა მიწას. შემდგომ ხნული დასათესად მომზადდებოდა თუ არა, მიწისმოქმედი თესვას შეუდგებოდა. რათქმაუნდა ეს პროცესი ცოდნას მოითხოვდა, რაც მიწისმოქმედმა კარგად იცოდა (ივ.ჯავახიშვილი,1987).

## 1.6. საქართველოს ბუნებრივი პირობები და მეურნეობის თავისებურებანი - ისტორიული წყაროების მიხედვით

**ვახუშტი ბაგრატიონის** ნაშრომი „ლეოღრაფიული აღწერა საქართველოჲსა“ წარმოადგენს თავისი ეპოქის მეცნიერულ დონეზე დაწერილ ნაწარმოებს. ვახუშტიმ თავისი შრომით საქართველოს გეოგრაფიული წარმოდგენა სრულიად ახალ გზაზე დააყენა. მისი

აღწერა მთელი საუკუნის მანძილზე გეოგრაფიული ცოდნის ძირითად წყაროს წარმოადგენდა (ლ.მარუაშვილი, 1996).

ვახუშტი ბატონიშვილმა თავის მთავარ შრომაში აღწერა 800-მდე ოროგრაფიული ერთეული, მ.შ. ქედები, მასივები, ხეობები, ხევები და ვაკეები. აღწერა 440 მდინარე და 22 ტბა; რიგი მინერალი და მტკნარი წყარო. შრომაში კარგად არის აღწერილი ჰიდროგრაფიული ქსელი, განსაკუთრებით კი ქართლისა.

განიხილავს საქართველოს ტბებს და აღწერს: ლისის, კუმისისა და ლილოს ტბებს (თბილისთან), ტბისყურის (ტაბაწყურის), ფარავნის, კარწახის, სალამოს, ტალაშანისა (მადათა ფის) და ორმოზანის ტბებს (სამხრეთ საქართველო); იგი ასევე მოიხსენიებს პალიასტომის, ბაზალეთის, ერწოს ტბებსა და სხვ. შრომაში აღწერილია ქალაქები და სოფლები, ასევე მრავალი ნასოფლარ-ნაქალაქარი. ვახუშტიმ შრომაში დეტალურად განიხილა საქართველოს ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, ეკონომიკა და კულტურა. მის რუკებზე კი დაწვრილებით აისახა ჰიდროქსელი, რელიეფი და სხვ. იგი ახასიათებს სარტყლორობას, ამასთანავე ცდილობს.

ვახუშტი ბატონიშვილმა აღწერა ასევე საქართველოს ნიადაგების გეოგრაფიული გავრცელება. საფუძვლიანად შეისწავლა ნიადაგურ-რელიეფური სამეურნეო-ეკონომიკური თავისებურებანი და ამასთანავე, ნიადაგების მოსავლიანობისა და ნაყოფიერების მიხედვით, საქართველო 5 სამეურნეო ზონად დაყო. ვახუშტი ფრიად საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოს მღვიმე-გამოქვაბულების შეასახებ. ადგენს მათ მდებარეობას, დანიშნულებას და სხვ. ვახუშტი გვევლინება როგორც მსოფლიო დონის კარტოგრაფი, რომელმაც საკმაოდ ღრმა კვალი დაამჩნია ქართული კარტოგრაფიის აზროვნების ისტორიას.

ვახუშტი ბატონიშვილმა შეადგინა საქართველოსა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ორი ქართული გეოგრაფიული ატლასი, რომელიც წარმოადგენს კავკასიის ერთი ნაწილის პირველ დეტალურ, საკმაოდ მსხვილმასშტაბიან და თავისი დროისათვის ზუსტ კარტოგრაფიულ გამოსახულებას. თავის პირველი ატლასი მან 1735 წელს შექმნა და იგი წარმოდგენილი იყო 8 რუკით (რომელთა ნაწილი დაკარგულია)...

თავის მეორე ატლასი ვახუშტიმ 1742-1743 წწ. შეადგინა, და იგი თავის მხრივ, 19 რუკისაგან შედგებოდა. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელი, პირველ ატლასთან შედარებით, უფრო სრულყოფილი და დახვეწილი გამოდგა. რუკებზე გამოსახა ჰიდროქსელი, რელიეფი, ქალაქები, თვალსაჩინო ნაგებობანი და სხვ. ვახუშტის ნაშრომები იმთავითვე შეაფასეს მოწინავე ევროპელმა კარტოგრაფებმა და იგი გამოყენებულ იქნა XVIII საუკუნეში შედგენილი მთელი რიგი ევროპული რუკებისათვის.

ვახუშტიმ საქართველო დაყო მთისა და ბარის განსხვავების ნიშნით და იგი *ბარის რაიონებს* აკუთვნებდა ისეთ ტერიტორიებს, სადაც გაბატონებული იყო მევენახეობა-მეხილეობა, ხოლო ტერიტორიებს, სადაც არ იყო განვითარებული აღნიშნული დარგები, *მთის ზონას* მიაკუთვნებდა.



გარდა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობებისა, ვახუშტის ნაშრომში ფრიად მდიდარი ინფორმაცია მოიპოვება ბოტანიკის, ზოოგეოგრაფიისა და გეოლოგიის შესახებ. ვახუშტი საგანგებოდ განიხილავს საქართველოს მცენარეულს საფარს, ამასთანავე მცენარეებს ყოფს *კულტურულ* და *ველურ* ზონებად. მის ცნობილ შრომაში, პირველად იყო განხილული მცენარეული საფრის კლასიფიკაციის მეცნიერული ცდა და მათი გეოგრაფიული გავრცელება. ვახუშტი გვევლინება ასევე როგორც საქართველოში ზოოგეორაფიული კვლევის ფუძემდებელი, რომელმაც საქართველოს ფაუნა დაწვრილებით აღწერა და განიხილა იგი ცალკეული მხარეების მიხედვით. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ნაშრომში მოცემულია სისტემატიკის პრინციპები, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ვახუშტი გვევლინება ასევე როგორც საქართველოში ზოოგეორაფიული კვლევის ფუძემდებელი, რომელმაც საქართველოს ფაუნა დაწვრილებით აღწერა და განიხილა იგი ცალკეული მხარეების მიხედვით. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ნაშრომში მოცემულია სისტემატიკის პრინციპები, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ასევე **სტრაბონი**, რომელსაც საკმაოდ აქვს თავის ნაწარმოებში მოცემული აქვს მნიშვნელოვანი ფაქტები კოლხეთის, იბერიის ალბანეთის, სომხეთის შესახებ. თ. ყაუხჩიშვილი წიგნში "სტრაბონის გეოგრაფია" (1957წ.) წერს - სტრაბონის ცნობით "კოლხები მოხსენებულნი არიან არა იბერია - ალბანიის გაყოლებაზე, არამედ უფრო სამხრეთით - არმენიის გასწვრივ (სტრაბ. 11.5.28).

სტრაბონის შემდგომ საყურადღებო გეოგრაფიული ცნობები არაბი და სპარსელი გეოგრაფების თხზულებებშია. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ისტაჰრის, ზაქარია ყაზვინისა და ჰამდალლაჟ ყაზვინის ნაშრომები.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული დასავლეთი ევროპის დესპანების და სხვადასხვა მოგზაურების ჩანაწერები გარკვეულ ინფორმაცია გვაწვდის საქართველოს შესახებ.

მეთხუთმეტე საუკუნიდან საკმაოდ ცნობები მოგვეპოვება იტალიელ მოგზაურთა და დესპანების ნაშრომებში. ესენი იყვნენ: იოსაფა ბარბარო, ამბროჯიო კონტარინი და ანჯიონლელო მარია. 1636-1663 წლებში ფრანგი მოგზაური ტავერნიე ექვსჯერ იყო აღმოსავლეთში და წიგნიც კი გამოაქვეყნა, საიდანაც ქართველებისათვის საინტერესო ადგილები აღ. ჭყონიამ თარგმნა და დაბეჭდა სათაურით „ტავერნიეს მოგზაურობიდან მე-18 საუკუნეში“ („მომამბე“ 1898 წ. #6). მნიშვნელოვანია ასევე ფრანგი ვაჭრისა და მოგზაურის შარდენის მოგზაურობის აღწერა.

1686 წელს შარდენი მისი განთქმული "მოგზაურობის" პირველ ნაწილს აქვეყნებს. მისი ნამუშევარი დასრულებული სახით მხოლოდ 1711 წელს იბეჭდება ამსტერდამიდან, თვალისმომჭრელი სათაურით "Voyages de monsieur le chevalier Chardin en Perse et autres lieux de l'orient" (ქართ.: "ბატონი რაინდი შარდენის მოგზაურობები სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა მიწებზე").

თხზულების "მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში" გარკვეული ნაწილი საქართველოს ეხება, სადაც მან 1672-1673 იმოგზაურა. მან მოიარა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო, ვრცლად აღწერა საკუთარი თვალთ ნანახი უამრავი ფაქტი და მოვლენა, პირადი შთაბეჭდილებები შეავსო საქართველოს წარსულის შესახებ ცნობით, რომლებიც ამოკრიბა ბერძენ, რომაელ და სპარსელ ისტორიკოსთა თხზულებებიდან და წინამორბედ ევროპელ მოგზაურთა და მისიონერთა ჩანაწერებიდან. აქვე ვხვდებით ძველი თბილისის პირველ გრაფიკულ ჩანახატს, რომელიც შარდენის თანამგზავრის მხატვარ გრელოს მიერ უნდა იყოს შესრულებული. "მოგზაურობის" ეს ნაწილი იმითაც არის საინტერესო, რომ მასში ჩართულია ამ პერიოდში საქართველოში მოღვაწე იტალიელი მისიონერის ჯ. დამპის თხზულება, რომელიც შარდენისთვის თვით დამპის გადაუცია. ამ თხზულების შარდენისეულ პუბლიკაციას ფასს მატებს ისიც, რომ დამპისეული დედანი დაკარგულია.

**შარდენის** აზრით, "ქართველები მთელს აღმოსავლეთში და, შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოში საუცხოო ჯიშის ხალხია. ამ ქვეყანაში მე არ შემხვედრია არც ერთი უმწო ადამიანი, კაცი იქნება ეს თუ ქალი, ვხვდებოდი მხოლოდ და მხოლოდ ანგელოზისებრ სახეებს. ქალების უმეტესობა ბუნებას ისეთი სინატიფით დაუჯილდოებია, როგორსაც ვერსად შეხვდებით. ვფიქრობ, შეუძლებელია მათ თვალი მოჰკრათ და არ შეგიყვარდეთ, ქართველ ქალზე უფრო მშვენიერი სახისა და ტანის დახატვაც კი შეუძლებელია."

მეორე ფრანგი მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელმაც საქართველოში 1820-იან წლებში იმოგზაურა, შარდენის მსგავსად, ქართველებს ადამიანის მოდგმის ნიმუშად მიიჩნევდა. მისი აზრით, ქართველები მეტად ლამაზები, გონიერები და თავაზიანები არიან. იტალიელი მისიონერის დონ ჯუზეპე მილანელის დახასიათებით კი, "ქვეყანა და განსაკუთრებით ქალები მეტისმეტად ლამაზებია. ამ მხარეში უფრო მეტად, ვიდრე სხვა ქვეყანაში, დიდი თავშეკავებაა საჭირო, რომ ცდუნებაში არ ჩავარდეს კაცი."

შემდეგი საყურადღებო ცნობები საქართველოს კულტურული და ეკონომიკური ისტორიისათვის ფრანგი მეცნიერის და ბოტანიკის პროფესორის დე-ტურნეფორის მოგზაურობის აღწერილობაშია. **დე-ტურნეფორმა** თავისი თავისი მეცნიერული დაკვირვება და შთაბეჭდილება წერილების სახით გამოაქვეყნა. სომხეთისა და საქართველოს აღწერილობა მეთვრამეტე წერილში აქვს მოთავსებული. აქ მაშინდელი თბილისის სურათიც არის მოტანილი.

დიდი მნიშვნელობა აქვს **არქანჯელო ლამბერტის** თხზულებას, რომელიც ალ. ჭყონიამ თარგმნა მთლიანად და დაბაჭდა 1901 წელს „არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა“. ნაშრომი ამ სახის პირველი თხზულებაა საქართველოს შესახებ. იგი XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვანი წყაროა და მკვლევართა დიდი ყურადღებით სარგებლობს. არქანჯელო ლამბერტს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომი „წმინდა კოლხიდა“, რომელშიც ავტორი ეხება ოდიშის სამთავროს სარწმუნოებრივ მდგომარეობას. ეს წიგნი ქართულად არ თარგმნილა. ზოგიერთი

ცნობით, არქანჯელო ლამბერტი თავისი დროისათვის საკმაოდ დახელოვნებული ექიმი და მხატვარიც ყოფილა. იმ დროს, როდესაც, ლამბერტი მოღვაწეობდა სამეგრელოში იქვე იყო იტალიელი მისიონერი **ქრისტეფორო კასტელიც**.

კასტელი საკმაოდ კარგი მხატვარი იყო და დახატული აქვს იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრება, მოსახლეობა, პოლიტიკური მოღვაწეები. სწორედ მისი ნახატები გვამღებენ საშუალებას გავეცნოთ მეთვრამეტე საუკუნის ხალხის ცხოვრების ამსახველ კადრებს, ბუნებას, ქალაქებს.

საქართველოში 1628წელს ჩამოვიდა **პატრ ანტონიო ჯარდინასა** და ბერ კლაუდიოსთან ერთად. მისიონერები მივიდნენ ქალაქ გორში თეიმურაზ პირველთან, ხოლო 1634 წელს შემოქმედელი ეპისკოპოსის მაქსიმე მაჭუტაძის მიწვევით გურიაში გადავიდნენ. 1640 წელს იტალიელი მისიონერები ოდიშში ჩავიდნენ. კრისტოფორო კასტელი 1652 წელსაც საქართველოშია, შემდეგ კი იტალიაში ბრუნდება. ამ პერიოდში მან მრავალი საინტერესო ჩანახატი გააკეთა, რომელიც ორ ალბომში იყო შესრულებული. ერთი ალბომი კრისტოფოროს იტალიაში დაბრუნებისას განადგურდა, მეორე კი დაცულია ქალაქ პალერმოს კომუნალურ ბიბლიოთეკაში და 500-ზე მეტ ჩანახატს შეიცავს. ამ ჩანახატების ნაწილი გამოაქვეყნა მიხეილ თამარაშვილმა, მანვე ჩამოიტანა საქართველოში ჩანახატების ნაწილის ფოტოფირები. 1977 წელს კასტელის ალბომი წინასიტყვაობითა და შენიშვნებით გამოსცა ბ. გიორგაძემ. კასტელის რელაცია, ჩანახატები და მათზე მინაწერები ძვირფას ცნობებს იძლევა XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიისათვის.

მნიშვნელოვანია ასევე **იოჰან ანტონ გულდენშტედტის** ნაშრომი საქართველოს შესახებ, რომელიც რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ 1768 წელს გამოაგზავნა საქართველოსა და ამიერკავკასიაში სამეცნიერო გზით, რომელსაც დახასიათებული აქვს ნანახი ქვეყნების ყოფა-ცხოვრება, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული მდგომარეობა ნანახი ქვეყნების. ეს ნაშრომი რომელიც ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს საქართველოს შესახებ.

რაც შეეხება ცნობილ მოგზაურსა და ლინგვისტ ორიენტალისტს **კლაპროტის**, მისი აღწერილობაც მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს მეთვრამეტე საუკუნის დამლევისა და მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს შესახებ. იგი საქართველოში უკვე რუსთა ბატონობის დამყარების შემდეგ მოგზაურობდა 1807-1808 წლებში.

რომანისტი და დრამატურგი **ალ. დიუმა** საქართველოში ჩამოვიდა 60-იან წლებში, სახელდობრ 1858 წლის დამლევს, როდესაც ბატონყმობა ჯერ კიდევ არ იყო გაუქმებულიკავკასიაში მოგზაურობისას ა.დიუმას ჩვეულებრივ აინტერესებს ისტორიული ძეგლები. ასე, მაგ., იგი დაწვრილებით მოგვითხრობს დარუბანდის კარების ისტორიას, იცის, რომ ერთ-ერთი კარი საქართველოში წამოუღიათ იქედან; ათარიღებს ბაგრატის ტაძრის აგების დროს; ანანურის ციხე-სიმაგრის აღწერასთან დაკავშირებით ზუსტად მოგვითხრობს არაგვისა და ქსნის ერისთავთა მტრობის ისტორიას; სამეგრელოზე

მსჯელობისას კრიტიკულად იყენებს შარდენისა და გამბას ცნობებს, ხოლო თუ რომელიმე ძეგლის ან ისტორიული მოღვაწის შესახებ მასალა არ გააჩნია, ამასაც აღნიშნავს, მაგ. თამარის შესახებ იგი ამბობს, რომ მე ყველგან ვეძებდი და ყველას ვეკითხებოდი თამარ მეფის ისტორიას, მაგრამ ვერაფერს წავაწყდი გარდა ბუნდოვანი გადმოცემებისა და ლერმონტოვის რამდენიმე ლექსისა, მაშინ როცა თამარ მეფის ციხე-დარბაზები ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდაო. თბილისში ჩამოსული, იგი სათანადო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალით აღჭურვილი ჩანს. საქართველოს დედაქალაქზე დიუმას წაუკითხავს არაბი მოგზაურისა და გეოგრაფოსის ხაუკალის, შარდენის, ტავერნიეს, გულდენშტედტის, დიუბუა დემონპერეს, კლაპროტის, გამბასა და სხვა მოგზაურთა და გეოგრაფოსთა დღიურები და ნარკვევები. ამავე დროს დიუმა არ ივიწყებს, ამ ავტორთა ცნობები შეადაროს რეალურად დანახულს და გულდასმით შეამოწმოს ისინი.

უცხოელ მწერალთა და მოგზაურთა ჩანაწერები მნიშვნელოვან ცნობებს გვაძლევენ საქართველოს შესახებ. მათი საშუალებით შეგვიძლია იმის გარკვევა თუ როგორი მგდომარეობა იყო ამა თუ იმ ეპოქის საქართველოში, როგორ ცხოვრობდა ხალხი, როგორი წეს-ჩვეულები არსებობდა, ამ ყოველივეს კი ჩვენი ქვეყნის უკეთ შესწავლის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს.

## II თავი. საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი

### 2.1. სოფლის მეურნეობის ისტორიული ზოგადი მიმოხილვა

საქართველო უკანასკნელ ათწლეულებში აგრარულ-ინდუსტრიულიდან აგრარულ ქვეყანად იქცა. მიუხედავად ბუნებრივი მრავალფეროვნებისა და სოფლის მეურნეობის უზარმაზარი პოტენციალისა, ჩვენი მოსახლეობა დიდი რაოდენობით მოიხმარს საზღარგარეთიდან შემოტანილ კვების პროდუქტებს. სოფლის მეურნეობამ დაკარგა მსუბუქი მრეწველობის სანედლეულო ბაზის ფუნქცია, რის გამოც ეს დარგი მხოლოდ იმპორტირებული საქონლის იმედით სულდგმულობს. კვების და მსუბუქი მრეწველობის დეგრადაცია და არადამაკმაყოფილებელი დონე დემოგრაფიულ ვითარებაზე და სოფლის მეურნეობაზეც აისახა - მოსახლეობა მასიურად ტოვებს სოფელს, ხოლო დაუმუშავებელი მიწების ხვედრითმა წილმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია.

საქართველო ისტორიულად აგრარული ქვეყანაა. აქ ათასწლეულების მანძილზე მაღალ დონეზე განვითარდა სოფლის მეურნეობის ის დარგები, რომლებიც ევროპისა და აზიის სუბტროპიკული და ზომიერი სარტყლების, ნოტიო და თბილი, ცხელი და მშრალი კლიმატის ტიპებისთვის იყო დამახასიათებელი. ქართული ვაზი და ხორბალი, ხილი, ციტრუსი, ფუტკარი, შინაურ ცხოველთა არაერთი სახეობა (ძროხა, ცხენი, ცხვარი, ღორი და სხვ.), მაღალი კვებითი თვისებებით თუ ენდემიზმით, მთელ მსოფლოშია ცნობილი. ამგვარი ვითარება უკავშირდება როგორც ბუნებრივ მრავალფეროვნებას, ისე ქართველი კაცის გონიერებას და პატრიოტიზმს (ნ.ელიზბარაშვილი, 2011).

თანამედროვე საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს ეკონომიკური გარდაქმნები, მიწათსარგებლობის რევიზია, სოფლის მეურნეობის რეგიონული სპეციალიზაციის მორგება საბაზრო ეკონომიკაზე და ა.შ. მიუხედავად ამისა, ქვეყანა აგრარული მიმართულებით სტიქიურად ვითარდება. მოსახლეობას პრაქტიკულად არ გააჩნია ინფორმაცია სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების და მათი მნიშვნელობის შესახებ. არადა, ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ მრავალ საყურადღებო ცნობას გვაწვდის საქართველოს მეურნეობის იმ ტრადიციების და მიმართულებების შესახებ, რომელთა გათვალისწინებამ არსებითი როლი შეუძლია ითამაშოს ქვეყნის სასურსათო კრიზისიდან გამოყვანის საქმეში. ნაშრომის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ამ მიმართებით ივანე ჯავახიშვილი ვახუშტი ბაგრატიონის ღირსეულ შთამომავლად წარმოჩინდება.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ გეოგრაფიული ნაშრომების მიმოხილვას, რომელშიც მოცემულია საქართველოს გეოგრაფიული აღწერილობა. მასში ქართველი მეცნიერებიდან წარმოჩენილია ვახუშტი ბაგრატიონის, ხოლო უცხოელთაგან - ძველი ბერძენი, რომაელი, არაბი, სპარსი, იტალიელი, გერმანელი, ფრანგი და რუსი სწავლულების, მოგზაურების თუ დიპლომატების დამსახურება საქართველოს მეურნეობის ისტორიული თუ გეოგრაფიული თავისებურებების კვლევის საქმეში. ნაშრომის ეს ნაწილი ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცის შემწავლელთათვის **საყურადღებო ცნობებს** შეიცავს და დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

ივანე ჯავახიშვილის მიხედვით - ქვეყანა მდებარეობისდა მიხედვით ორად იყოფებოდა: ერთს შეადგენდა „ბარი“, მეორეს „მთა“. ამგვარი დაყოფა ვრცელდებოდა როგორც მეურნეობის ტიპებზე, ისე განსახლების ფორმებზე, ტერიტორიის გამოყენებით დანიშნულებასა და სამეურნეო პოტენციალზე. ამგვარ მიდგომას **არსებითი მნიშვნელობა** გააჩნია საქართველოს ბუნებრივი გარემოს სამეურნეო გამოყენების ისტორიულ-გეოგრაფიული ანალიზისთვის, სოფლის მეურნეობის ზონალური და რეგიონული სპეციალიზაციისთვის.

ივანე ჯავახიშვილი „მიწისმოქმედების“ განხილვისას მიწის ფონდის გამოყენების თავისებურებებს წარმოაჩენს. თანამედროვე დაყოფისგან (სასოფლო-სამეურნეო სავარგულეები, ტყეები, სათიბ-სადოვრები, სხვა ტერიტორიები) განსხვავებით, საქართველოში მიღებული იყო მიწის ისეთ ერთეულებად დაყოფა, როგორცაა ველი და ვენახი, წყლით დაფარული და სანადირო ტერიტორიები, ჭალები და სათიბები. ამგვარი დაყოფა მიწის ფონდის ცალკეული შემადგენელი ერთეულების **დიდ სამეურნეო მნიშვნელობაზე** მიგვითითებს.

ყოველი ქვეყანა თავისი ნიადაგის, ჰავისა, წყლისა და ნაყოფიერების თვისების მიხედვით ფასობდა, ბრძანებს ივანე ჯავახიშვილი. აღნიშნულია ისიც, რომ ზემოთჩამოთვლილ კომპონენტთა საუკეთესო შეხამებაც კი უბრალოდდებოდა, თუკი საქმე გვექონდა „მეტისმეტად მაღალ ან უაღრესად დაქანებულ-ფერდობიანი მთების სიმრავლესთან“. ამრიგად, გასაგებია, რომ საქართველოს ბუნებრივი პოტენციალის **კომპლექსურ შეფასებას** უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ადამიანის ყოფა-ცხოვრებისთვის, ისე მეურნეობის განვითარებისთვის. ამგვარი შეფასება დღემდე პრაქტიკულად არ განხორციელებულა, რაც აქტუალური სამეცნიერო და მაღალი სამეურნეო დანიშნულების ამოცანაა.

ივანე ჯავახიშვილი (1987) აღნიშნავს, რომ მესაქონლეობასთან შედარებით, ადამიანის კეთილდღეობა უმჭიდროესად იყო დამოკიდებული სავსე მეურნეობაზე. იგი დაწვრილებით განიხილავს ვახუშტის ნაშრომს და მასზე დაყრდნობით **პირველად**

**გამოყოფს** ხუთი ტიპის ზონას ბუნებრივი პოტენციალის და კულტურულ მცენარეთა ნაყოფიერების მიხედვით. ესენია: თურინჯ-ნარინჯ-ზეთისხილიანი, ბრინჯ-ბამბიანი, ვენახოვან-ხეხილიანი, ხეხილიანი, უვენახ-ხილო. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის კულტურულ მცენარეთა ეკოლოგიური მახასიათებლების მიხედვით ზონირება, მთლიანად ემთხვევა საქართველოს თანამედროვე აგროკლიმატურ დარაიონებას. ამ შემთხვევაში ძირითად კრიტერიუმად კულტურულ მცენარეთათვის საჭირო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი გამოიყენება, რისი გეოგრაფიული განაწილება თვალსაჩინოს ხდის მათი გავრცელების პოტენციურ ტერიტორიებს. აქვე დგება კითხვა - ნუთუ საქართველოში ამდენად ფართოდ იყო გავრცელებული ბამბისა და ბრინჯის კულტურა, რომ ისინი სამეურნეო ზონალობის კრიტერიუმად განიხილებოდა.

ბრინჯისა და ბამბის სტრატეგიულ სამეურნეო დანიშნულებაზე არაერთი კრიტერიუმი მეტყველებს. **ბრინჯი** სუბტროპიკულ სარტყელში ფართოდ გავრცელებული კულტურაა. მისი 20-მდე სახეობაა ცნობილი. იგი ნაკლებად მომთხოვნია ნიადაგური პირობებისადმი, თუმცა მოსაყვანად ზედაპირული წყლების გამოყენებაა აუცილებელი. ბრინჯი მაღალი კვებითი თვისებებით და მოსავლიანობით (30 ც/ჰა და მეტი) გამოირჩევა, რომლის ნარჩენები მესაქონლეობაშიც გამოიყენება. ბრინჯის ნამჯისაგან არაერთი დასახელების საყოფაცხოვრებო ნივთი და ქაღალდი მზადდება. დადგენილია, რომ ბრინჯის კულტურა საქართველოში ირანიდან (აღმოსავლეთ საქართველოში) და საბერძნეთიდან (დასავლეთ საქართველოში) გავრცელდა. იგი დიდი რაოდენობით მოჰყავდათ მდინარე მტკვრის ქვემო დინების აუზის (ქვემო ქართლი), ივრისა და ალაზნის ქვემო დინების (კახეთი) ჭალებში, აჭარაში, გურიასა და სამეგრელოში. „ოდისის ნიადაგიცა და ჰავაც ბრინჯის კულტურისათვის იმდენად კარგი აღმოჩენილა, რომ ეს მცენარე იქ თურმე მოურწყავადაც ხარობდა. . . . ოდიშში ბრინჯის იმდენად ინტენსიური კულტურა ყოფილა, რომ საგარეო ექსპორტის საგნადაც ქცეულა.“ - აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი.

**ბამბა** უძველესი დროიდან მოიყვანება საქართველოში. დადგენილია, რომ ადრე შუა საუკუნეებში მის ნაწარმს საექსპორტო დანიშნულება გააჩნდა. ბამბა ძირითადად მრავალწლიანი (ზოგან ერთწლიანი) მცენარეა, რომლის რამდენიმე სახეობაა ცნობილი. მისთვის ხელსაყრელია სუბტროპიკული ჰავა, განსაკუთრებით ისეთი, როცა ზამთრის ტემპერატურა 0<sup>0</sup>-ზე დაბლა არ ჩამოდის. ამგვარი ტერიტორიები კი საქართველოს მთათაშორისი ბარის მნივნილოვან ნაწილზეა წარმოდგენილი. იგი ძირითადად კახეთში, ივრის ზეგანისა და ალაზნის ველის სამხრეთ ნაწილში მოჰყავდათ. ბამბის ბოჭკო რამდენიმე დასახელების პროდუქციის ნედლეულია, ხოლო მისი ნარჩენები - მესაქონლეობისთვის საკვები ბაზა (ნ.ელიზბარაშვილი, 2011).

ამრიგად, საქართველოში ბრინჯისა და ბამბის მეურნეობის აღორძინების ხელშეწყობა როგორც კვების და მსუბუქი მრეწველობის, ისე მესაქონლეობის განვითარების წინაპირობა გახდება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ყურადღება, რასაც ივანე ჯავახიშვილი ამახვილებს **მარცვლეული კულტურების** მიმართ. იგი მათ მცენარეულობათა იმ ჯგუფს აკუთვნებს, რომელთაც ერთდროულად ორი ფუნქცია გააჩნია ანუ ადამიანის მიერ გამოიყენება როგორც საკვებად, ისე ყოფა-ცხოვრებისთვის. უპირველესი მათგანი ხორბალი და ქერია, რომელთაც თანამედროვე საქართველოსთვის მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. საყურადღებოა ივანე ჯავახიშვილის მითითება იმის შესახებ, რომ „საქართველოში არსებული ხორბლეულობის კულტურა შეძლებისამებრ სრულად იქნას შესწავლილი, მეტადრე-კი ამ კულტურის თავისებურება იყოს გამოკვლეული“.

საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში დეტალურადაა განხილული **ხორბლის** საშემოდგომო (იფქლი, დოლი და სხვ.) და საგაზაფხულო (დიკა, ზანდური და სხვ.) ჯიშების ბოტანიკური მახასიათებლები და გავრცელების გეოგრაფიული თავისებურებანი. აღსანიშნავია, რომ ქართული ხორბლეული მაღალი კვებითი და ეკოლოგიური თვისებებით გამოირჩეოდა. მისი გავრცელება პრაქტიკულად შეუზღუდავი იყო და მთელ რიგ რეგიონებში (სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, მთიულეთი) ზღვის დონიდან 1800 - 2000 მეტრსაც კი აღწევდა. ტრადიციული მემარცვლეობის აღდგენა თანამედროვე საქართველოს უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ამოცანაა. წარმოდგენელია, რომ ამგვარი თვისებები გამოავლინოს იმ იმპორტულმა (ჰიბრიდულმა) თესლმა, რომლის დიდი რაოდენობის გავრცელებით ნავარაუდევია მარცვლეულის მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება.

„საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში“ ივანე ჯავახიშვილი ასევე განიხილავს მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის, ვაზის და სხვა კულტურების დანიშნულებას, გამოყენების და გავრცელების თავისებურებებს. მისი ნაშრომი **არსებითად ეხმიანება** თანამედროვეობას და კიდევ ერთხელ გვახსენებს ჩვენი ქვეყნის მდიდარ ტრადიციებს და სოფლის მეურნეობის განვითარების მიზან-მიმართულებებს.

## **2.2. ბუნებრივი პირობები და სოფლის მეურნეობა ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მიხედვით**

ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ მრავალ საყურადღებო ცნობას გვაწვდის ქვეყნის ნიადაგის, ჰავისა, წყლისა და ნაყოფიერების თვისების შესახებ. აქ



აღნიშნულია ისიც, რომ ზემოთჩამოთვლილ კომპონენტთა საუკეთესო შეხამებაც კი უბრალოვდებოდა, თუკი საქმე გვექონდა „მეტისმეტად მაღალ ან უაღრესად დაქანებულ-ფერდობიანი მთების სიმრავლესთან“. ამრიგად, გასაგებია, რომ საქართველოს ბუნებრივი პოტენციალის კომპლექსურ შეფასებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ადამიანის ყოფა-ცხოვრებისთვის, ისე მეურნეობის განვითარებისთვის. ამგვარი შეფასება დღემდე პრაქტიკულად არ განხორციელებულა, რაც აქტუალური სამეცნიერო და მაღალი სამეურნეო დანიშნულების ამოცანაა.

იმისდა მიხედვით მეურნეობის რომელი დარგისათვის იყო მიწა განკუთვნილი თავისი მდებარეობით თუ ნიადაგის თვისებების მიხედვით, თითოეულ ადგილს თავისი სახელი ჰქონდა. ის ადგილები, რომელიც მოსახნავად გამოდგებოდა „სახნავი“ ეწოდებოდა, ხოლო რომელსაც საამისოდ არ იყენებდნენ - „უხნავი“. საქონლის გამოსაკვებად განკუთვნილ მიწას „სამოვარი“ ერქვა. დროთა განმავლობაში ხალხმა ისწავლა, რომ მიწის შერჩევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მთავარი კი ის იყო, თუ მეურნეობის რომელი დარგისათვის სჭირდებოდათ ამა თუ იმ მიწის გამოყენება, რადგან სხვადასხვა სამეურნეო დარგებისათვის სხვადასხვა თვისებების ნიადაგი და პირობებია საჭირო კარგი მოსავლის მისაღებად.

ამა თუ იმ სამეურნეო დარგისათვის ნიადაგის თვისებების ცოდნა და გათვალისწინება იყო მნიშვნელოვანი. მიწადმოქმედმა იცოდა, რომ ბოსტნეულსა და ხეხილს ნოყიერი ნიადაგი სჭირდებოდა, თუმცა ზოგიერთი კულტურები ე.წ მქლე ნიადაგზეც კარგად ხარობდნენ.

არსებობდა ისეთი ადგილებიც სადაც სინოტივის ნაკლებობა იყო. ეს ეხებოდა ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს. ამ შემთხვევაში მიწათმოქმედებს გათვალისწინებული ჰქონდათ ნიადაგის ეს თვისება და იყენებდნენ სარწყავ სისტემებს. სამიწათმოქმედო მეურნეობის განვითარებას თან სდევდა სარწყავი სისტემების მოწყობა, რომლის უძველესი ფორმების აღმოცენება დაკავშირებულია ინტენსიური მემინდვრეობის განვითარებასთან. საუკუნეების მანძილზე საქართველოში ირიგაციის მრავალი ფორმა შემუშავდა, რასაც ბუნებრივ-სამეურნეო პირობების სირთულე, ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარება განსაზღვრავდა.

### თავი III. მემინდვრობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი საქართველოში

#### 3.1. მემინდვრობის კულტურა, მისი შემადგენლობა, რაობა და სივრცე.

მემინდვრობის ეკონომიკურ მიზანს ადამიანისთვის საჭირო მცენარეულობის მოყვანა შეადგენს. ეს მცენარეულობა, რომ დანიშნულებისადამიხედვით დავანაწილოთ, **ორ მთავარ ჯგუფად** შეიძლება დაიყოს: **ერთ ჯგუფს** ადამიანისა და პირუტყვის საკვებად განკუთვნილი მცენარეულობა შეადგენს, **მეორე ჯგუფს** კი ადამიანის ყოფა-ცხოვრებისთვის გამოსადეგი და საჭირო მცენარეულობა ეკუთვნის, რაც ან ტანისამოს-საცვლებისათვის მოსაქცევ მასალად ან სახლის დასაბურავად გამოსაყენებელია, ან და ასანთი ნივთების გამოსახდელად ვარგა, ერთი სიტყვით რასაც შესაძლებელია სამრეწველო მნიშვნელობა ჰქონდეს.

მემინდვრობის კულტურისა და მეურნეობის მოცულობა-შედგენილობის განხილვის დროს საქართველოში ჩვენც სწორედ ამ დანაწილების პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ და ასეთი თანმიმდევრობით უნდა განვიხილოთ. უნდა გათვალისწინებული გვქონდეს მხოლოდ, რომ არა ერთი მცენარეა რომელსაც ორნაირი მნიშვნელობა აქვს და რომელსაც ადამიანი იყენებს საკვებადაც და სამრეწველო მიზნითაც, ანუ უფრო ზედმიწევნით რომ ითქვას, რომლის ერთი ნაწილი, მაგ. მარცვალი საკვებად ითვლება, მეორე ნაწილი-კი მაგ. ღერო საქსოვ ნივთიერებას წარმოადგენს. ამგვარად, მცენარეულობათა მთელი საკმაოდ მრავალრიცხოვანი, რიგია რომელიც ორსავე ჯგუფს ეკუთვნის. თუ ადამიანი ჩაუკვირდება ადვილად შეამჩნევს, რომ ყოველ ასეთ ორმაგი გამოყენებადობის მქონე მცენარის ერთი ამ ორთაგანი, მთავარ დანიშნულებას შეადგენს, მეორეს-კი მხოლოდ დამატებითი მნიშვნელობააქვსხოლმე.

#### 3.2. მარცვლეული კულტურების ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი

ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ გვამცნობს, რომ არქეოლოგიური მონაცემებით, საქართველოში მემინდვრობას ნეოლითის ხანაში ეყრება საფუძველი. ძველი მსოფლიოს უდიდეს კულტურულ ერს, ბერძნებს, იმთავითვე შეუმჩნევიათ ქართველთა წინაპრების დამოკიდებულება მიწისმოქმედებასთან და მათი ტექნიკური ნიჭი. ამაზე მიუთითებს, თუნდაც, მსოფლიოს უძველეს ლეგენდაში აღწერილი კოლხეთის მეფის, აიეტის, სიმდიდრე, ღვინის შადრევნები და მტკიცე ფოლადისაგან გამოჭედილი გუთანის და კიდევრამდენი მოგზაურის დაკვირვება ქართველი მეურნის საქმიანობაზე, რის გამოცისინი ხოტბით ამკობენ ძველი იბერიისა თუ კოლხეთის მცხოვრებთა სამიწათმოქმედო კულტურას.

ძველ საქართველოში, ბევრი სხვადასხვა საკვები მცენარე არსებობდა, მაგრამ თავისი ბოტანიკური თვისებების მიხედვით ისინი ყველა, რამოდენიმე ცალკეულ ჯგუფს შეადგენდნენ. მარცვლოვანი მცენარეები ძველ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდნენ: პირველ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ “ცერცვთაგანნი“ მეორე ჯგუფს კი „ხუარბალთაგანი“

მაცვლეული კულტურების არსებობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი მოსახლეობისათვის. მარცვლეულს იყენებდნენ როგორც საკვებად, ასევე პირუტყვის გამოსაკვებადაც. ცერცვნაირი მცენარეულობის ნაყოფს ადამიანისათვის პურეულზე მეტი აზოტოვანი ნივთიერების მიცემა შეუძლია, ამიტომ იმ დროს, როდესაც მოსახლეობა ხორცს დრევანდელთან შედარებით ნაკლებად მოიხმარდა, პაკოსან მარცვლეულს მათი კვებისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ყველა საკვები მცენარის მარცვლეულის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად ძველ ქართულში „ხუარბალი“ იხმარებოდა. თუმცა მოგვიანებით ამ სიტყვას მნიშვნელობა შეეცვალა და მხოლოდ პურეულის ჯგუფის აღმნიშვნელად გვევლინება. მარტო მარცვლოვნებიდან საქართველოში 100-მდე ოჯახი და 350 ადგილობრივი სახეობაა აღრიცხული. ბევრია ენდემური სახეობა. მაგალითად, საქართველოში გავრცელებული ხორბლის 15 სახეობიდან 5 ენდემურია. მინდვრის კულტურებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ხორბალი, ქერი, შვრია, ჭვავი, ღომი, ქვრიმა, ფეტვი და სხვა. ასევე პარკოსნები – ოსპი, ცერცვი, მუხუდო, ძაძა, ცერცველა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სიმინდის, ლობიოს, სოიოს და სხვა ინტროდუცირებული სახეობები ფართოდ გავრცელდნენ საქართველოში და მრავალი ადგილობრივი ფორმა და ჯიში წარმოშვეს, რომლებიც შესაძლებელია უკვე ადგილობრივ აგრობიომრავალფეროვნებას მივაკუთვნოთ.

**პარკოსნების** შესახებ შემდეგი ინფორმაციის ამოკითხვა შეგვიძლია: პარკოსნები (Fabaceae ანუ Leguminosae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. მასში გამოიყოფა 3 ქვეოჯახი: მიმოზისებრნი (Mimosoideae), ცეზალპინიისებრნი (Caesalpinioideae) და ფარვანისებრნი (Faboideae ანუ Papilionoideae) (ზოგიერთი სისტემატიკოსი ამ ქვეოჯახებს ცალკე ოჯახებად მიიჩნევს). ბუჩქები, მრავალწლოვანი და ერთწლოვანი ბალახებია. იშვიათად ხეები ან ლიანებია. აერთიანებს 500-მდე გვარის 12000 სახეობას. პარკოსნებს ფესვებზე უფითარდებათ კოჟრები — ატმოსფერული აზოტის შემთვისებელი კოჟრის ბაქტერიების გროვები, რომლებიც ნიადაგს ამდიდრებენ აზოტით. პარკოსნების ზოგიერთი გვარი და ცალკეული წარმომადგენლები (ლობიო, სოია, არაქისი, ცერცვი, ბარდა და სხვა) ცილებით მდიდარი ყუათიანი საჭმელია, არაქისისა და სოიოს თესლიდან მიღებულ ზეთს ფართოდ

იყენებენ კვების მრეწველობაში საქონლის საკვებ მცენარეებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია იონჯას, სამყურას, ესპარცეტს, ცერცველას, ძიძოსა და სხვა მცენარეებს.

ზოგიერთი პარკოსნების (წითელი სანდალოზის — *Pterocarpus santalinus*) მერქანს ძვირფასი ავეჯის დასამზადებლად იყენებენ. პარკოსნების ქერქი შეიცავს მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებს; მრავალი სახეობა (არღვანი, ალბიცია, გლიცინია, სოფორა, კურდღლისცოცხა და სხვა) დეკორატიულია. იყენებენ აგრეთვე ცოცხალ ღობეებად და ქარსაცავ ზოლებად. პარკოსნების უმრავლესობა კარგი თაფლოვანი მცენარეა.

საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლის კუთხით მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ სად და რომელი პარკოსანი კულტურები იყო გავრცელებული საქართველოში და როგორი იყო მათი ქიმიური შემადგენლობა.

„ცერცი“ საჭმელად განკუთვნილი მცენარე იყო. მის შესახებ წყაროებში ცნობები არ გვხვდება, მაგრამ ის ფაქტი, რომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმიტაც დასტურდება, რომ ცერცვის სახელით მოიხსენიებდნენ სხვა დანარჩენ მარცვლეულსაც. მარხვის დროს, საკვებად ძირითადად ცერცი გამოიყენებოდა, სანამ ლობიო შემოვიდოდა და ფართოდ გავრცელდებოდა. ლობიოს გავრცელების შემდეგ კი ცერცვის მოხმარება თანდათან შემცირდა. ცერცი, როგორც ივ. ჯავახიშვილი მოგვითხრობს, გავრცელებული ყოფილა უფრო მაღალ მთებში. მის მოყვანას იმერეთშიც მისდევდნენ. გავრცელებული ყოფილა წვრილი და მსხვილი ცერცი. დასავლეთ საქართველოს დაბლობებში მსხვილი ცერცვის ნათესებიც არსებობდა. თუმცა დღესდღეობით ცერცვის წარმოება და მისი თესვა ფართოდა არაა გავრცელებული. კულტურულ, შინაურ ცერცვის გარდა არსებობს გარეული ანუ ველური ცერციც, მას ხალხი „ცერცველას“ ეძახის.

**ცერცველა** უმთავრესად აღმ. საქართველოში ყოფილა გავრცელებული: ჯავახეთში, თბილისში, ქიზიყში, ხოლო ქსნისა და არაგვის, ასევე ლიახვის ხეობაში იშვიათად შეხვდებოდით მას. ცერცველა ერთწლიანი პარკოსანი ბალახია და მას დღესდღეობით ფართოდ თესენ ჯავახეთის ზეგანზე, თუმცა მისი გამოყენება რაჭა-ლეჩხუმის პირობებშიცაა შესაძლებელი. საქართველოში გავრცელებულია ამ კულტურის საგაზაფხულო ფორმა, საშემოდგომო - ბანჯგვლიანმა ცერცველამ გავრცელება ვერ ჰპოვა. თუმცა მას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა იმ ზონებში, რომლებიც არ ხასიათდება ხანგრძლივი და ძალიან ცივი ზამთრით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ საშემოდგომო ფორმის შუალედურ კულტურად გამოყენება ნიადაგის ეროზისაგან დაცვისა და მისი ნაყოფიერების ასამაღლებლად, ამასთან ერთად იგი ძვირფასი საკვები კულტურაცაა მესაქონლეობისათვის. საქართველოში გვხვდება ცერცველას შემდეგი ჯიშები: საგაზაფხულო - ახალქალაქის ცერცველა, მცხეთა; საშემოდგომო - ბანჯგვლიანი ანუ შავი ცერცველა და პანონსკაია.

ცერცველას მარცვლად იღებენ პარკების 60-70% მომწიფებისას. ცერცველას ახასიათებს პარკების გახანგრძლივებულად მომწიფება და უნდა გაითიბოს დილით ან საღამოს. მოუმწიფებელი პარკები კარგად მწიფდება ღვარეულებში. გათიბული მასა გაშრობის შემდეგ უნდა გამოილეწოს. ცერცველა და მისი მარცვლოვნებთან ნარევები მაღალ მოსავალს იძლევა სასუქების ფონზე.

ცნობები იმის შესახებ თუ რამდენადაა გაავრცელებული იყო საქართველოში **ოსპი**, არ მოგვეპოვება, თუმცა ეს მცენარე ნახსენები აქვთ მეჩვიდმეტე საუკუნის რუს დესპანებს. ისინი გვაწვდიან ცნობებს იმის შესახებ, რომ აღმ. საქართველოში ცერცვის გადა ოსპსაც თესავდნენ. ოსპი (Lens), ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარის გვარი პარკოსანთა ოჯახისა. მისი სწორმდგომი ან ნახევრად გართხმული ღეროს სიგრძეა 20-55 სმ. ფოთოლი წყვილფრთაართულია, 1-3 ყვავილი ერთადაა მოთავსებული ყვავილის ყუნწზე, ფოთლის ილღიაში, იგი თეთრი, ვარდისფერი ან მოიისფრო ლურჯია. ნაყოფი 1-3 თესლიანი პარკია, თესლი ბრტყელი ან ამობურცულია სხვადასხვა ფერის, ერთფერი ან მოხატული. გვარში 5 სახეობაა, კულტივირებულია ერთი — ჩვეულებრივი ოსპი (Lens ცულინარის), რომელიც ორ ჯგუფად იყოფა: მსხვილმარცვლად და წვრილმარცვლად. საქართველოში მოჰყავთ გორის, ახალქალაქის, დუშეთისა და თიანეთის რაიონების მთიან ზონაში. არსებობს ცნობები იმის შესახებაც, რომ საქართველოში ოსპის 7 ჯიში მოიპოვებოდა.

ივ. ჯავახიშვილის მონათხრობის მიხედვით ვიგებთ, რომ საქართველოში გაავრცელებული ყოფილა ასევე ისეთი მარცვლეული როგორცაა: ხანჭკვალა, ლოპინარი, ანდური, ბარდა, მუხუდო, ერევინდი, საკადრისი, უკადრისი, ცულისპირა, ძაძა.

**ლობიოს** შესახებ ცნობები საქართველოში პირველად მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩნდება. მეთვრამეტე საუკუნიდან ლობიოს მოყვანა მთელ საქართველოსი გაძლიერებულა. ლობიო (Phaseolus), ერთ- და მრავალწლოვან მცენარეთა გვარი პარკოსანთა ოჯახისა. მოიცავს 150-ზე მეტ სახეობას, რომლებიც ამერიკის, აზიისა და აფრიკის ტერიტორიაზე იზრდება. კულტურაშია დაახლოებით 20 სახეობა, რომელთაგანაც სასურსათო მნიშვნელობა 7-ს აქვს. უფრო გაავრცელებული სახეობაა ჩვეულებრივი ლობიო (Phaseolus vulgaris), რომელიც ყველა კონტინენტზე მოჰყავთ. ეს არის საგაზაფხულო ერთწლოვანი ფორმის ღეროს სიმაღლე 20-45 სმ, ხოლო ხვიარა ფორმებისა — 2—5 მ აღწევს. ნაყოფი პარკია, რომლის სიგრძე 7-იდან 28 სმ-მდეა, აქვს 3—7 თესლი. ლობიოს მარცვალი შეიცავს 31%-მდე ცილას, 50-60% ნახშირწყლებს, 3,6%-მდე ცხიმს. ლობიოს ბევრი სახეობის სამშობლოა ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა. ჩვეულებრივი ლობიო ამერიკიდან ევროპაში შემოიტანეს XVI საუკუნეში. რუსეთში მისი მოყვანა XVIII საუკუნის დამდეგიდან დაიწყო. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, გურიასა და სამეგრელოში ლობიო XVI საუკუნიდანაა კულტივირებული. აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მოგვიანებით

გავრცელდა. ლობიოს დღესდღეობით საქართველოში სამარცვლე პარკოსანთა შორის პირველი ადგილი უკავია. ლობიოს 50-მდე ქართული ჯიშია ცნობილია. მაღალმთიანი ზონის გარდა ყველგან მოჰყავთ. დარაიონებული ჯიშებია: წითელი, ინდური, ლიახვი, ჩიტკვერცხა, ბერპი, ცანავა — 3 და სხვა. აკად. გიულდენშტედტის აღწერილობიდან ჩანს, რომ ლობიო ფართოდ ყოფილა გავრცელებული მეთვრამეტე საუკუნეში. ხონში ლობიოს, სიმინდს, ბარდას ბლომად თესავდნენ. ხოლო ქვემო რაჭაში ლობიოს ვაზის გვერდითაც კი თესავდნენ. სამეგრელოში იმ დროს განსაკუთრებით გავრცელებული სარის ლობიო ყოფილა.

მემინდვრეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დასავლეთ საქართველომ, ასე რომ, სოფლის მეურნეობის ეს დარგი ისტორიული კოლხეთის ყოფიდან მიღებულ მემკვიდრეობად უნდა მივიჩნიოთ. აქ წარმოდგენილია მარცვლეული კულტურების ისეთი სახეობანი, რომლებიც გარდამავალ რგოლს ქმნიან ველურ და კულტურულ ხორბლეულებს შორის და ენდემური სახით მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება: ზანდური, კოლხური ასლი, მახა. შემონახულია უძველესი, მარტივი იარაღი — სამკალი — შნაკვი//შანკვი, რომლითაც ხდებოდა აღნიშნული პურეულის მოწევა.

დასავლეთ საქართველოს მემინდვრეობის სისტემაში ყველაზე გავრცელებული იყო ღომის კულტურა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ცალკეულ მხარეში პურის შემცვლელად ითვლებოდა. XVII საუკუნის დასასრულამდე ღომი ძირითადი საკვები იყო, XVIII საუკუნიდან კი იგი თანდათან განდევნა სიმინდმა.

### მემინდვრეობის სხვა მიმართულებანი

ძველადაც ბევრი ხვადასხვა საკვები მცენარე არსებობდა, მაგრამ თავისი ბოტანიკური თვისებების მიხედვით ისინი რამდენიმე ცალკეულ ჯგუფს შეადგენენ. ამათგან აღსანიშნავია მარცვლოვანი მცენარეები. მაგ: ხორბლეული.

არსებობს რბილი და მაგარი **ხორბლის** სახეობები. მაგარი ხორბალი (*Triticum durum*), ხორბლის ტეტრაპლოიდური სახეობა. მსოფლიოში გავრცელების მიხედვით II ადგილი უკავია რბილი ხორბლის შემდეგ. ყოფილ სსრკ-ში უმთავრესად ევროპის ნაწილშია კულტივირებული. პოლიმორფული სახეობაა. ძირითადად გავრცელებულია საგაზაფხულო ფორმა. აქვს მსხვილი, მაღალხარისხოვანი ცილებით მდიდარი მარცვალი. ფქვილის წარმოებაში იყენებენ რბილი ხორბლის ფქვილის ხარისხის გასაუმჯობესებლად. საქართველოში უმეტესად თესვენ შავთავთავიან და შავფეხიან

ავტოქტონურ ჯიშებს („შავფეხა“). ძვირფასი სასელექციო მასალაა ხორბლის ახალი ჯიშებისა და ფორმების შესაქმნელად.

**რბილი ხორბალი** (*Triticum aestivum*), ხორბლის ჰექსაპლოიდური სახეობა (სომატურ უჯრედში 42 ქრომოსომა). თავთავი ფხიანი ან უფეხოა, მარცვალი — შიშველი, თეთრი, წითელი ან ყვითელი. შედარებით ზამთარგამძლე. გვალვამტანი და ადრეულა მცენარეა, ძლიერ პლასტიკური, მოჰყავთ მიწათმოქმედების ყველა ქვეყანაში. მოიცავს 200-მდე სახესხვაობას. ცნობილია რბილი ხორბლის მრავალი საგაზაფხულო და საშემოდგომო ჯიში. საქართველოში უმეტესად რბილი ხორბალია გავრცელებული. იგი მოიცავს უძველეს აბორიგენულ ჯიშებს — სხვადასხვა ეკოტიპის დოლის პურს, იფქლს, ხულუგოს, გომბორულას, რაჭულას და სხვა. საქართველოში გავრცელებულ ხორბლის ჯიშებს შორის ყველაზე მეტი ფართობი უკავია უფხო 1-ს.

ხორბალს საკვები მარცვლეულობის გამომხატველი მნიშვნელობა აქვს. ასევე ხორბალს უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა საქართველოს სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში. ის განუყოფელი ნაწილი გახდა უხსოვარი დროიდან. ვახუშტის მონაცემებით, თერგისა და არაგვის ხეობა მოსავლიანი ყოფილა ქერის და ხორბლის მარცვლით. მაგრამ არსანიშნავია რომ ხორბლეული მხოლოდ და მხოლოდ პურეულს არ ნიშნავს. ხორბალი ზოგადი მნიშვნელობის ტერმინია ყველა იმ სხვადასხვა ჯიშისა და სახეობის საკვები მარცვლეულის აღსანიშნავად, რომელთაგანაც პურს აცხობენ ხოლმე, ე. ი. იმავე მნიშვნელობის, რაც ახლა პურეულს აქვს.

თანამედროვე რაჭაში გავრცელებული არის პურის უძველესი სახეობა „ქუბა“. ნ.რეხვიაშვილის ჩაწერილ ცნობათა მიხედვით „ქუბა“ იზრდება მაღალი, ადრე მწიფდება, მას აქვს მსხვილი ღერო და მაღალი თავთავი. ასევე სასიამოვნო საჭმელი ყოფილა, რომელსაც სთესდნენ შემოდგომაზე: აგვისტოსა და სექტემბერში.

ძველ ქართულში „ხორბალი“ პურეულს ნიშნავდა როგორც ახლა ნიშნავს. ძველ ქართულში ხორბალს მავალი განმარტება ჰქონდა. სხვადასხვა კუთხეში სხვა სახელს ეძახდნენ, მაგ: მეგრულად „ქობაი“-ს, ჭანურად „ქორვალი“-ს, ასევე „ხუარბალი“-ს, რომლის თანამედროვე სახელი ხორბალი არის. მაგრამ ყველა ეს სახელი არამარტო დასავლეთ საქართველოში უხმარიათ არამედ აღმოსავლეთ საქართველოშიც. ანუ ეს იმას ცხადჰყოფს რომ მრავალ ხორბლის ჯიშს შეეძლო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გახარება, მაგ: ალაზნის შემდინარე ნეინის-წყალზე იდო „ქვაბლოვანი“, რომელიც ვაშლოვანის, თხილოვანის და ტელოვანის მსგავსი ტერმინია. ამიტომ მასში დაცული უნდა იყოს მეგრულში არსებული „ქობალი“ რაც მისი მსგავსია და აქედან გამომდინარე კახეთის ზემოთხსენებული ხეობა

„ქვაბლობანი“ უნდა ყოფილიყოს ისეთი ადგილი სადაც მრავლად მოდიოდა ხორბლის ერთერთი სახეობა „ქობალი“.

ცნობილია, რომ მესხეთ-ჯავახეთში ახლაც არის ხეობა, რომელსაც „ქვაბლიანს“ უწოდებენ. ძველს ამ ხეობას „ქობლიანის ხეობა“ ეწოდებოდა. აქ ჩამომდინარე წყალსაც კი ქვაბლიანის წყალი ჰქვია. ასევე გამოსარკვევი აჭარის „ქობულეთის“ თემის სახელიც არის თუ არა ამავე თვისების სახელი.

ვახუშტის ქრთილთან ერთად ქერიც აქვს ნახსენები. ამგვარად, პურეული მცენარეები ორ ნაწილად ყოფილა დაყოფილი, ხორბლეულად და ქრთილად. საკვებ მცენარეთა ჯგუფს ხორბლეულისა და ქრთილეულის გარდა მცენარეთა მთელი რიგი მიეკუთვნება, რომელნიც თავიანთი თვისებებით და გარეგნობითაც ხორბლეულისაგან განსხვავდებიან. ამ მცენარეთა მარცვლეულობის შემცველი ზედა ნაწილი ხორბლეულის იმავე ნაწილისაგან ძალზედ განსხვავდება. ამის მაგალითია ის, რომ ძველად ხობლეულის მცენარის ამ ნაწილს ხალხმა „კუვილი“ უწოდა, ახლა კი მას „თავთავი“ ჰქვია.

მარცვლეულ მცენარეთა ჯგუფში ყველაზე გავრცელებული ყოფილა **ფ ე ტ ვ ი**. იგი მოჰყავდათ როგორც დასავლეთ ასევე აღმოსავლეთ საქართველოში. ფეტვნიართა ჯგუფს ფატვის გარდა, ღომი, ქვიმრა, ჯიქურა და სხვები მიეკუთვნებიან.

**დოლის პური** გავრცელებული იყო ძველ საქართველოში. ამის დამამტკიცებელი სახელი შავშეთის სოფლის „დოლის ყანი“ სახელი. ს. ორბელიანს მოეპოვება დოლი მცენარის სახელით თავის სიტყვათა ლექსიკონში. დოლის პური როგორც აღმოსავლეთ ასევე დასავლეთ საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული. ქართლის ყანების 80%-ს დოლი შეადგენდა. დოლი ასევე გავრცელებული არის რაჭაში. სვანეთში წითელი დოლისპური უშგულში ზგვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზეც იყო გავრცელებული. ხოლო უხდო დოლისპური, ხუგულო და უფხო პური კი ენგურის, ყვირილის რიონის, ლიახვის და ნარდონ-ბაქსანის ხეობებში 1800 მეტრზე ხარობდა. რაჭაშიც ყველაფერზე ემეტად დოლისპურებია გავრცელებული და აქაც უმაღლეს დონეს აღწევს. საქართველოში არსებობდა დაახლოებით 32 პურის სახეობა, საიდანაც 10 სახეობა რაჭაში ყოფილა გავრცელებული, რომელთაგან სჭარბობენ თეთრი და წითელი დოლები. სამაგიეროდ შინდური დოლისპურია გავრცელებული იმერეთისი ზღვის დონიდან 1200-1400 მეტრ სიმაღლეზე, მაგრამ მისი ნათესები ხშირია 600-800 მეტრის დონეზე.

**დიკა** უძველესი ხორბლის ჯიში იყო გავრცელებული საქართველოში. მის თესვას მე-19 მე-20 სს-შიც მისდევდნენ საქართველოში. აგრონომიულ მეცნიერებაში კარგად არის ცნობილი, რომ ხორბლეულის გარკვეული ჯიში და სახეობა გარკვეული ნიადაგისა და ჰავის პირობებში ხარობს საუკეთესოდ. ეს საკითხი ნ.კეცხოველსა და ვ.მენაბდეს აქვს



შესწავლილი. ვ.მენაბდე დიკის გავრცელების არეს დასაწყისად 750-800 მეტრის დონეს თვლის. ს.ქვიშხეთში დიკა 740 მეტრის დონეზე გვხვდება. მისი მოყვანა გაცილებით დაბალ დონეზე შეიძლება, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით ხელსაყრელი არ არის. იგი ასევე გავრცელებული იყო მანგლი-ბაშქიჩეტის სანახებში. აქ ძირითადად ორი სახის თესლია გავრცელებული. ხშირია წითელი დიკა, ხოლო იშვიათია თეთრი დიკა. დიკა მაღალი არეს პირობებს უბრობლემოდ უმკლავდება, ნაკლებ ემჩნევა სოკოვანი დაავადება, ამიტომ იგი გამოირჩევა სხვა ჯიშებისაგან და ფართოდ იყო გავრცელებული აღმ.საქართველოში, ვინაიდან ის რთული კლიმატური პირობების ამტანი იყო. ასეთივე სურათი ეძლევა ადამიანს დასავლეთ საქართველოშიც, მაგ: რაჭაში 900-1000 მეტრის სიმაღლეზეა დიკას ნათესები. მაგრამ ყოველწლიურად დიკის რაოდენობა იკლებს მაღალ ადგილებში. დღესდღეობით დიკა აღარ მოჰყავთ ისე ხშირად როგორც ძველად. უკვე 15-20 წელიწადია რაც მის ადგილს დოლისპური იკავებს. დიკა იზრდებ დაბალი ხულუგოსთან შედარებით, ღეროც მასზე წვრილი აქვს, თავი თხელი, ფხიანი, თესლი ცხოველი, ოქროსფერი და მეტად ნოყიერი და სასიამოვნო პური იცის. რეალურად მისმა თხელმა თავმა განაპირობა მისი ჩანაცვლება დოლი პურით.

იმისდა მიუხედავად, რომ **ასლის** ჯიში სხვა ქვეყნებში უკვე ქრება, საქართველოში მის თესვა-მოყვანას მე-19 -- მე-20-ს-შიც მისდევდნენ. თანამედროვე მკვლევარების დაკვირვების შედეგად ჩანს, რომ ქართველ მიწადმოქმედებს რც ამჟამად გამოუჩენიათ გულგრილობა ასლის მიმართ. ისინი წინდებურად განაგრძობენ მის მოყვანას. მისმა შესწავლამ ცხადყო, რომ ასლის რამოდენიმე სახეობა არის გადარჩენილი, ზოგი მათგანი ქართველი მეცნიერებისათვის უცნობიც კი გახლდათ. იგი გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ მისი გავრცელება ბოლომდე არ არის შესწავლილი, თუმცა ისინი გავრცელებულია როგორც დაბალ ასევე მაღალ ადგილებშიც. იგი მოჰყავდათ მანგლისში, წალკა-თრიალეთის მიდამოებში, ბორჯომ-ბაკურიანში და ქართლის მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილში, ერწო-თიანეთსა და ფშავ-ხევსურეთში, ასევე ლიახვის ხეობაში, მოხის-ხაშურის მიდამოებში და ა.შ. აქედან გამომდინარე გასაგებია, რომ სხვა უამრავ ადგილას მოჰყავდათ ასლი, რადგან იგი ძალზედ ფართოდ იყო გავრცელებული აღმ. საქართველოში. იგი უხვად იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოშიც, უმეტესწილად კი რაჭასა და ლეჩხუმში. მაგრამ, ახალი კულტურის გავრცელების მერე უამრავ ადგილას გაქრა ხორბლის ეს უძველესი სახეობა, რამაც განაპირობა დღესდღეობით მისი შემცირება. ამჟამად აღმ. საქართველოში გავრცელებული არის უმთავრესად ორმარცვლიანა ანუ „მახა“ და ერთმარცვლიანა „ზანდური“. სამაგიეროდ დასავლეთ საქართველოში მახასთან ერთად ზანდურიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული, მაგ: მე-18-ს-ში.

თანამედროვე საქართველოში ხორბლეულთაგან საკმაოდ გავრცელებულია „თავთუხი“. **თავთუხი** — მაგარი ხორბლის ქართული ჯიშია. სითბოსა და ტენის მოყვარული მცენარეა. გავრცელებულია დაბლობ ზოლში ზღვის დონიდან 600-800 მეტრამდე. თავთავი მკვრივი და ფხიანია, მარცვალი — მსხვილი. ბოტანიკური, ეკოლოგიური და ბიოლოგიური ნიშნებით განასხვავებენ ზემო და ქვემო ქართლის თავთუხებს. საქართველოში თავთუხის ნათესები თანდათან მცირდება. უფრო მეტი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს მის მოყვანას შიდა ქართლში, როგორც გვიანი თესვის ამტან და ზამთრისაგან დაზიანებული ნათესების სადაზღვევო ჯიშს. თავთუხი ძვირფასი სასელექციო მასალაა. იგი ყველა სხვა ხორბლეულზე ნაკლებ გავრცელებული იყო. იგი უმთავრესად მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე და ბორჩალოს ველზე იყო გავრცელებული. თბილისის მიდამოებში თავთუხის ნათესები უკვე მცირდება, რათა აქ უპირატესობა დოლისპურს აქვს მოპოვებული. ამასთანავე თეთრი თავთუხი ავჭალა-მცხეთის სანახებში უფრო და უფრო მცირდება, შავფხა თავთუხი კი ხშირია. მანგლის-ბაშქიჩეთის მიდამოებში მაგარი ხორბლეულის თავთუხის ნათესები მცირდება და უპირატესობა რბილ ჯიშს, დოლისპურსა და დიკას ენიჭება. ოფრეთ-დმანისის იქით კი საგრძნობლად არის გამქრალი თავთუხი. მანგლის-ბაშქიჩეთიდან ოფეტ-დმანისამდე გავრცელებული არის უმთავრესად თეთრი თავთუხი და შავფხა თავთუხი.

ქართლის ყანებში მაგარ ხორბლეულთაგან ამჟამად გავრცელებული არის მხოლოდ 2 სახეობა, შავ-თაველა თავთუხი და შავფხა თავთუხი. წალკა-თრიალეთის და ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოებში თავთუხის საყანურები იშვიათად გვხვდება. მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქართლის ბარის არეში თავთუხი ჯერ კიდევ მოიპოვება, მაგრამ ერწო-თიანეთსა და ფშავეში მაგარი ხორბლეულის ნათესები აღარსად არის, არადა მაგარი ხორბლეული ძლებდა ასეთ პირობებში საკმაოდ იოლად. დასავლეთ საქართველოში თავთუხი ნაკლებად გვხვდება იქაც კი, სადაც ხორბლის კულტურა კარგად არის შემორჩენილი. ასევე რაჭაში განიცდის თავთუხი დეფიციტს, უფრო ქვემო რაჭაში თესავენ 1000 მ-ზე მაგრამ აქაც აქა-იქ. საქართველოში ცნობილი 15 თავთუხის სახეობიდან აქ მხოლოდ 5 მოიპოვება. ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ თავთუხი ვერც დოლისპურსა და დიკას ვერ შეედრება გავრცელების არეებით. თუ გავიხსენებთ სიტყვა თავთუხი საქართველოში გვიან ჩნდება, დაგვებადება ზარი რომ ეს მაგარი ჯიში საქართველოში სამხრეთ-აღმოსავლეთიდან გამოჩნდა.

საქართველოში მოიყვანებოდა ბრინჯი. **ბრინჯი** (ლათ. *Oryza*) ერთწლოვანი მცენარის გვარი მარცვლოვანთა ოჯახისა. ცნობილია დაახლოებით 20 სახეობა; გავრცელებულია უმთავრესად ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში. მის გვარს განეკუთვნება სათესი ანუ კულტურული ბრინჯი (*Oryza sativa*), რომელიც იყოფა (მარცვლის სიგრძის მიხედვით) 2 ქვესახეობად: მოკლემარცვლიანი (4 მმ-მდე) და ჩვეულებრივი (5-7 მმ-ზე

მეტი). ერთწლოვანი კულტურული ბრინჯი 60-150 სმ სიმაღლის მცენარეა. ყვავილენი საველაა, თავთუნი ერთყვავილიანი; ნაყოფი — მარცვალი, კილიანი. კილგაცილი ბრინჯის წიმიური შემადგენლობაა (%-ობით): წყალი — 14,0, ნახშირწყლები (უმთავრესად სახამებელი) — 75,2, ცილა — 7,7, ცხიმი — 0,4, უჯრედისი — 2,2, ნაცარი — 0,5. მცენარე თვითდამმტვერავია, ზოგჯერ ჯვარედინმტვერია; სითბოს მოყვარული -1° C იღუპება. კარგად ხარობს მჟავე ნიადაგზე, იტანს მლაშესაც.

ბრინჯი მრავლდება თესლით, ჩითილით. თესლი ღივდება 10-12,5° C -ზე. კულტურულ მცენარეთა შორის ბრინჯი ერთადერთია, რომელიც მოჰყავთ წყლით დაფარულ ნიადაგზე (მთლიანად სავეგეტაციო პერიოდში), რაც სავსებით აკმაყოფილებს მცენარის ფიზიოლოგიურ მოთხოვნას ნიადაგის წყლის რეჟიმისა და საკვები ნივთიერებისადმი. მოსავალს იღებენ მინდვრიდან წყლის გაშვებისა და ნიადაგის გაშრობის შემდეგ.

ბრინჯის სამშობლოა ინდოჩინეთი. აქედან გავრცელდა ჩინეთში, იაპონიაში, წინა აზიასა და ირან-ერაყის ტერიტორიაზე. გავრცელებულია შუა აზიასა და ამიერკავკასიაში (მოჰყავთ ძველთაგანვე), ყაზახეთში, უკრაინაში, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში, შორეულ აღმოსავლეთში და სხვა.

საქართველოში ბრინჯი სავარაუდოდ ირანიდან შემოიტანეს, გავრცელდა ქვემო ქართლის სარწყავ ადგილებში, ივრის ნაპირებსა და ალაზნის მარცხენა მხარეს, აჭარაში, გურიასა და სამეგრელოში. 1900 წლიდან მისი ნათესი ფართობი თანდათან შემცირდა და ამჟამად ჩვენში აღარ მოჰყავთ. ბრინჯი მნიშვნელოვანი სამრეწველო კულტურაა. აზიის ქვეყნებში (ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია) ბრინჯი ძირითადი საკვები პროდუქტია. მისგან ამზადებენ ყუათიან ბურღულს. ნამჯისაგან აკეთებენ ქუდებს, კალათებს, ჭილოფს, ქაღალდსა და სხვა.

საკვებ მარცვლეულთაგან საქართველოში გავრცელებული იყო ბრინჯი, მაგრამ უცნობი არის ყველასათვის თუ რა დროიდან ჩნდება იგი საქართველოში. ძველი ხანის მწერლობის ქართული ძეგლები ნაკლებად არის შესწავლილი და უფრო ნაკლებად არის გამოქვეყნებული, რომ საბოლოოდ გახდეს შესაძლებელი დასკვნა, არსებობდა, თუ არა, ამ ინდოეთისა და მის მეზობლად მდებარე ცხელი ქვეყნების მცენარის სახელი მე-19 ს-ზე უწინარეს ხანაში. თუ ეს მარცვლეული იმ უძველეს ხანაშიც საქართველოში შემოჰქონდათ, მაშინ, ცხადია, მისთვის ახალ სპარსულისგან ნასესხები ბრინჯის მაგიერ, სხვა რაიმე უნდა ჰქონოდათ ჩვენს წინაპრებს.

ბრინჯს მეგრულად ამჟამად „ორგზა“ ან „ორზა“ ეწოდება. ეს იმას ნიშნავს რომ ბრინჯი დასავლეთ საქართველოშიც მოიპოვებოდა. დასავლეთ საქართველოში ბრინჯის კულტურა

ადმოსავლეთ საქართველოდან არ უნდა იყოს შესული, რადგან თვით მისი მეგრული განმარტება ორგზა გვეუბნება რომ შესაძლებელია იგი ოსმალეთიდან შემოიტანეს დასავლეთ საქართველოში. ბრინჯის კულტურისათვის დასავლეთ საქართველოს ზღვის სანაპირო ზოლში, ნიადაგისა და ჰავის აუხვი ნოტიობის წყალობით, მეტად ხელსაყრელი პირობები იყო. ძველი მონაცემებით დასავლეთ საქართველოში ბრინჯის მოყვანას დიდი ხნის წარსული უნდა ჰქონოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჭანეთში ახლაც მოჰყავთ ბრინჯის ადგილობრივი, მუქი, მაგრამ გემრიელი ჯიში, რომელიც თურმე ურწყავი, მთაშიც კი ხარობს და მშრალ ადგილებშიც. სასურველია ჩვენმა აგრონომებმა ამ ჭანური და ოდიშის ბრინჯებს ყურადღება მიაქციონ, რათა ის მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს ეკონომიკისთვის. აღსანიშნავია, რომ ოდიშის ბრინჯის კულტურა იმდენად ინტენსიური ყოფილა, რომ საგარეო ექსპორტის საგნადაც ქცეულა. ის საკმარისი ყოპილა მაშინდელი საქართველოსათვის და ოსმალეთის გემებსაც კი გაჰქონდათ საქართველოს მაშინდელი პორტებიდან.

დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის ბოლომდე ითესებოდა ბრინჯი. მოჰყავდათ როგორც სველი, ისე მშრალი ბრინჯი და ბოჭკოვანი მცენარეები: **სელი** და **კანაფი**. ბერძენი მწერლები მიუთითებენ კოლხური სელის მაღალ ხარისხზე — მისგან კარგი თევზსაჭერი ბადეები, ჩინებული სანაოსნო იალქნები მზადდებოდა. ანტიკურ სამყაროში განთქმული იყო აქაური სელის ტილო, რომელიც მეტოქეობას უწევდა ეგვიპტის საუკეთესო სელის ქსოვილებს. სელისა და კანაფისაგან ზეთსაც ხდიდნენ. კანაფი, როგორც საზეთე მცენარე, გავრცელებული იყო სვანეთში. კანაფის ზეთს საკვებადაც იყენებდნენ და სამკურნალოდაც. კანაფისაგან რბილი და მტკიცე ტილო იქსოვებოდა. XIX საუკუნის ბოლოს კანაფის ტრადიციულმა მეურნეობამ, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული სვანეთის საოჯახო მრეწველობაში, საგრძნობი ცვლილება განიცადა. სვანეთში სავაჭრო კაპიტალის შეჭრას და მზა პროდუქციის გავრცელებას ჯერ კანაფის ნაწარმზე მოთხოვნილების დაქვეითება მოჰყვა, შემდეგ — სათესი ფართობების საგრძნობლად შემცირება.

### 3.3. მეხილეობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი

ხე-მცენარეები ორ მთავარ ჯგუფად არიან დაყოფილნი, „ნაყოფიერნი“ და „მალნარისანი“-ებად. რათქმაუნდა ნაყოფიერნი მიეკუთვნებიან ისეთ ხეებს, რომლებიც ნაყოფს აძლევენ ადამიანს და გამოდგებიან სოფლის სამეურნეო საქმიანობისათვის. ხოლო მალნარისანი მიეკუთვნებიან ფურცელითა და ყვავილებით შემოსილ უნაყოფო ხეებს, რომლებიც ძირითადად ტყეში არიან გავრცელებულნი.

საქართველოში ასევე გავრცელებული არის ხილის მრავალი ჯიშის. ხილი რამოდენიმე კლასიფიკაციად იყოფა, „ხილი ტყისანი“, „ხილი წალკოტა“, „ხილი მთისანი“ და „ბართა ხილი“. რასაკვირველია ადამიანი აქედან უმეტესწილად ბართა ხილით სარგებლობს. ხილის კლასიფიკაცია ასევე ორ ჯგუფად იყოფა, რომელთაც „ხილი“ ანუ ნაყოფიანი ეწოდებოდა და „ბალახთა“ ანუ უმერქნო მცენარეთა ჯგუფად.

ნაყოფიც ორ მთავარ ჯგუფად არის დაყოფილი: ერთ ჯგუფს „ქერქრბილნი“ შეადგენენ. მაგ: ვაშლი, ლიმონი, ყურძენი, მსხალი, ატამი, ქლიავი და უამრავი სხვა რამ. მეორე ჯგუფს კი ნუში, ნიგოზი, კაკალი, წაბლი და უამრავი სხვა ქერქმაგარი ხილი. აღსანიშნავია, რომ ქერქრბილ ხილს მიეკუთვნებიან ხორცრბილი, ანუ წვენის შემცველი ხილნი, ხოლო ქერქმაგარს კი მშრალი, ხორცმაგარი ხილნი.

რაც შეეხება ტყის ველური ხის ნაყოფები ცალკე ჯგუფებად ყოფილა დაყოფილი და „ხიჩატელ“-ად იწოდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ სულხან-საბა ორბელიანს არ დაუსახელებია ამ სიტყვის განმარტება და ამიტომ არ ვიცით ჩვენ ამ სიტყვის თვისება.

ქართველები ოდითგან მისდევდნენ მეხილეობას და მიწათმოქმედების სხვა დარგებთან ერთად მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს. VI-IV საუკუნეების უძველესი ბერძნული ცნობებიც მიუთითებს საქართველოში მეხილეობის ფართოდ გავრცელებაზე. ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში მთელი იმდროინდელი საქართველო, ველებიდან დაწყებული, ზღვის დონიდან 1000-1200 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ადგილების ჩათვლით, ვენახ-ხილიან ზოლად არის წარმოდგენილი. ქართველმა ხალხმა თავის ბაღ-ხილნარს «მტილ-სამოთხეები» და «ბაღ-წალკოტები» უწოდა.

წმინდა ხილის ბაღები საქართველოში გავრცელებული იყო ქართლში, იმერეთში, სამცხეში. ქართველმა მეურნემ, შემოქმედებითი ძიების გზით, «გლეხურ ლაბორატორიულ პრაქტიკაში» შეძლო მიეღწია ხეხილის ჯიშთა მრავალფეროვნების დასიმრავლისათვის. ამაზე მეტყველებს ნიადაგის შერჩევის ცოდნა, უმცირესი მიწისნაკვეთების მომზადება საშენად რამდენიმე წესის გამოყენებით: ტერასების მოწყობით, ჭაობის დაშრობით, შემობარვითა და ა.შ.; ხეხილის მოვლის წესები, მცნობის ტრადიციული წესები, ხილის საკრეფი ხელსაწყო-იარაღების მრავალფეროვნება და ა.შ.

ქართული ხილის ცნობილი ჯიშებია: მეფის ვაშლი, თურამაული, კალოს მსხალი, გოგრა-ბალი, ხიდისთაური სახრავი, ალიბურახი და ა.შ.. სამცხეში, განსხვავებით საქართველოს სხვა რეგიონებისაგან თუთის ხის გამოყენების მრავალმხრივი პრაქტიკაც დასტურდება. ისტორიულად ქართველი ხალხი საოჯახო მეურნეობაში ფართოდ გამოიყენებდა ველურად მზარდ ტყის ხილეულს სამკურნალოდ, სამღებროდ და საკვებად. სხვადასხვა

რეგიონში დასტურდება «ტყის მეხილეობის» არსებობაც, რომლის ძირითადი მიზანია უშუალოდ ტყეში, სანამყენე ხეზე, იმავე სახეობის შინაური ხეხილის ტოტის დამცობა და ამით ამ ადგილის დასაკუთრება. აქვე მისდევდნენ მცენარეულის კულტივირებასა და სასარგებლო მცენარეების შერჩევა-დანერგვას.

მეხილეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი, ტრადიციული და უმნიშვნელოვანესი დარგია, რომლებსაც ყოველთვის დიდი წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის ეკონომიკის ფორმირებაში. ივ. ჯავახიშვილი მოგვითხრობს, რომ ქართველები თავიდანვე განასხვავებდნენ ერთმანეთისაგან ნაყოფის ორ ჯგუფს: პირველს განეკუთვნებოდა ხილის ის სახეობები, რომელსაც ადამიანი საკვებად იყენებდა, და მეორე - რომელსაც ადამიანი ცხოველებისა და ფრინველების გამოსაკვებად იყენებდა.

არსებობდა ხილის როგორც ადრეული, ასევე გვიანი ჯიშებიც. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომიკის განვითარების მხრივ, რადგან ხილი, რომელიც ძნელი საშოვნელი იყო ძვირიც ღირდა, ამიტომ სოფლის მეურნეობაში ადრეულ პროდუქტსაც მეთი ღირებულება ჰქონდა და გვიანეურსაც, როგორც ეს დღეს ხდება. ის ადგილები, სადაც მხოლოდ ხილი იყო დარგული „ხილნარად“ იწოდებოდა. „ხილნარი“ - ხეხილის ბაღს ნიშნავს. ეს ტერმინი ორი ნაწილისაგან : ხილისა და ნარისაგან შედგებოდა. ს. ორბელიანის განმარტებით „ნარი ეკლიანი ბალახია“ (ლექსიკონი) დღესაც ამ სიტყვას ამავე მნიშვნელობით ვიყენებთ, მაგრამ როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს და სამართლიანადაც, ამ სიტყვას უწინ შეიძლება უფრო ოგადი მნიშვნელობა ჰქონოდა. ამას მოწმობს თუნდაც ისეთი სიტყვები, როგორიცაა: ფიჭვნარი, ნაძვნარი, თხილნარი, რცხილნარი და სხვა.

დღესდღეობით **მცნობა** საკმაოდ ფართოდ გამოიყენება სოფლის მეურნეობაში. მცნობა, ერთი მცენარის (სანამყენე) კალმის ან კვირტის გადანერგვა მეორე მცენარეზე (სადირე). მცნობა ხეხილოვანი ჯიშების ვეგეტატიური გამრავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. მას იყენებენ მრავალწლოვანი მცენარეების ჯიშური თვისებების შესანარჩუნებლად, გასაუმჯობესებლად. საძირისა და სანამყენის შერჩევა ხდება მათი მაღალი სამეურნეო თვისებების, ყინვა-გვალვა და მავნებლებ-დაავადებებისადმი გამძლეობის, აგრეთვე ადრე მსხმოიარობის მიზნით.

მცნობის ტექნოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს მეხილეობაში ამიტომ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა იყენებდნენ თუ არა ამ მეთოდს სოფლის მეურნეობაში ძველ საქართველოში. ს. ორბელიანს მცნობა განმარტებული აქვს ასე: „მცნა - სხვა ხე სხვას ხეზედ მოაბა“ (ლექსიკონი) ორბელიანთან ვხვდებით სიტყვა “ნამყენსაც”, რომელიც ასე აქვს მოხსენიებული „ნამყენი - ხე ხეზედ შეპერწილი“. ამ განმარტებებიდან ცხადი ხდება,

რომ მე-17 და მე-18 საუკუნეების საქართველოში მცნობის ტექნოლოგია ქართველ სოფლის მეურნეების კარგად უნდა სცოდნოდათ და გამოეყენებინათ მეურნეობაში.

დღესაც მცნობას ფართოდ იყენებენ სოფლის მეურნეობაში. მცნობით მცენარეს აძლევენ სხვადასხვა ფორმას. ცნობილია მცნობის მრავალი წესი, რომელთაგანაც წარმოებაში იყენებენ 10-15-ს. ხეხილოვანი ჯიშების მცნობას ატარებენ კვირტით (ოკულირებით), კალმით, სალტით, შეხებით (აბლაქტირება). სპეციალური მიზნებისათვის იყენებენ აგრეთვე საძირის ქერქზე გაღივებული თესლით მცნობას და სხვა. ბალახოვანი მცენარეების მცნობა ხდება ნაყოფის ნაწილებით, გორგლებით, ბოლქვებით, ერთი თესლის ჩანასახის გადატანით მეორეზე. ზამთარში მცნობა ტარდება მცენარის ვეგეტატიური სვენების პერიოდში (შენობაში), გაზაფხულზე — მარტიდან ივნისამდე, ზაფხულში — ივნის-სექტემბერში.

არსებობს მცნობის სხვადასხვა მეთოდი: *კვირტით მცნობა* (ოკულირება) მცნობის ყველაზე გავრცელებულია წესია — საძირე კარგად იზრდება, სანამყენე მასალა ნაკლები იხარჯება. ჯვირტით მცნობა რამდენიმე ოპერაციისაგან შედგება: კვირტის ანათალის აღება; საძირეზე, ფესვის ყელთან, ნიადაგიდან 5—7 სმ სიმაღლეზე T ფორმის ჭრილის გაკეთება. კვირტის მოთავსება ჭრილში და შეხვევა (ხრალით და სხვა). ზოგი ჯიშის კვირტი ძნელად უხორცდება საძირეს. ასეთ შემთხვევაში იყენებენ 2 კვირტით მცნობას. კალმით მცნობა ტარდება — კოპულირებით, გვერდითი ჭრილით, სოლით, გაპობით, ქერქქვეშა გადახიდვით და სხვა. მევენახეობაში უფრო კალმით მცნობას იყენებენ. მცნობის მექანიზაციისათვის საქართველოს მეზღვეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შექმნილია ვაზის სამცნობი მანქანა. *სალტით მცნობას* იყენებენ კაკლის, წაბლის, თუთისა და სხვა ვეგეტატიური გამრავლებისათვის. საძირეს შემოაცლიან ქერქის სალტეს და შიგ ჩასვამენ იმავე ზომის სანამყენე ქერქს კვირტიანად. შეხებით მცნობა ერთმანეთთან ახლომდგომ მცენარეთა ტოტების მიახლოება და შეზრდაა. მთლიანი შეზრდის შემდეგ სანამყენე ტოტს აცლიან დედა მცენარეს და ტოვებენ საძირეზე. *შეხებით* მცნობას იყენებენ მევენახეობაში, მეხილეობასა და დეკორატიულ მეზღვეობაში.

## ქართული ხილი

**ვაშლი** ერთ-ერთი უძველესი ხეხილოვანი მცენარეა, კულტივირებულია დაახლოებით 4 ათასი წლის წინათ. ხეხილის ნარგაობათა შორის, ფართობისა და პროდუქციის მხრივ, ვაშლს პირველი ადგილი უჭირავს დედამიწის ზომიერი სარტყლის ფარგლებში. ცნობილია 10 ათასზე მეტი ჯიში, მათგან საქართველოშია 200. საქართველოში ვაშლი ფართოდაა გავრცელებული მეხილეობის ყველა ზონაში, კერძოდ, კახეთში, ქართლში, მესხეთში,

აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, გურიაში, აჭარაში, სამეგრელოში, აფხაზეთში და სხვაგან.

საქართველოში ძველად ვაშლს ვიწურად „უშქური“ ეწოდებოდა, ათინურად „ომკური“, ხოფურად - „უშკირი“ (ჭ. გ., 477) მეგრულად ვაშლს - „უშქური“ ეწოდება, სვანურად კი - „ვისგი“ (საბა - კორკიმელი (ხე); ვაშლატამი (ხ) , ლექსიკ). ვახუშტის გარეული ვაშლის სახელად მაჟაველი აქვს გამოყენებული, ს. ორბელიანს კი მაჟალო. რ. ერისთავს მოხსენიებული აქვს თავის ლექსიკონში „სირვაშლა“ და „ჩიტვაშლა“, საიდანაც პირველი გავრცელებული ყოფილა ქართლ-კახეთში, ხოლო მეორე - იმერეთსა და რაჭაში. რ. ერისთავი ამ სახელებს ხის აღსანიშნავად ხმარობს, თუმცა არ აკონკრეტებს, კონკრეტულად რომელ ხეს გულისხმობს. „სირი“ ჩიტის სახელი იყო ძველ საქართველოში, ამიტომ ს ი რ ვ ა შ ლ ა ბუჩქის ძველი სახელი უნდა იყოს, როგორც ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს და ჩ ი ტ ვ ა შ ლ ა კი უფრო გვიანდელი.

საინგილოში 5 სხვადასხვანაირი ჯიშის ვაშლი ყოფილა. „თ ა ფ ლ ს - ვ ა შ ლ ი“, - რომელიც მოწითალო, მრგვალი, ტკბილი და სურნელოვანი ყოფილა. „ქ ვ ა ბ ვ ა შ ლ ა“, - მომრგვალო, მოწითალო, მეტად ტკბილი და გამძლე. „წ ი თ ე ლ ვ ა შ ლ ი“ - მსხვილი, წითელი და მომჟავო. „თ ე თ რ - ვ ა შ ლ ა“ - მსხვილი და სურნელოვანი. „ჭ ი რ - ვ ა შ ლ ი“ - გარეული ვაშლი, რომელიც მსხალს და პანტასაც ნიშნავს.

შიდა ქართლში ყოფილა შემდეგი ვაშლის ჯიშები: თურაშაული, აბელლაური, რევაზბეგი, კიტრა-ვაშლი, ყარყარა-ვაშლი, ხომანდური, ხე-ვაშლი, ბორავაშლი. გეევსკისთან სამცხეში არსებულ ვაშლებიდან ვხვდებით „ა ჯ ა რ - ა ლ მ ა ს“, რომელიც აჭარულ ვაშლს ნიშნავს.

თბილისის ბოტანიკურ ბაღში 1915 წლის მონაცემების მიხედვით დასავლეთ საქართველოს შემდეგი ჯიშები ჰქონია: უშქირი, აბელაური, შავრულა, ლიმონის-ვაშლი, დემირ - ალმა, წითელი - ვაშლი, სახაზინო - ვაშლი, საადრეულო, საივანებო, წიტელი- საზაში, ტრო - ვაშლი, ბადის - ვაშლი, ნაცარ - ვაშლი, თურქული - უშქური, თურაშაული, ყრულა - ვაშლი, სააზატო, ხვამარდის - უშქური, წითელ - გვერდა - ვაშლი, საჩხერის - უშქური, კიტრა - ვაშლი, შაქარ - ვაშლი, ბორა - ვაშლი.

ვაშლის ხის საქართველოში ფართოდ გავრცელება გეოგრაფიული სახელებითაც მტკიცდება. მას მოწმობს სოფლები ვაშლობი, ვაშლოვანი, ვაშლიანა.

დღესდღეობით საქართველოში გავრცელებული ვაშლის ადგილობრივი ჯიშებიდან ცნობილია აბილაური, ქართული დანა ვაშლი, მამულო, მახარა, კეხურა, თურაშაული, ყინულა, ნისკარტა და სხვა. შემოტანილი ჯიშებიდან დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს



ზამთრის ზანანს, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის ჯიშია და საქართველოში შემოიტანეს XX საუკუნის დასაწყისში. იძლევა საუკეთესო პროდუქციას; ასევე კანადურ რენეტს, შამპანურ რენეტს, აპორტს, როზმარინ თეთრს, ბელფლორ ყვითელს, შაფრანს, ზამთრის პარმენს და სხვა. ქართველმა სელექციონერმა თ. ცერცვაძემ გამოიყვანა ვაშლის ახალი ჯიშები: „საგამოფენო“, „გორული სინაპი“, „ივერია“, „საქართველოს პიონერი“. ვაშლს საგრძნობ ზიანს აყენებს ვაშლის ჩრჩილი, ვაშლის ნაყოფჭამია, ფოთლის რინქიტი და სხვა. დაავადებათაგან ვაშლისთვის საშიშია ვაშლის ქეცი და ნაყოფის სიდამპლე.

**მსხალი** (Pyrus), ხეხილოვანი მცენარის გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. ცნობილია 5000–მდე ჯიში, საქართველოში — 150-მდე. მსხალი უძველესი კულტურაა. მსხალი, ისევე როგორც ვაშლი, საუცხოო ხილად იყო მიჩნეული საქართველოში. მსხალს მეგრულად „სხული“ ეწოდება, ჭანურად - „ცხული“, ხოლო სვანურად - „იცხ“. მ. ჯანაშვილის მიხედვით საინგილოში გავრცელებული ყოფილა შემდეგი მსხლის ჯიშები: უგულო, ზამთრულა, კალოს - მსხალი, მერახულა, მაჰბარამი, კვირიშტავი, ჩიტი - მსხალი, ნარ - არმუტი, ჭირი - პანტა. (მ. ჯანაშვილი, საინგილო; ძვ. საქართ, 2 ტ, 102). რ. ერისთავს შემდეგი მსხლის ჯიშების სახელები შეუგროვებია: ბორბალა, გვერდწითელი, გულაბი, თავრუჯული, მალაჩინის, მილახური, მკათათვის, პანტა, ყბა - წითელი, ხეჭეჭური. მასვე აქვს მოხსენიებული გურული სახელებიც : ვაზის ძირა, კაცის თივა, საივანებო, სასელო, საყვითლია და სხვა. გურიასა და იმერეთში გავრცელებული ყოფილა სახელი „ჭკუტა“, რომელიც წვრილი მსხალი, იგივე პანტა უნდა იყოს.

თბილისის ბოტანიკურ ბაღში 1915 წელს მუხრანიდან ჩაუტანიათ შემდეგი მსხლის ჯიშები: თიბათვის - მსხალი, მოკლე - ყუნწა, ვირ - სხალი, გულაბი ზამთრის, ლეკის - მსხალი, მუხრანული მსხალი. შიდა ქართლიდან თბილისის ბოტანიკურ ბაღს ჰქონია: საკალოო მსხალი, შავი - მსხალი, ... დასავლეთ საქართველოდან: სააზატო - უჩა, ჯანგარა, გერი, ჭითა, საივანობო მსხალი, ხეჭეჭური, კაცის თავი, თავრეჭული - მსხალი, საყვითლიე - მსხალი, ზამბა, ბორო, გულაბი ზამთრის, ყვითელი მსხალი, თათრული საივანობო, საქარე, დუშეთის მსხალი, საადრეგო - მსხალაი, ზამთრის მსხალი, მუხა - მსხალი, შავ - მსხალი, სასელო მსხალი.

მსხლის ხე დღესაც საკმაოდ ფართოდ არის კავკასიაში გავრცელებული. მოსავლიანობა საშუალოდ 1 ჰა-ზე 5 ტონას შეადგენს. განარჩევენ მსხლის ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის ჯიშებს. საქართველო მსხლის წარმოშობის ერთ-ერთ კერად ითვლება. აქ გავრცელებულ ადგილობრივ ჯიშებს ყოფენ გულაბად, პანტად, კალოს მსხლად და ხეჭეჭურად. საქართველოში მსხლის ნარგაობას უკავია 4200 ჰა. მრავლდება მყნობით, თესლით (სელექციაში ახალი ჯიშების გამოსაყვანად).

**ქლიავი** ძველ საქართველოში ჯიშთან ხილად ყოფილა მიჩნეული. ამ ხილის შესახებ ცოტა ინფორმაცია გვაქვს. ცნობილია, რომ ჭანურად ქლიავს „ყომურ“, „ომური“, და „ომბრი“ ეწოდება. ჭანებს ქლიავის სხვადასხვა ჯიში მოეპოვებოდათ: „ყომურ - ლავა“, მარიაშენა“, „ყომურ - ქართული“, „ყომურ - ღეჯი“, „ყომურ - ჭაჭი“ (ჭ. გ , 204) ამ ჯიშების სახელები ნოკო მარს განმარტებული არ აქვს. მხოლოდ „ყომურ - ჭაჭის“ შესახებ ამბობს, რომ იგი ჰგავს გურულ ჭანჭურს. „ქლიავის“ გვერდით საბას მართო ხის პირობითი ნიშანი აქვს დასმული და ეს ხილი განმარტებული არ აქვს. საინგილოში 6 ჯიშის ქლიავი ყოფილა: წითელა, ვაშლა, ისფერი - იისფერი, ცომა, ტყიმალა, ჩურჩა. თბილისის ბოტანიკურ ბაღში დასავლეთ საქართველოდან ქლიავის შემდეგი ჯიშები ჰქონიათ : (1915 წ.) შავი, ჭანჭური, შავ - ქლიავი.

„ლოღნაშოს“ ხმარობს საბა ლოღნაშოს მაგივრად და მისი განმარტებით ლოღნაშო „მრგვალი წურილი ქლიავი“-ს სახელი იყო. **ტყემალს** და ქლიავს თურქულად „ერიქი“ ერქვა. არსებობდა „შუშატყემალიც“. ს. ორბელიანის განმარტებით „შუშატყემალი შინაური ტყემალი არ არის, რომელსაც სპარსნი ალუჩას უხმობენ“ - ო (ლექსიკონი).

**ალუჩა** (*Prunus Vachushtii*), მრავალწლოვანი ხეხილოვანი მცენარე ტყემლოვანთა ქვეოჯახისა. უეკლოა, 10-13 მ-მდე სიმაღლისა. სითბოს მოყვარულია, გვხვდება ბარში და ზეგანზე, ზღვის დონიდან 500-700 მ სიმაღლემდე. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად. გამრავლების სირთულისა და ნაკლები გამოყენების გამო ალუჩა გადაშენების გზაზეა. ალუჩის ნაყოფი მოყვითალო-მომწვანოა. მსხვილი, დაბერილი გვერდები აქვს, კანი - თხელი და ნაზი. საადრეო სუფრის ხილია. ნაყოფის წვეწვს სუსტი მჟავიანობა ახასიათებს. ალუჩა გვხვდება აზერბაიჯანში, სომხეთში. საქართველოში უხსოვარი დროიდანაა ცნობილი. საქართველოში დღესდრეობით მოჰყავთ ალუჩის ორი ჯიში - მეჩიბუხე და იმერული.

**ბალი** (*Cerasus avium*), ალუბლის გვარის ხეხილოვანი მცენარე ვარდისებრთა ოჯახისა. ხე ინტენსიურად იზრდება (სიმაღლე 15-20 მ-მდე), აქვს მორიგეობით განლაგებული ტოტები და სწორი, მაღალი შტამბი. ფოთოლი მოგრძო ელიფსური ფორმისაა, ყვავილი თეთრი, ქოლგებად შეკრებილი, ნაყოფი კურკიანა - მომრგვალო ან გულისებრი, სხვადასხვა შეფერილობის (ყვითელი, ვარდისფერი, წითელი და შავი). მ. ჯანაშვილის გადმოცემით სულ ოთხნაირი ბალი არსებობდა საინგილოში: „თეთრი ბალი“, „შავი - ბალი“, „ქალდა - ბალი“ და ბალღუმჭი“, რომელიც გარეული ბალია. მ. ჯანაშვილის აზრით ალუბალი მიჩნეული უნდა ყოფილიყო კულტურულ ბლად. თბილისის ბოტანიკურ ბაღში (1915 წ.) დასავლეთ საქართველოდან ჩამოტანილი შემდეგი ჯიშები გვხვდება: შავი მაისის ბალი, თეთრი - ბალი, ლოყა - წითელი ბალი. სპარსულად ალუბალს ალუ - ბალუ ეწოდება. ალუ კი ცალკე აღებული - ტყემალს ნიშნავს. ბალს სპარსელები გულნარს უწოდებდნენ.

დღეს საქართველოში ფართოდაა ცნობილი ნაპოლეონის ვარდისფერი, მარკის ადრეულა, დროგანის ყვითელი, აგრეთვე ადგილობრივი ჯიშები - ჭოპორტულა, კახაბალი, ძუძუბალი. დარაიონებული ჯიშებია თათრული შავი, ხარისგულა და დროგანის ყვითელი. ეს უკანასკნელი არის უხვმოსავლიანი და საკმაოდ ყინვაგამძლე.

**შინდი** (ლათ. Cornus) — მცენარეთა გვარი შინდისებრთა ოჯახისა. ბუჩქები ან პატარა ხეებია. 50-მდე სახეობა გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ამერიკასა და აფრიკაში. ყირიმსა და კავკასიაში იზრდება მხოლოდ 1 სახეობა — ჩვეულებრივი შინდი (ლათ. Cornus mas), რომელიც საქართველოსთვის ხშირი სახეობაა. გვხვდება ზღვის დონიდან 1300 მეტრამდე, მთის ქვედა და შუა სარტყლის ფოთლოვან ტყეებში, უმეტესად ქვეტყის სახით. შინდის მწიფე ნაყოფი მეტწილად მუქი წითელია, მაგრამ არის ყვითელნაყოფა ფორმებიც (ოქროშინდა). სასიამოვნო მომჟავო-მოტკბო გემო აქვს. ს. ორბელიანს შინდი განიმარტავს, როგორც „ცხრატყავა“, თავის ლექსიკონში ხის პირობითი ნიშნის დართვით. საინგილოში შინდის 6 ჯიში არსებობდა: „თეთრი შინდი“, „შავი-შინდი“, „წითელა შინდი“, „ნელა შინდი“, რომელიც გვიან მწიფდებოდა, „ადრეულა შინდი“, და „ტკბილ შინდი“. მ.ჯანაშვილის მიხედვით, მოსახლეობა შინდს აფასებდა, რამდენიმე ძირიც ედგათ თითოეულს მამულში, გარდა ამისა ხშირად სარგებლობდნენ იმ შინდით, რომელიც უხვად მოიპოვებოდა ტყეში. (მ. ჯანაშვილი, საინგილო; ძვ. საქართ, 2 ტ, 101).

**ატამი** (Persica Mill) — ხეხილოვანი მცენარის გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. ატამის სამშობლო ჩინეთია. მის გვარში 6 სახეობაა. მათგან ყველაზე მეტად გავრცელებულია ჩვეულებრივი ატამი, რადგანაც კულტურული ჯიშებია გამოყვანილი (ცნობილია 5 ათასამდე ჯიში). დანარჩენ სახეობებს უმთავრესად იყენებენ დეკორატიულ მებაღეობაში და კულტურის ჯიშების საძირეებად. რ. ერისთავთან ვხვდებით სახეჩ, სახრავ და საპობ ატამს. ატამს საინგილოში ორ მთავარ ჯგუფად ყოფდნენ. ერთს სახეჩი ეწოდებოდა მეორეს სახრავი.( მ. ჯანაშვილი, საინგილო; ძვ. საქართ, 2 ტ, 102 ). თბილისის ბოტანიკურ ბაღში (1915 წ.) ხიდისთავიდან ჩამოტანილი შემდეგი ჯიშები გვხვდება: წიტელი გვიანი, მოლოზნური, ბერების ატამი,ლიმონის, ატენური, წითელი, საპობი, ხიდისთავური. ხოლო დასავლეთ საქართველოდან ჰქონიათ: წიტელი ატამი, თეთრი ატამი, სამარიობო ატამი.

**კომში, ბია** (Cydonia) — მრავალწლოვანი მცენარის გვარი ვარდყვავილოვანთა ოჯახისა. კომში ველურად იზრდება კავკასიაში, შუა აზიასა და ირანში. კულტივირებულია თითქმის ყველგან. ამრავლებენ თესლით ან ვეგეტატიურად. საქართველო კომშის ერთ-ერთი სამშობლოა, აქ ადგილობრივი წარმოშობის 75 ჯიში არსებობს. საუკეთესო ჯიშებია ლაგოდების მსხვილნაყოფა, ქართული მჟავე, შილდური საგვიანო, საკომპოტე და სხვა. კომშის უმთავრეს ღირსებად ძველ საქართველოში მისი სურნელება ითვლებოდა.

**ბროწეული** (*Punica granatum*) — ბუჩქი ან ტანდაბალი ხე (სიმაღლით 5 მ-მდე) ბროწეულისებრთა ოჯახისა. ფოთოლმცვივანი ეკლიანი მცენარე. საქართველოში ბროწეული გაშენებულია უმთავრესად კახეთში, ქართლში, იმერეთსა და აჭარაში. დარაიონებული ჯიშებია: „ვარდისფერი გულომა“, „ყირმიზი-ყაბუხი“, „ვარდისფერი გულომა“, „ყირმიზი-ყაბუხი“, „შაჰ-ნარი“, „სალავათური“. (ქარ. საბჭ. ენციკლ, ტ. 2, გვ. 536—537, თბ., 1977 წელი). ბროწეული ბლომად ყოფილა გარეჯის უდაბნოში. მას დიდად აფასებდნენ მისი საუცხოო ყვავილის გამო.

ძველ საქართველოში გვხვდებოდა ხილის ისეთი ჯიშები, როგორცაა ასევე მაცვალი, თუთა, ზღმარტლი, ხურმა, უნაბი, ფინიკი, წაბლი, ნიგოზი, თხილი, ნუში,

**თურინჯი** *პომპელმუსი* (*Citrus grandis*), სუბტროპიკული მარადმწვანე ხეხოლოვანი მცენარე ციტრუსოვანთა გვარისა, მოჰყავთ დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში. სხვადასხვა დროს შემოტანილია თურინჯის 40-მდე ფორმა, გავრცელებულია ჰიბრიდული თურინჯი — ნატსუდაიდაი (იაპონური წარმოშობის). ნაყოფი მწიფდება დეკემბერში, შენახვის შემდეგ უფრო გემრიელია, შეუძლია შეცვალოს გრეიპფრუტის საუკეთესო ჯიშები. მსხლისებრი თურინჯი მწიფდება ნოემბერში, თუმცა ეს მცენარე ისე როგორც ადრე, ფართოდ არ არის გავრცელებული.

**ლევვი** საქართველოში ძველთაგანვე ცნობილია და ფართოდაა კულტივირებული კახეთში, ქვემო ქართლში, იმერეთში, გურია-სამეგრელოში, აფხაზეთსა და აჭარაში. უცხოური ჯიშებიდან სამრეწველო მნიშვნელობა აქვს თათრულს ლევვს, ჩაფლას, შაქარა ლევვს ჩიტა ლევვს, დიდ ლევვს, ოქრო ლევვს, ღვინა ლევვს, ტაბაკა ლევვს, შავ ლევვს და სხვა. ლევვს ამრავლებენ თესლით, კალმით, გადაწვენითა და ფესვით.

**ზეთის ხილი**, რომელიც გიულდენშტედტის სიტყვით ახლციხესთან ყოფილა გაშენებული, ბლომად მოჰყავდნენ და თურქებისაგან ჰქონიათ გადმორგული, თუმცა ამ ხილის ისტორიული წარმოების მაგალითებს საქართველოს სხვა ადგილებში ვერ ვხვდებით.

#### 2.4. მებოსტნეობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი

მებოსტნეობას ყოველთვის ეჭირა და უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი სოფლის მეურნეობაში. ივ. ჯავახიშვილი საინტერესო ცნობებს გვაწვდის მებოსტნეობის ასპარეზის შესახებ ძველ საქართველოში, და გვამღევეს ბოსტნეულის სხვადასხვა კლასიფიკაციას.

ამ კლასიფიკაციის პირველ ჯგუფში შედიოდა მხალი - მჟაუნა, ღვალო, რომელსაც ძველ საქართველოში საკვებ მცენარედ იყენებდნენ. ის მთელ კავკასიაში იყო გავრცელებული.

ისპანახი ანუ ასპანახი გავრცელებული მხალი ყოფილა ძველ საქართველოშიც. ამ მხალს ახსენებს ვახუშტი, გიულდენშტედტი, რ.ერისთავი.

ჯიჯლაყა, ანუ თვითმავალა ად.როლლოვს აღნიშნული აქვს, რომ ამ მცენარის ფოთლებს მწვანილად ჭამდნენ, თესლისგან კი შეჭამანდსაც აკეთებდნენ და ფრინველების საკენკადაც გამოიყენებოდა. ივ. ჯავახიშვილი მის მიერ მოძიებული ცნობების საშუალებით გვამცნობს, რომ ეს მცენარე საკმაოდ გავრცელებული ყოფილა სამეგრელოში და „ჯიჯილეი“ ერქვა.

მოლოქი, ბალბა, გოდერია - მათ შესახებ ცნობები საკმაოდ მწირია. საქართველოში ბალბას მოიხმარდნენ საკვებ მცენარედ, თუმცა ველური სახით და მის მოყვანას არავინ მისდევდა.

მსუქანა, დანდური, უკვდავა - ამ მცენარეების შესახებაც მწირი ინფორმაცია გვაქვს. ად. როლლოვის გადმოცემით დანდურს წამლადაც ხმარობდნენ.

სატაცური - ეს მცენარე ნახსენები აქვს ვახუშტისაც. ამ მცენარეს მოიხმარდნენ საკვებად ძველ საქართველოში. არქ. ლამბერტიც აღნიშნავს, რომ სამეგრელოში სატაცური ბლომად იყო.

სვინტრი - ზ. ყანჩაველი წერს, რომ სვინტრი მთელ კავკასიაში ველურად იზრდებოდა., მას ისევე ჭამდნენ, როგორც სატაცურს, მაგრამ ეს მცენარე უფრო ნაკლებად იყო გავრცელებული, მას სამკურნალო დანიშნულებითაც ხმარობდნენ.

საქართველოში გავრცელებული იყო ასევე არჯაკელი და კომბოსტო.

ბოსტნეულის მეორე ჯგუფში შედიან მცენარეები, რომლების მდელოზე მოდიოდნენ. საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული სტაფილო, ჭარხალი, ბოლოკი თალგამი.

მესამე ჯგუფში შედის მწვანილი და სანელებელი. საქართველოში გავრცელებული ყოფილა ნიორი, ხახვი, პრასი, ღანძილი, დიყა, დუცი, ჭყმიტა ანუ ჩალამბარა, ძირა, კვლიავი, ცერეცო, ანისული, კამა, სონიჯი, ქინძი, ოხრახუმი, ნიახური, ტარხუნა, ქონდარი, პიტნა, მდოგვი.

მეოთხე ჯგუფში შედიოდა - კიტრი, ნესვი, საზამთრო, კვახი, მარწყვი, ბადრიჯანი. ნესვის და საზამთროს წარმოებას მე-17 - მე-18 საუკუნეში ქართლის სამეფოში, შულავერში მისდევდნენ.

### 3.5. მევენახეობა-მელვინეობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი

#### 3.5.1 მევენახეობა-მელვინეობის მნიშვნელობა საქართველოსათვის

თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას. იმისათვის, რომ საქართველოს ეროვნული ეკონომიკა ინტეგრირებული იქნას მსოფლიო კონომიკურ სივრცეში, აუცილებელია შეიქმნას გარკვეული პირობები, რათა საშუალება მიეცეს აგრალურ სექტორში წარმოებულ სასურსათო პროდუქტებს მსოფლიო ბაზარზე გასვლისათვის.

საქართველო სოფლის მეურნეობის სერტიფიკაციის თვალსაზრისით მსოფლიო მნიშვნელობის რეგიონია, საქვეყნოდაა ცნობილი და აღიარებული რომ საქართველო წარმოადგენს ვაზის ერთ-ერთ სამშობლოსა და აკვანს; აქ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გამოყვანილია ამ კულტურათა აბორიგენული ჯიშები, რომლის ბადალი მსოფლიოში არ მოიძებნება.

ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. III-II ათწლეული) კავკასიის მეშვეობით ხორციელდებოდა ტომთაშორისი კავშირები ძველ აღმოსავლურ სამყაროსა და ევროპის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებს შორის, ხდებოდა ტექნიკურ და კულტურულ მიღწევათა გაზიარება, თუმცა ეს ურთიერთობები არალეგალური ხასიათის იყო.

ძვ. წ. II საუკუნიდან ინდოეთიდან მომავალმა დიდმა სავაჭრო გზამ ახალი საწყისი მიიღო. ამ გზით რომის იმპერიაში მაღალხარისხიანი ჩინური აბრეშუმის შეტანა დაიწყო. ეს მაგისტრალი „აბრეშუმის დიდ სავაჭრო გზად იწოდებოდა“. იგი ჩინეთში - სიანში იწყებოდა და ქ. დუნხუანიდან ორ განშტოებად მიემართებოდა დასავლეთისაკენ. ორივენ გზა ქ. ყაშგარში იყრიდა თავს, აქედან გზის სამხრეთი შტო ქალაქ ანტიოქიაში, ხოლო ჩრდილოეთის განშტოება კასპიის ზღვის, ალბანეთის, ქართლისა და ეგრისის გავლით ქ. ფაზისში ჩადიოდა.

ანტიკური ხანიდან ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადიოდა კიდევ ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი სავაჭრო სატრანსპორტო გზა, რომელიც მცირე აზიიდან მიემართებოდა და სომხეთის დედაქალაქის გავლით მცხეთამდე აღწევდა აქედან კი არაგვის ხეობის გავლით ჩრდილოეთ კავკასიაში გადიოდა.

ზემოთხსენებულს ადასტურებს ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი, რომელსაც თავის ნაშრომში „გეოგრაფია“ მოცემული აქვს ცნობები საქართველოს შესახებ, სადაც მიუთითებს 4 დიდ მაგისტრალს კოლხეთიდან, არაგვის ხეობიდან, ალბანეთიდან და არმენიიდან.

აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს „საქართველო თავის ისტორიულ წარსულში არასოდეს ისეთ პოლიტიკურ გარემოში არ მოქცეულა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა XI-XII საუკუნეებში, არასოდეს ის ასეთ ინტენსიურ კულტურულ ურთიერთობაში არ ყოფილა

ერთსა და იმავე დროს აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებთან, როგორც ეს იყო X-XII საუკუნეებში“.

მევენახეობა უძველესი დარგია. კულტურული მევენახეობის საწყისი ენეოლითურ და ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. ამიერკავკასიის, შუა და წინა აზიის მოსაზღვრე რაიონებში მევენახეობა ცნობილი იყო ძვ. წ. რამდენიმე ათასწლეული წლის წინათ. საქართველო მევენახეობის ერთ-ერთი უძველესი კერაა. აქ ვაზის გაშენება-მოვლის წესები ცნობილი იყო ძვ. წ. 3200-3300 წლის წინათ. ადგილობრივი მევენახეობის სიძველეზე მიუთითებს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, წერილობითი წყაროები, მდიდარი ხალხური ტერმინოლოგია და სხვა. განათხარი მასალა მოწმობს, რომ II ათასწლეული ბოლოს მევენახეობა საქართველოში უკვე საკმაოდ დაწინაურებული იყო. ამას ადასტურებს კახეთში აღმოჩენილი ვაზის ნამგლისებრი სასხლავი, რომელიც ბრინჯაოსაგან იყო დამზადებული. სოფ. ნინოწმინდის სამაროვანზე ნაპოვნი წიპწები, რაც რქაწითელისა და მწვანე ვაზის ჯიშის არსებობაზე მიუთითებს და სხვა.

მცხეთის, თრიალეთის, კახეთის, შიდა ქართლის, ვანისა და სხვა არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნია უძველესი მარნები მიწაში ჩაფლული ქვევრებით, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, თიხის სასმისებით, რომლებიც ჩვენ წელთაღრიცხვამდე III-II ათასწლეულებით თარიღდება. უძველეს წყაროებიდან მნიშვნელოვანია მითი არგონავტების შესახებ, რომელიც გვამცნობს, რომ დასავლეთ საქართველოში ხეები დაბურული იყო ვაზით, ხოლო დიდებულთა სასახლეში სპეციალურად მოწყობილი შადრევნებიდან ქართული ღვინო ჩქეფდა (ჩვ.წ.აღ-მდე III საუკუნე).

არქეოლოგიური გათხრების დროს თრიალეთის სამარხებში ნაპოვნია ბრინჯაოს სასხლავი დანა, ღვინის სასმელები (კათხები). ლინგვისტური ანალიზით სიტყვა „ყურძენის“ დიალექტურ ფორმად „ურძენი“ ითვლება. გ. მელიქიშვილის აზრით ეს „ურძენი“ ქართველთა შორეული წინაპრის ურარტუს ენაზე ვენახს ნიშნავდა.

ივ. ჯავახიშვილის ცნობით საყურძნე ძველ ქართლში ვაზის ბაღის მნიშვნელობით იხმარებოდა. ამ სიტყვის ეტიმოლოგია ვაზის კულტურის უძველესობის მაუწყებელია. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მრავალი სიტყვები ვაზის მნიშვნელობას აღნიშნავდნენ „რძე მოზარდთა ღვინოა, ხოლო ღვინო მოხუცთა რძეა“.

საქართველოში უძველესი დროიდან გავრცელებული ვაზის ჯიშების აღწერა და მევენახეობის განვითარების, ღვინის დაყენების ძველი მეთოდები შესწავლილი და აღწერილი აქვს ივ. ჯავახიშვილს ნაშრომში „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ (1934 წ.). ამ ნაშრომმა ხელი შეუწყო საქართველოში ვაზის ჯიშების აღდგენას და შემდგომ შესწავლას.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „მევენახეობა ძველ საქართველოში უაღრესად განვითარებული უნდა ყოფილიყო, რადგან ისეთი მაღალი ღირსების ვაზ-ყურძნის ჯიშების შექმნა როგორცაა საფერავი, რქაწითელი და სხვა ჯიშები, ქართველ მევენახეს მხოლოდ

ხანგრძლივი და შეგნებული მზრუნველობით აღსავსე მუშაობით შეეძლო“. (ჯავახიშვილი ი. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, ნაწ. II, თბილისი, „ფედერაცია“, 1935, 312 გვ.)

მევენახეობა, როგორც მეცნიერება (მემცენარეობის დარგი), სწავლობს ვაზის ბიოლოგიურ თვისებებს, ამ თვისებების გაუმჯობესებას და ვენახის გაშენება-მოვლის ხერხებსა და სისტემებს. იგი შედგება ზოგადი და კერძო ნაწილისაგან. ზოგადი მევენახეობა სწავლობს ვაზის ბიოლოგიას, ეკოლოგიასა და აგროტექნიკას; კერძო მევენახეობა - აგროტექნიკის ღონისძიებათა თავისებურებას სხვადასხვა კლიმატურ-ნიადაგურ და რელიეფურ პირობებში, აგრეთვე ვაზის აღზრდას სათბურებში, ამპელოგრაფიას, სელექციას. საქართველოში მევენახეობისა და ვაზის ჯიშთმცოდნეობის საკითხების საფუძვლიანი შესწავლა დაიწყო 1930-იანი წლებიდან.

მხარეების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოში მევენახეობა-მელვინეობის განვითარებაში წამყვან როლს კვლავ კახეთისა და იმერეთის მხარე ასრულებს.

მელვინეობა კარგად იყო განვითარებული საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, განსაკუთრებით კახეთში. განთქმული იყო კარდენახი, მანავი, ახაშენი, ტიბაანი...

ქართლში — საგურამო, ჭოპორტი, მუხრანი, ოძისი, ატენი... იმერეთში — ძირულა, ხარაგოული, სვირი, ობჩა... რაჭაში — ხვანჭკარა, ამბროლაური...

სამეგრელოში — მუხური, სალხინო...

გურიაში — შემოქმედი, ვაკიჯვარი...

მსოფლიოში ცნობილი ვაზის 4000 ჯიშიდან 450 საქართველოში აბორიგენული სახეობაა. მათგან 62 ჯიში შეტანილია სტანდარტულ ასორტიმენტში, - 29 საღვინე და 9 სუფრის. გამორჩეული მაღალხარისხოვანი ქართული საღვინე ვაზის ჯიშებია; რქაწითელი, საფერავი, მწვანე, ხიხვი, ქისი, ჩინური, ცოლიკოური, ციცქა, კრახუნა, ალექსანდროული, ოჯალეში, ჩხავერი, ალადასტური და სხვა.

საქართველოს ვენახების 65-70% გაშენებული არის უძველესი და უნიკალური მევენახეობა-მელვინეობის რეგიონში კახეთში. აქ გამოყოფილია 25-ზე მეტი მიკროზონა, სადაც ტრადიციულად იწარმოება წარმოშობის ადგილის დასახელების ისეთი ცნობილი ღვინოები, როგორცაა: წინანდალი, ნაფარეული, თელიანი, ახაშენი, მუკუზანი, ქინძმარაული, გურჯაანი, კარდენახული, ტიბაანი, მანავის მწვანე, ხაშმის საფერავი და სხვა. საუკეთესო ხარისხის ღვინოების მომცემი სამრეწველო ვენახები მდებარეობს მდინარეების - ალაზნისა და ივრის აუზებში, ზღვის დონიდან 400-700 მეტრ სიმაღლეზე, ტყის ყავისფერ, მდელის ყავისფერ, რუხ ყავისფერ (წაბლა), ნემომპალა-კარბონატულ, შავმიწა, მდელის შავმიწისებრ და ალუვიურ ნიადაგებზე.

ქართლი ცნობილია კლასიკური ევროპული ტიპის ხარისხოვანი სუფრისა და მაღალხარისხოვანი ცქრიალა ღვინოებით. ვენახები გაშენებულია მდინარეების - მტკვრისა და მისი შენაკადების, ლიახვისა და ქსნის ვრცელ აუზებში, ზღვის დონიდან 450-700 მეტრ



სიმაღლეზე, მდელის ყავისფერ, მდელის ალუვიურ, რუხ ყავისფერ (წაბლა) და ნემომპალა - კარბონატულ ნიადაგებზე. ქვემო ქართლი წარმოადგენს საუკეთესო ზონას სუფრის ყურძნის და ქიშმიშების წარმოებისათვის. შუა ქართლი ხარისხიანი კლასიკური ევროპული ტიპის სუფრისა და მაღალხარისხოვანი ცქრიალა ღვინოების წარმოების ზონაა. ატენის ხეობაში უძველესი დროიდან გორული მწვანის და ჩინურის ყურძნისგან ტრადიციულ ტექნოლოგიით ამზადებენ წარმოშობის ადგილის დასახელების ცქრიალა ღვინოს 'ატენურს'. აღნიშნულ ქვეზონაში გორული მწვანის და ჩინურის, ბუდეშურის, თავკვერის და სხვა ადგილობრივი ჯიშების ყურძნისაგან იწარმოება მაღალხარისხიანი სუფრის თეთრი და ვარდისფერი ღვინოებიც.

ზემო ქართლის \_ მესხეთის ტერიტორიაზე ამჟამად მევენახეობა-მელვინეობას არ აქვს სამრეწველო ხასიათი. არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები (მარნები, ქვევრები, საწნახელები, სასმისები და სხვა) იუწყებიან, რომ მევენახეობა-მელვინეობა მესხეთში ფართოდ ყოფილა განვითარებული.

მევენახე თავისი საქმიანობით შემოქმედია. დიდი ქართველი მეცნიერი და მკვლევარი ივანე ჯავახიშვილი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ - "მევენახეობა ძველ საქართველოში უაღრესად განვითარებული ყოფილა, რადგან ისეთი მაღალხარისხოვანი ყურძნის ჯიშების შექმნა, როგორც-რქაწითელი, საფერავი, მწვანე, ალექსანდროული, მუჯურეთული, ციცქა, ცოლიკაური, ოჯალეში, ჩხავერი და სხვაჯიშებია, ქართველ მევენახეებს მხოლოდ ხანგრძლივი, შეგნებული, გეგმაშეწონილი და მზრუნველობით აღსავსე მუშაობით შეეძლოთ".

ღვინის აღმნიშვნელ სიტყვებს თითქმის ყველა ენაში ერთი ძირი აქვს. ქართველურ ენებში იგი გამოითქმის ასე: ღვინო (ქართ.), ღვინი (ზან.), ღვინალ (სვან.).

სხვა ინდო-ევროპულ და სემიტურ ენებში: ხეთური: wiyana(a), ლუვიური: wa/i-ya-na, ძვ. ბერძნ.: Οίνοσ, ლათ: vinum, სომხ.: gini გერმ.: Wein, ინგლ. Wine, რუს. (სლავურ ენებზე): вино, უელს: gwŷn, ფრანგ.: vin, ესპ.: vino, იტ.: vino, არაბ.: wainun, ებრ.: yayin, ასირ: ūnu. ცხადია, ამ სიტყვებს აერთიანებთ ერთი ძირი, ერთი წამომავლობა და იმ იმ ქვეყნიდან უნდა იყოს ყველა სხვე ენაში შესული და დამკვიდრებულ, რომელიც სავარაუდოდ უნდა იყოს კიდევ ღვინის სამშობლო. როგორც დასტურდება მატერიალური მემკვიდრეობიდან, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ვაზის კულტურას უძველესი, ადრეული ბრინჯაოს ხანიდან იცნობდნენ.

საინტერესოა ისიც, რომ მხოლოდ ქართულ ენაში დასტურდება სიტყვა "ღვინის" სემანტიკური მნიშვნელობაც და რომ ის ზმნა "ღვივილი"-იდან არის მიღებული. ამ სიტყვის ფუძე - "ღვ" - წმინდა ქართულია (ღვიძლი, ღვენთი, მღვდელი, ღვივილი, მღვიმე, ღვთაება, გაღვივება, ღვარი, ზღვარი, ღვაწლი, ღვრა, ღვიძილი, ღვია). მისი საწყისი ფორმა უნდა იყოს "ღვივილი", ანუ ის, რაც დუღს, ამოდის, ღვივდება. შესაბამისად: დუღილის, უფრო ღვივილის შედეგად მიიღება. ამიტომ არის: მღვინვარე, სამღვინვო - ღვინო.

საქართველოში ღვინოს არსებობაზე წერილობითი ცნობები დაცულია ბერძნულ, სპარსულ და ქართულ წყაროებში.

ქსენოფონტე (ძვ. წ. V ს.) წერს, რომ კოლხების ღვინო "სურნელოვანი და საამო" იყო.

სტრაბონის (ძვ. წ. I ს.) ცნობით, იბერიაში ყურძენი ფართოდ გავრცელებული ყოფილა და ვაზის ისეთი მოსავალი მოდიოდა, მოსახლეობას მისი სრულიად მოხმარება არ შეეძლო.

პროკოფი კესარიელი (VI) გვიამბობს: "მესხები შრომის მოყვარენი არიან, მათ ბევრი ვენახი აქვთ და თავიანთი ღვინო მიაქვთ სხვადასხვა ქვეყნებში გასაყიდად". ეს ძალიან მნიშვნელოვანი ცნობაა, ვინაიდან ცხადი ხდება, რომ ძველ მესხებს ცხოველი სავაჭრო ურთიერთობა ქონდათ დამყარებული მეზობელი ქვეყნებთან და ადგილობრივი პროდუქტი ექსპორტზე იგზავნებოდა.

### 3.5.2. ტერასული მევენახეობა

საქართველოში სავენახე ნიადაგების დიდი მრავალფეროვნებაა. საერთოდ, ვაზი თითქმის ყველანაირ ნიადაგზე ხარობს, მაგრამ საუკეთესო პროდუქციას, ანუ ღვინოს, ის მხოლოდ განსაკუთრებულ ნიადაგზე და, რაც უმთავრესია, განსაკუთრებული პირობების შემთხვევაში იძლევა. ამ პირობებს, სავენახე ნიადაგების საგანგებოდ შერჩევასთან და ვაზის მოვლასთან ერთად, ვენახის ექსპოზიციაც წარმოადგენს. მართლაც, ვენახის დახრის კუთხეს, მიმართულებას, მზით განათებასა და ქარების მოძრაობას ზვრებში, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც საბოლოო პროდუქტის ხარისხისათვის, ისე თავად ვენახის სიძლიერისთვისაც. ქართველმა მევენახემ ძალზე დიდი ხნის წინათ შენიშნა, რომ ღვინის ხარისხის თვალსაზრისით ვენახის გასაშენებლად ერთ-ერთ საუკეთესო ადგილს ფერდობი წარმოადგენს. რა თქმა უნდა, იგულისხმება რიგი წესების გათვალისწინებით შერჩეული ფერდობი. დროთა განმავლობაში მიწათმოქმედი ადამიანი იმასაც დააკვირდა, რომ დახრილ ფერდობებზე გაშენებულ ვენახს გარკვეული რისკი ემუქრებოდა ძლიერი წვიმებისა და ღვარცოფის გამო, ნიადაგის დახრამვისა და ჩამორეცხვის თვალსაზრისით, რასაც ხშირად მოსდევდა ვაზის ნარგაობის განადგურება. ამის გარდა ფიზიკურად ძნელდებოდა ძლიერ დაქანებულ ფერდობებზე ვენახის გაშენებაც და ასეთი ადგილები, როგორც წესი აუთვისებელი რჩებოდა. სავარაუდოა, რომ ტერასული მევენახეობისა, თუ ზოგადად მიწათმოქმედების, განვითარება, უმთავრესად სწორედ ამ მიზეზებით იქნა განპირობებული.

ტერასების აშენებამ მთის დაქანებულ კალთებზე ადამიანს საშუალება მისცა აეთვისებინა ახალი მიწები და ფართობები, რამაც თავისთავად ცხადია, გაზარდა მოსავლის საერთო რაოდენობა, ახალ ფართობებზე მოწეული მოსავლის ხარჯზე. ამასთან აღმოჩნდა, რომ, ერთი მხრივ, წვიმისმიერი ეროზიისა, და მეორე მხრივ, ნიადაგის დახრამვის რისკი გაცილებით შემცირდა და თითქმის გაქრა კიდევ. ტერასულმა მევენახეობამ ტერასებზე გაშენებული ვაზი შედარებით კარგ პირობებში ჩააყენა განათების, განიავებისა და წვიმის

წყლის მაქსიმალურად და ეფექტურად ათვისების თვალსაზრისით. ამასთან ზოგიერთი აგროტექნიკური ღონისძიება ერთგვარად გაიოლდა ციცაბო, დახრილ ფერდობებზე გაშენებულ ვენახებთან შედარებით, და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ტერასული მევენახეობის დაწყებით ფაქტობრივად მოხდა ახალი, ჯერ კიდევ აუთვისებელი და დაუკავებელი ადგილების გაკულტურება, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ მიწათმოქმედების ამგვარმა მიმართულებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი, რაც მცირემიწიანობის სინამდვილეში საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ეკონომიკისა და ვაჭრობის განვითარებისათვის. ტერასული მევენახეობა მეტ-ნაკლებად თითქმის მთელ საქართველოში იყო განვითარებული, მაგრამ სოფლის მეურნეობის ამ მიმართულებამ განსაკუთრებული განვითარება მესხეთში პოვა. უამრავი მატერიალური კულტურის ძეგლის შესწავლით ნათელი ხდება, რომ ეს მხარე ძველ ფეოდალურ საქართველოში მეტად დაწინაურებული და კულტურული რეგიონი ყოფილა. ტრადიციულად მესხეთში გავრცელებული ყოფილა შემდეგი ადგილობრივი ვაზის ჯიშები: სამარიობო, ხარისთვალა მესხური, ცხენისძუძუ თეთრი, თეთრი ახალციხური, ჯვარი, საფარულა, თეთრი ბუდეშური, როკეთულა, ჩიტისკვერცხა თეთრი, ცხენისძუა თეთრი, მესხური მწვანე, საწური, მესხური საფერე, კლერტმაგარა და სხვ.

მესხეთში ვხვდებით სამი სახის ქვისკედლიან ტერასას, რომელთაც სახელებიც განსხვავებული ერქვათ: დარიჯი (ან დარეჯი); საქვე (ან საქვი) და ოროკი. საქვე და დარიჯი ერთი პრინციპით ნაგები ტერასებია და ერთმანეთისაგან გამოირჩევიან იმით, რომ დარიჯის ფართობი გაცილებით დიდია საქვეზე. ამის გარდა, დარიჯი ძირითადად მდინარის სიახლოვესაა განლაგებული და ამასთან ის შედარებით მცირედ დახრილ ფერდობზეა გაშენებული, მაშინ როდესაც საქვეები გვხვდება საკმაოდ ციცაბო ფერდობზე და საკმაოდ მაღალი ექსპოზიციაც უკავიათ. როგორც წყაროებიდან ირკვევა, დარიჯებზე უმეტესწილად ხილის ნარგაობა იყო გაშენებული. დარიჯებზე გვხვდებოდა მალლარი მევენახეობაც, ანუ ჭანჭურისა და ჭერმის ხეებზე აშვებული ვაზები, ხოლო საქვე კი მთლიანად ტერასული მევენახეობის ინტერესებს ემსახურებოდა.

მესხეთის ტერასები ძირითადად უკავშირდება სოფლის მეურნეობის ორ დარგს – მევენახეობასა და მეხილეობას. აქაურობის შესახებ აი, რას წერს ფრანგი მკვლევარი დიუბუა დე მონპერე, რომელმაც XIX საუკუნეში იმოგზაურა ამიერკავკასიაში: "ძველ დროში ეს მხარე აყვავებული იყო, ხელოვნება და მეურნეობა ჩინებული ჰქონდა. თვით იმ კლდე-ღრეებში, სადაც კი ადამიანს ხელი უწვდოდა, გამოჭრილი იყო არხები, რომელთაც ახლაც განცვიფრებაში მოჰყავხართ. ეს ადგილები დიდროვანი ქვის ზღუდეებით კიბე-კიბე იყვნენ შეჭრილნი, როგორადაც ჟენევაში და ნეშატელში, და შემკულნი მრავლის ვენახითა და ბადით. საქართველოში ტერასული მევენახეობა არა მარტო მესხეთში, არამედ გვხვდება ასევე ატენსა და ქსნის ხეობებში. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება შედარებით ვრცლად წარმოდგენილი თუ შემორჩენილი სავენახე ტერასები. სავენახე ტერასების ძალზე მცირე ნიმუშები საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონებში თითქმის ყველგან გვხვდება,

მათ შორის მაღალმთიან სოფლებშიც, მაგალითისათვის მოვიყვანთ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დავათს, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1200 მეტრზე და სადაც დღემდეა შემორჩენილი ხეხილისა და ვაზის ტერასები. უნდა აღინიშნოს, რომ ატენის ხეობაში ტერასული მევენახეობა საკმაოდ ფართოდ ყოფილა განვითარებული, რაზეც მეტყველებს ამ ხეობაში სავენახე ტერასების განსაკუთრებით დიდი რაოდენობა. ატენის ხეობა მთაგორიან რეგიონს წარმოადგენს, რამაც მევენახეობას იმთავითვე ტერასული მიმართულება მისცა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ატენის ხეობაში ჩვენ ვხვდებით არა მხოლოდ ქვისკედლიან ტერასებს, არამედ უკედლო დაბაქნებულ ტერასებსაც. სავენახე ტერასების თვალსაზრისით ატენის ხეობა მთელ საქართველოში ერთადერთი ადგილია, სადაც უძველეს ტერასებზე ვენახები დღემდეა გაშენებული. თუმცა ცაკლეული, ფრაგმენტული სახით ტერასებზე გაშენებულ მცირე ვენახებს ვხვდებით როგორც კახეთში, ისე იმერეთში, მესხეთში, გურიასა და აჭარაშიც.

ატენის ხეობის სავენახე ტერასები მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში სამოსახლოსთან ერთ კომპლექსშია განთავსებული, როგორც, მაგალითად, მესხეთის სოფელ ხერთვისშია, თუმცა არის მათი ცალკეული უბნებიც. მართალია ატენის ხეობაში, რომელიც დაახლოებით 35 კილომეტრზეა, ტერასებზე მისდევდნენ მეხილეობასა და მებოსტნეობას, მაგრამ აქაური ტერასები ძირითადად ვენახებისთვისაა გამოყენებული და, რაც მთავარია, წინასწარვე ამ მიზნითაა აშენებული. ამ ადგილებში ისტორიულად გაშენებული იყო ქართლის შემდეგი ვაზის ჯიშები: ჩინური, გორული მწვანე, თავკვერი, საფერავი ატენის, ბუდეშური, შავკაპიტო და სხვ. ტერასული მევენახეობა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული ქსნის ხეობაშიც, რაც ყველაზე თვალსაჩინოდ სოფელ ცხავათშია გამოვლენილი.

ტერასულმა მევენახეობამ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში პოვა განვითარება; ხოლო ტერასების ძველ ნაშთებს, რომლებიც გამოიყენებოდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურებისათვის, როგორცაა ხეხილი, ბოსტნეული, მარცვლეული, მთელ საქართველოში ვხვდებით, მათ შორის მაღალმთიანშიც. ტერასული ნაგებობები და დაბაქნებული ადგილები გვხვდებოდა, მაგალითად, მესხეთ-ჯავახეთში, ერუშეთში, ატენის ხეობაში, ქსნის ხეობაში, თრუსოს ხეობაში, ერწო - თიანეთში, ხევში, გუდამაყარში, მთიულეთში, ქართლში, თბილისთან - დიდმის მიდამოებში, კახეთში, აჭარაში, გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში, ლორეში...

ეს ყოველივე იმას უნდა მიაწინებდეს, რომ ტერასულ მიწათმოქმედებას ჩვენში საკმაოდ დიდი და ღრმა ისტორია აქვს. ტერასული მევენახეობა კი, შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს, ზოგადად ტერასული მიწათმოქმედების ყველაზე მაღალგანვითარებულ განხრას, რომელიც ერთობ განსხვავდება დაბლარი, მაღლარი თუ ოლიხნარი მევენახეობისაგან და მოითხოვს განსხვავებულ და განსაკუთრებულ გამოცილებას, როგორც ვაზის მოვლის, ისე თავად კედლიანი თუ უკედლო ტერასების მშენებლობა-მოწყობის საქმეში, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია ადგილობრივი ნიადაგების,

გაბატონებული ქარების, წვიმის წყლის საირიგაციოდ გამოყენებისა და ფერდობის დახრის კუთხის განსაზღვრის ზედმიწევნით ცოდნას.

### 3.5.3. საინგილოს ყურძნის ჯიშები

1. **ბურძღუმი** - „რომელიც გარეულ ყურძნად ითვლება, რადგან ტყესა და ველს ხარობს და ჰბურავს ლემბასა, ბრულს და სხვა ხეებსა და ბუჩქებს“ ( მ. ჯანაშვილი, საინგილო: ძველი საქართველო, II, 99).
2. **მელაკუდაი** - რომელიც მ. ჯანაშვილის დახასიათებით კახური „რქაწითელის“ მსგავსი ვაზი უნდა ყოფილიყო, მისი მარცვალი მელიის კუდის ფორმის მოყვანილობის ყოფილა. (იქვე)
3. **დევის-თვალი** - მას დიდი მტევნები და მარცვლები ჰქონია (იქვე)
4. **ქეჩი-ემყაგი** - იგივე თითა (იქვე)
5. **თხელფაი** - მ. ჯანაშვილის დახასიათებით ამ ყურძენს თველი კანი და მომრგვალო მარცვალი ჰქონდა, და მეტად ტკბილი იყო.
6. **საფერავი** - შავი ყურძენი იყო და მისგან შავ ღვინოს აყენებდნენ.
7. **საკმელაი** - ნაზი, სურნელოვანი გემოს ყურძენი (იქვე)
8. **გენყური** - მ. ჯანაშვილის მიხედვით ეს იგივე თითაა ანუ ქეჩი-ემყაგი
9. **მერანდოი** - მოწითალო მოშავო ყურძენი იყო, მაგარი კანი ჰქონდა, მსხვილი მარცვალი, მას საჭმელად იყენებდნენ, რადგან ღვინოდ არ ვარგოდა. (იქვე)

### 3.5.4. კახეთში გავრცელებული ყურძნის ჯიშები

კახეთში ყურძნის მრავალი ჯიში იყო გავრცელებული. მაგრამ სამწუხაროდ აგრონომებს ყველა სახელის აღნუსხვა ზედმეტად მიუჩნევიათ, როგორც ივ. ჯავახიშვილი მოგვითხრობს და ისიც მხოლოდ ის ჯიშები აქვთ აღწერილი, რომლებიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული.

1. **რქაწითელი** - თეთრი ფერის ყურძენი ყოფილა, თუმცა არსებობდა ცნობები, რომ კახეთში თითქოს ქითელი რქაწითელიც ყოფილა, თუმცა მისი აღწერილობასა და გავრცელების არის შესახებ ცნობები არ მოიპოვება.
2. **მხარგრძელი** - არსებობდა როგორც შავი, თეთრი ასევე ყვითელი ჯიშის. ის ს. ზეგანში ყოფილა გავრცელებული ( მევ- მეღვ. ინსტ. ცნობა)
3. **ხარისთვალა** - შავიც და თეთრიც არსებობდა. დიდი და მჭიდრო მტევანი ჰქონდა, მარცვალი მრგვალი, მსხვილი და ხორციანი, თუმცა ადვილად ლპებოდა.
4. **ჩიტისთვალა** - შავი „თავკვერისებული“ ( მევ- მეღვ. ინსტ. ცნობა)
5. **თითა** - კახეთში შავიც ყოფ

- 6.
7. ილა და ყველგან იყო გავრცელებული( მევ- მეღვ. ინსტ. ცნობა)
8. **თავკვერი** - შავი ყურძნის ჯიში იყო. ითვლებოდა რომ მისგან კარგი ღვინო არ დგებოდა ამიტომ მას კახეთში დიდად არ აფასებდნენ, სამაგიეროდ ქართლში კარგ ყურძნად იყო მიჩნეული.
9. **საფერავი** - მუქი წითელი, შავი ვაზის ერთ-ერთი საუკეთესო ქართული ჯიშია. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით საფერავი ეკუთვნის ზოგად ჯიშთა ჯგუფს, თუმცა წარმომავლობით კახური უნდა იყოს. გავრცელებული იყო თითქმის მთელ საქართველოში. იზრდება შავი ზღვის აუზის ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ზონაში. გავრცელებულია ძირითადად კახეთის რაიონებში. მცირე რაოდენობითაა ქართლში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, აფხაზეთში. არსებობს ორი სახეობა – დიდი და პატარა საფერავი. კახეთში გავრცელებული ყოფილა ასევე “განჯური საფერავი”. მოსავლიანობის, შაქრის დიდი შემცველობისა და საღებავის სიუხვით ძვირფას ვაზის ჯიშად ითვლება. საჭმელად ნაკლებად იხმარება, უპირატესად საღვინე ჯიშია. საფერავისგან დაყენებული წითელი ღვინო გამოირჩევა სურნელით, ფერითა და სიმაგრით. იყენებენ სხვა ღვინოების გაუმჯობესებისა და შეფერადებისთვის.
10. **განჯური საფერავი** - კახეთში ძირითადად ს. თიხლიაურში ყოპილა გავრცელებული.( მევ- მეღვ. ინსტ. ცნობა).
11. **ხეივნის ყურძენი** - გარე კახეთში მიიპოვებოდა. მტევანი დიდი არ ჰქონდა, მარცვალი თხილისოდენა, ხორციანი და წყლიანი იყო. ღვინოდ არ ვარგოდა, ამიტომ საჭმელად იყენებდნენ.
12. **სააბი** - შავიც იყო და თეთრიც. მარცვალი სქელი, და ხორციანი ჰქონდა. შემოდგომის დამლევს მწიფდებოდა.
13. **მჟღრია** - მტევანიც პატარა აქვს და მარცვალიც, მისგან მდარე ღვინო მზადდებოდა.
14. **შავი ყურძენი** - ცნობები მისი აღწერილობა და გავრცელების არე არ მოგვეპოვება ( მევ- მეღვ. ინსტ. ცნობა).
15. **შავი ბუდეშური** - მტევანი მომცრო ჰქონდა, მარცვალი საშუალოზე პატარა. ეს ყურძენი საჭმელად გამოიქენებოდა.
16. **განახარული** - რუხი ფერის რქა ჰქონდა და სამყურა ფოთოლი. მარცვალი პატარა. ამ ყურძენს საჭმელად ხმარობდნენ.
17. **შავ- კაპიტანო, ანუ შავ- კაპიტო** - ვაზი დიდი იზრდებოდა, მტევანიც დიდი ჰქონდა. მისგან მაგარი და შავი ღვინო დგებოდა.
18. **ძალლი არა ჭამა** - დამწიფებისას წითლად იწეოდა ისე კი კაცს მკვახე ეგონებოდა. ეს ყურძენი ს. იყალთოში ყოფილა ( მევ- მეღვ. ინსტ. ცნობა).
19. **იისფერი** - ეს ყურძენიც კახეთში ყიპილა გავრცელებული, თუმცა ნიშან -თვისებები და გავრცელების არე უცნობია (მევ- მეღვ. ინსტ. ცნობა).

## კახეთში გავრცელებული თეთრი ყურძნის ჯიშები

1. **რქაწითელი** ქართული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში, გავრცელებულია ძირითადად კახეთში, არის ქართლშიც. აზრდება საშუალო ინტენსივობით, უხვმოსავლიანია, მტევნის საშუალო მასაა 160-250 გრ. საშუალო სიდიდისაა, ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსური, ხშირად აქვს ერთი, ძლიერ განვითარებული ფრთა. მარცვალი საშუალო სიდიდისაა, ოვალური, მოთეთრო-ქარვისფერი, სასიამოვნო გემო აქვს. შაქრიანობა 20-24 %, მჟავიანობა 7-8 %. შედარებით გვალვაგამძლეა. მოსავლიანობა 60-200 ცენტნერი ჰა-ზე. ღეს ამ ყურძნისგან ამზადდნენ სხვადასხვა მარკის მაღალხარისხოვან ღვინოებს - წინანდალს, გურჯაანს, ტიბაანს, კარდანახსა და სხვა.
2. **რქა-ხული** - გარე კახეთში გვხვდებოდა იოს. მჭედლიშვილის ცნობით. ყურძენს თხლად ისხამდა. უწიპწო მარცვალი ჰქონდა.
3. **ბუერა-ვაზი** - მარცვალი მსხვილი და ხორციანი ჰქონდა. ის სამნაირი იყო თეთრი, ყვითელი და მწვანე. მისგან ღვინოს არ ამზადებდნენ.
4. **ხიხვი** - არის ქართული ყურძნის ჯიში. მარცვალი არის მომრგვალებული, მომწვანო-მოყვითალო ფერის, მზის მხარეს ვერცხლისფერი ლაქებით. მისი რბილობის დაწურვით იღებენ წვენს. მისი პროდუქტიულობაა 60-80 ც/ჰა-ზე. ყურძნში შაქრის კონცენტრაციაა 29 %. ხიხვის ყურძნისგან ღებულობენ თეთრ დაცულ ღვინოს „ხიხვი“. დღესდღეისობით ხიხვის ნარევი მიიღება, აგრეთვე, რქაწითელისა და მწვანის ჯიშებთან ნარევის საფუძველზე. მიღებული ღვინო „რქაწითელი ხორნაბუჯის“ სახელითაა ცნობილი მაღალი ხარისხის კახური ღვინო.
5. **მხარგრძელი** - როგორც შიდა ასევე გარე კახეთში ყოფილა გავრცელებული. იოს. მჭედლიშვილის ცნობით მარცვალი მსხვილი და ხორციანი ესხა.
6. **კუმსი** - მისი მტევანი დახასიათებული, როგორც დიდი და შეკუმშული. ყურძენი ძირითადად ს. ყვაველსა და მის მიდამოებში იყო გავრცელებული.
7. **მოკლე - მტევანა** კახეთში იყო გავრცელებული თუმცა ცნობები მისი აღწერილობისა და გავრცელების არის შესახებ არ მოგვეპოვება ( მევ- მეღვ. ინსტ. ცნობა).
8. **მცვივანი** - მტევანი ძალიან კუმსი, მარცვალი მრგვალი და წვრილად დაწინწკლული ესხა, ამ ყურძნისგან ნაზი და ძალიან კარგი ღვინო დგებოდა.
9. **თეთრი თავკვერი** - გარე კახეთში მოიპოვებოდა. იოს. მჭედლიშვილის ცნობით ფოთოლი ხუთყურძნიანი აქვს. ხმარობდნენ საჭმელად ან საჩურჩხლედ.
10. **ცხენის- ძუძუ** - გარე კახეთში იყო გავრცელებული თუმცა უკვე მცირე რაოდენობით. იოს. მჭედლიშვილის ცნობით მარცვალი ცხენის ძუას მიუგავს და ერთი წიპწა აქვს მარცვალში. გამოიყენებოდა ჩამიჩად და საჩურჩხლედ.

11. **თითა** სასუფრე ყურძნის ჯიშია. ფოთოლი კვერცხისმაგვარია ფორმისაა, ძლიერ დანაკვეთული, მარცვლი გრძელია, თითისებრი მოყვანილობის (აქედან სახელწოდება). ფერად მომწვანო-მოყვითალო, მოტკბო-მომჟაო გემო და სუსტი არომატი აქვს. ძლიერი იზრდება, ზოგიერთი რქის სისქე 2-3 მ აღწევს. მოსავალს დარგვიდან მესამე წელს იძლევა, მტევნის საშუალო წონაა 151 გრ. (უდიდესი 400 გრ). კახეთში ყველა სოფელში მოიპოვებოდა
12. **ხარისთვალა** - თეთრიც იგივე თვისებებიდაა, როგორც შავი ხარისთვალა.
13. **ნაზადა მწვანე** - ს. თოღლიაურში ყოფილა გავრცელებული ( მევ- მეღვ. ინსტ. ცნობა).
14. **ჭრელ-ყურძენა** - ს. იყალთოში ყოფილა ( მევ- მეღვ. ინსტ. ცნობა).
15. **მწვანე** - საკმაოდ მოსავლიანი ჯიშია. ს. იყალთოში ყვითელი მწვანეც ყოფილა. ს. თოღლიაურში წებოვანი მწვანეც.
16. **თეთრი ყურძენი** - ს. გურჯაანში იყო გავრცელებული (მევ- მეღვ. ინსტ. ცნობა).
17. **ღრუბელა** - ს. მანავში (მევ- მეღვ. ინსტ. ცნობა).
18. **ოქროს-ყურძენი** - მის შესახებ ზუსტი ცნობები არ არის (მევ- მეღვ. ინსტ. ცნობა).
19. **ძობენური** - ყვარელსა და მის მიდამოებში.
20. **ბუდეშური** ქართული ვაზის უძველესი ჯიშია. ცნობილია წითელი ბუდეშური (თამარეული), უხვმოსავლიანი სუფრის ჯიშია. მწიფდება სექტემბრის შუა რიცხვებში. ნაყოფის შექვიანობა 15,5-1,5 %, მჟავიანობა 5,5-6,0 %. არატრანსპორტაბელურია.
21. **ქიშური** - მტევანი მოგრძო და შემჭიროებელია, მსხვილი მარცვალი ქჰონდა.
22. **ოჟიური თეთრი** - ს. იყალთოში ყოფილა გავრცელებული (მევ- მეღვ. ინსტ. ცნობა).
23. **უკაბლური** - გავრცელების არე აღნიშნული არ არის (მევ- მეღვ. ინსტ. ცნობა).
24. **გავაზურა** - კახეთში იყო გავრცელებული თუმცა სხვა ცნობები არ მოიპოვება.(მევ- მეღვ. ინსტ. ცნობა).
25. **პარტალა** - ყურძნის ეს ჯიშია კახეთში კერძოდ ს. კაკაბეთში ყოფილა.
26. **მჭვარტალა** - გარე კახეთში ყოფილა შერჩენილი
27. **ადრეული** - კახეთში, ქართლსა და თბილისში ყოფილა შემორჩენილი
28. **ქიშშიში** - რამდენიმე სახესხვაობა არსებობდა კახეთსა და ქვემო ქართლში
29. **შაზია**- ს. ჩაილურში ყოფილა და მისგან კარგი ღვინო ყენდებოდა.
30. **სულიანი** - თეთრი და შავი არსებობდა(მევ- მეღვ. ინსტ. ცნობა).
31. **უსახელო** - ს. კონდოლში მოიპოვებოდა.(მევ- მეღვ. ინსტ. ცნობა).

### 3.5.5. ქართლში გავრცელებული ყურძნის ჯიშები

1. **მელ-შავი** - ეს ჯიშია აბანოსწყალსა და ატოცისწყლის ხეობებში ყოფილა გავრცელებული (პ. ყანდურალოვი).
2. **ცხენის ძუძუ**- ქართლში მოიპოვებოდა და ს. დილომშიც არსებობდა.



3. **მტრედის ფეხა** - ქართლში გავრცელებული ყურძნის ჯიში
4. **ხარისტვალა** - მტკვრის მარცხენა სანაპიროს სოფლებში, რუისში, ბებნისში, ურბნისში, ქსნის ხეობაში ყოფილა გავრცელებული
5. **ფერადი** - მოიპოვებოდა ს. დილომში. მას წიტელი ფერი დაკრავდა.
6. **ჟღია**- ქართლში მცირე რაოდენობით ყოფილა, მარცვალი წვრილი ესხა
7. **საფერავი**- ვაზის ეს ჯიში კახეთის მსგავსად ქართლშიც მოიპოვებოდა
8. **თავკვერი**- საფერავის შემდეგ ყველაზე კარგ საღვინე ჯიშად ითვლებოდა. ის გავრცელებული იყო უფრო მეტად ქართლის აღ. ნაწილში.
9. **სააბი**- მსხვილი , მრგვალი მტევანი ჰქონდა
10. **დანახარული და განახარული**- ს. ხოვლესა და მუხრანში იყო გავრცელებული. ღვინო მაგარი და სურნელოვანი ყენდებოდა.
11. **ადრიანი** - მტევანი გრძელი და დიდი ჰქონდა. მარცვალი წითელი. დუშეთის მაზრაში ყოფილა გავრცელებული.
12. **რკო** - მტევანი მომცრო, მოგრძო და კუმსი ჰქონდა და ვარდისფერი დაკრავდა. საღვინედ არ გამოიყენებოდა. ქართლის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში ხარობდა

### შიდა ქართლში შერჩენილი თეთრი ყურძნის ჯიშები

1. **რქა წითელი** - ქართლში მოსავლიანი ვაზი იყო. განსაკუთრებით ს. მუხრანში, დამპალასა და დუშეთის მაზრის სოფლებში იყო გავრცელებული
2. **თითა** - საუკეთესო საჭმელ ყურძენად ითვლებოდა.
3. **ხარისტვალა** - თეთრი ყურძნის ჯიში, რომელიც უცნობი ავტორის მიხედვით არაგვ-ნარეკვავის, ქსნისა და კასპის ხეობებში იყო გავრცელებული.
4. **ბუზის ყურძენი** - მომრგვალო, ხორციანი და წვნიანი მარცვალი ჰქონდა. გავრცელებული იყო ქართლის აღ. ნაწილში.
5. **ვირა-ყურძენი** - მსხვილი, სქელკანიანი მარცვალი ჰქონდა. ქართლში კერძოდ, ს. დილომში იყო გავრცელებული ს. სონღულაშვილის ცნობით.
6. **კაკნატელა** - ს. დილომში იყო გავრცელებული ს. სონღულაშვილის ცნობით.
7. **მწვანე** - მტევანი მოკლე და კუმსი ჰქონდა. მარცვალი კი თხელკანა და მწვანე ფერის. ქართლში ყველგან იყო გავრცელებული.
8. **ღრუბლა** - ს. დილომში იყო გავრცელებული ს. სონღულაშვილის ცნობით.
9. **შაბა** - ქსნისა და რეხულას ხეობაში იყო გავრცელებული. გარეგნულად მწვანეს ჰქავდა
10. **ბუდეშური** - ღია მწვანე ფერის, კვერცხისებრი. ქართლში ყველგან იყო გავრცელებული. განსაკუთრებით ჩრ. დასავლეთით.
11. **ქიშური** - თხელკანიანი და მოგრძო მარცვალი ესხა , ქართლში და ს. დილომშიც იყო გავრცელებული ს. სონღულაშვილის ცნობით.

12. **გორული** - საშუალო ზომის მტევანი ჰქონდა. მარცვალი მსხვილი ოდნავ კვერცხისებრი. მეჯვრისხევი, ხიდისთავსა და რკინიგზის მახლობლად იყო გავრცელებული
13. **ჩინური** - მტევანი არც ისე კუმსი ჰქონდა. მარცვალი კი საშუალო სიდიდის მომწვანო ქარვისფერი და ზალიან წვნიანი. მეჯვრისხევი, ხიდისთავსა და ს. ატენში ყოფილა განსაკუთრებით გავრცელებული.
14. **კასპური** - კარგ საღვინე ჯიშად ითვლებოდა. უმთავრესად კასპის მიდამოებში ყოფილა გავრცელებული
15. **არაგვისპირული** - ქართლში მისგან სასიამოვნო ღვინო დგებოდა. არაგვის ხეობასა და ძირითადად ქართლის სოფლებში იყო გავრცელებული
16. **პარტკალა** - თეთრი და შავი ჯიშები არსებობდა. მარცვალი მრგვალი ჰქონდა და მოწითალო ფერი დაკრავდა.
17. **ჭყარტალა** - თხელკანა, მრგვალი, მოყვითალო, საღვინედ ხმარობდნენ . ს. დილომში იყო გავრცელებული ს. სონლულაშვილის ცნობით.

### ზემო ქართლში გავრცელებული ყურძნის ჯიშები

1. **ცხენის ძუძუ** - შავი მოგრძო მარცვალი ჰქონდა და საჭმელად იყენებდნენ.
2. **თითა-ყურძენი** - თეთრი მოგრძო მარცვლიანი
3. **ხარისთვალა** - თეთრი , მრგვალი და ტკბილმარცვლიანი
4. **საღვინე** - შავი ყურძენი, რომლისგანაც ღვინოს აყენებდნენ
5. **ბუდეშური** - წითელი, მეტად ტკბილი და სურნელოვანი საჭმელი ყურძენი.

### 3.5.6. იმერეთში შერჩენილი ყურძნის ჯიშები

1. **ძელშავი** - ზესტაფონის ზევით არგვეთში ყველგან იყო გავრცელებული.
2. **აკიდო** - იმერეთის სამხრეთ ნაწილში ცხენისწყალზე და ს. ხონის მიდამოებში იყო გავრცელებული.
3. **დონდლაბი** - მარცვალი მსხვილი ჰქონდა მომრგვალო, შავ-მოწითალო. ს. სვინსა და ღვანკითში იყო გავრცელებული, ერმ. ნაკაშიძის ცნობით.
4. **ტრედის-ფეხი** - მისი აღწერილობა არ მოიპოვება
5. **თითა** - მდ. ყვირილის აუზში იყო გავრცელებული
6. **რკო** - საჩხერის სანახებსა და ყვირილის ხეობის ზემო ნაწილში იყო გავრცელებული.
7. **ბჟღია** - ს. შროშაში იყო გავრცელებული
8. **შავი ბუდეშური** - იმერეთშიც იყო გავრცელებული თუმცა მისი აღწერილობა არ მოიპოვება.

9. **ქველოური** - შორაპნის ყოფილ მაზრაში იყო გავრცელებული მისი აღწერილობა არ მოიპოვება.
10. **მაჭანაური** - ს. შრომაში იყო გავრცელებული
11. **არაბოული** - ს. შრომაში იყო გავრცელებული, მტევანი დიდი ჰქონდა და მარცვალი მსხვილი.
12. **რცხილათუბანი** - ს. ხონის მიდამოებში იყო გავრცელებული
13. **ჩხავერი** - ქვემო იმერეთში იყო გავრცელებული. აბორიგენული ფერადყურძნიანი საღვინე და სასუფრე ვაზის ჯიში. გავრცელებულია შავი ზღვის აუზის ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ზონაში. გურია-აჭარისა და აფხაზეთი-გუდაუთის მთიან რეგიონებში. ზრდის სიძლიერე საშუალო. ძნელად ადაპტირებს გარემო ეკოლოგიურ პირობებთან, აგრეთვე სუსტია სოკოვან დაავადებათა მიმართ. ფოთლები აქვს საშუალო, მომრგვალებული. მტევანი ცილინდრულ-კონუსური მოყვანილობისა. მარცვალი მრგვალი ფორმის, მუქი წითელი შეფერილობის. საშუალოზე მცირე ზომის. ყურძენში შაქრის შემცველობაა 19,5-22%. მჟავიანობა 8-9,5%. ჩხავერის ჯიშიდან იღებენ ნახევრან ტკბილი ღვინო „ჩხავერი“. მისი ჩინურისა და რქაწითელის ნარევისგან კი მიიღება შუშხუნა ღვინო.
14. **შავი კამური** - შორაპნის ყოფილ მაზრაში იყო გავრცელებული ის საკმაოდ იშვიათად იყო გაშენებული
15. **ცოლიკაური** - აბორიგენული წარმოშობის, თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში. ხარობს დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, მცირე რაოდენობით - ქართლსა და კახეთშიც. ზრდის სიძლიერე საშუალოზე ძლიერი. მდგრადია სოკოვან დაავადებათა მიმართ და ადვილად ეგუება გარემო ეკოლოგიურ პირობებს. აქვს საშუალო სიდიდის, კონუსური ან განიერ-კონუსური მოყვანილობის ხშირად განტოტვილი, მხრიანი მტევანი და მომრგვალო-მომსხო, ოდნავ ოვალური ფორმის, მომწვანო-მოყვითალო ფერის მარცვალი, რომელიც სრულ სიმწიფეში მზის მხარეს ყავისფერი ლაქებით იფარება. საგვიანო პერიოდის ჯიშებს განეკუთვნება, მწიფს ოქტომბრის მეორე ნახევრიდან. შაქრიანობა 20-25%, მჟავიანობა 7,5-9,5%. მისგან მზადდება ადგილობრივი და ევროპული ტიპის მაღალხარისხოვანი, სუფრისა და ბუნებრივად ნახევრად-ტკბილი ღვინოები: "ტვიში" "სვირი" და ა.შ.
16. **ციცქო** - აბორიგენული, თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში. ხარობს დასავლეთ საქართველოში, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, აფხაზეთი, გურიისა და აჭარის რეგიონებში. სუსტია სოკოვან დაავადებათა მიმართ. აქვს საშუალო სიდიდის კონუსური ან ცილინდრულ-კონუსური მოყვანილობის მტევანი და ასეთივე საშუალო ფორმის, მომრგვალო ან ოდნავ ოვალური, სრულ სიმწიფესში მომწვანო-მოყვითალო შეფერილობის მარცვალი. შაქრიანობა 18-25%, 7-10,5%. მისგან მზადდება ნახევრად მშრალი და შუშხუნა ღვინო.

### 3.5.7. რაჭული ყურძნის ჯიშები

1. ძველშავი -რაჭაშიც მოიპოვებოდა
- 2.ყორნის-თვალი - შავი იყო (ილ. ბახტაძე)
- 3რკო - შავი ყურძნის ჯიში (ყანდურალოვი)
- 4ფეროვანი - შავი იყო (ილ. ბახტაძე)
- 5ალეში - მოვარდისფერო ყოფილა(ყანდურალოვი)
- 6.საფერავი - (ყანდურალოვი იქვე )
- 7.საფერი - მუქი წითელი, რომელსაც საჭმელად იყენებდნენ.
- 8.შავი კაპისტონი - გრძელმარცვლიანი, რომელიც რაჭაში ბევრგან იყო გავრცელებული. მისგან ღვინოსაც აყენებდნენ.
- 9.ალექსანდროული - მდ. რიონის ხეობაში მდებარე სოფლებში იყო გავრცელებული
10. რცხილა - ს. ხიმშა და წესში იყო უმტავრესად გავრცელებული
11. ალადასტური - შავი ყურძნის ჯიში (ყანდურალოვი)
12. არაბოული - შავი ყურძნის ჯიში იყო (ილ. ბახტაძე)
13. ნაგუთნული - შავი ყურძენი ( ვ .ფოფხაძე)
14. ხოტევეური - შავი ყურძენი
15. მუჟურეთული - შავი ყურძენი, ღვინოსაც აყენებდნენ მისგან.
- 16.სამაჭრია -შავი, წვრილი და ტკბილი მარცვალი ჰქონდა

### თეთრი ყურძნის ჯიშები რაჭაში

რაჭაში შემორჩენილი თეთრი ყურძნის ჯიშების შესახებ მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება ამიტომ მხოლოდ მათ ჩამოთვლაზე შევჩერდებით:

1. რქაწითელი - კახეთიდან იყო შეტანილი
2. ცხენის-ძუძუ - ღვინოში შესარევად იყენებდნენ
3. მელისკუდი - (ილ. ბახტაძე)
4. თითა - (ვ. ფოფხაძე)
5. წიწილიანი-(ილ. ბახტაძე)
6. უწყვეტი -(ვლ. ფოფხაძე)
7. ბუტკუ - (ვლ. ფოფხაძე)
8. დონდლაბი -(ვლ. ფოფხაძე)
9. მწვანე-(ილ. ბახტაძე)
10. თეთრი-კაპისტონი ( ს. თომადის და ვლ. ფოფხაძის ცნობით)
11. თეთრა
12. წნიდა თეთრა

13. წულუკიძის თეთრა
14. ლაბილარის თეთრა
15. კახური
16. კუდურაული
17. ჩიგინაური
18. ბერაულა
19. უსახელო
20. თხმორულა
21. მობაზური
22. მეგრელაური
23. მეკენჩხალა
24. ჭროჭინა
25. სადმელური
26. თხრუმუნა
27. საკმეველა
28. თბილული
29. ციცქა
30. ცოლიკაური
31. კრახუნა

### 3.5.8. სამეგრელოში შერჩენილი ყურძნის ჯიშები

სამეგრელოში ასევე მოიპოვებოდა ყურძნის შემდეგი ჯიშები, რომელზეც ასევე მცირე ინფორმაცია მოგვეპოვება, ამიტომ ხშირ შემთხვევაში მხოლოდ მათი ჩამონათვალით დავკმაყოფილდებით.

1. ხარდანი - მრგვალი, კვერცხისებრივი მარცვალი ჰქონდა( ერმ. ნაკაშიძე)
2. შონური - სამეგრელოში ოჯალემის სახელით იყო ცნობილი
3. აიკიდო - თვისებები არსადაა აღწერილი, კინჩხაში, გორდის, მარტვილის, ნახუნოვის სოპლებში მოდიოდა.
4. გრები- მაღალ სოფლებში იყო გავრცელებული
5. ტოროკუჩხი - მისი ყურძნისგან კარგი ღვინო დგებოდა.
6. კერთოლი - სენაკში, ნოქალაქევსა, და გეჯეთის სოფლებში იყო გავრცელებული.
7. დედოფლის კითი - გავრცელებული ყოფილა ხორშში, ნოქალაქევსა გულიეკარსა და სხვა სოფლებში.
8. დღუდღუში - მცირე რაოდენობით იყო სამეგრელოში გავრცელებული
9. სამანჭრო - ყველა სოფელში მოიპოვებოდა

10. სამჭაჭა - საჭილაოში იყო გავრცელებული
11. ჭითაში - საჭილაოში და საჭყონდიდელოში იყო გავრცელებული
12. ტუტაში
13. პუმპულაში
14. კოლოში
15. პანეში
16. გოდავათური
17. მაჭკვატური
18. მახვატელი
19. კეთილური
20. კიკაჩა
21. ტოვანი
22. ჩხოროკუნი
23. მაზრა
24. ოქონა
25. კუტალა
26. ლაბილური
27. ქველები

თეთრი ყურძნის ჯიშები სამეგრელოში

1. მწვანე
2. ზერდაგი
3. ჩეში
4. ჩხუჩეში
5. ჩაჭიბეში
6. ჩერგვალი
7. ჩეკოლოში
8. ჩეკში
9. ხარდანი
10. ჭვიტილოური
11. ცხინკილოური
12. ეგერბეული
13. მაური
14. კვაწახური
15. ოპოპი
16. ციცკა

### 3.5.9. გურიაში შემორჩენილი ყურძნის ჯიშები

#### წითელი, ვარდისფერი და შავი

1. ძელვაში
2. ხემხო
3. აიკილო
4. მტევანდიდი
5. ჯუმუტა
6. კუმუშა
7. მცვივანი
8. მცვინარა
9. ხარისთვალა
10. ღორისთვალა
11. ცხენის-ძუძუ
12. მტრედის-ფეხი
13. წითლიანი
14. შავყურძენა
15. ხარდანი
16. საფერავი
17. სამაჭრე
18. სამჭაჭა
19. საკვირჩხილა
20. ბადაგი
21. ბერძულა
22. ჩხაბერძული
23. ჩხავერი
24. სამჩხავერა
25. ალადასტური
26. ჯანის
27. სხიალობანი
28. კამური შავი
29. მახატური
30. მანდიოკური
31. ოცხანური
32. კეთილური
33. მაგანაყური

34. ოფოურა
35. კიკაჩაი
36. ორონა
37. ჩუპეში
38. მაკურენჩხი
39. ჭოდი
40. კოლოში
41. მახიშხა
42. კორძალა

### თეთრი ჯიშები

1. თქვლაფა
  2. დონდლო
  3. თითა
  4. ღორისთვალა
  5. მჭვანე
  6. თეთრი ყურძენი
  7. თეთრიშა
  8. საკმეველა
  9. სამაჭრე
  10. სამარხი
  11. ათინურჯი
  12. ქვაფათური
  13. კლარჯული
  14. ზეთანური
  15. მაური
  16. წიაღომინა
  17. კაპისტონი
  18. კიკაჩაი
- 3.5.10. აჭარული ყურძნის ჯიშები

1. ხარისთვალა
2. ცხენის-ძუძუ
3. ჩხავერი
4. მეკრენჩხი
5. ჯინეში



6. ჭოდი
7. საწური
8. მატანური
9. მახატური
10. ორონა
11. მტევანდიდი
12. შავი ყურძენი
13. შავშური
14. პოვნილი

### თეთრი ყურძენი

1. ხოფათური
2. კლარჯული
3. მწვანე
4. წვიტე
5. ჩიჭიბე
6. ბალის ყურძენი
7. ჩხუმი
8. ბროლა
9. ბუტკოი
10. ბურძღლა
11. თეთრი ყურძენი
12. ლიკანა ყურძენი

როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გავრცელებული იყო ვაზი. ვაზის ჯიშები კი თითოეულ კუთხეში საკმაოდ მრავლად იყო. დღესაც კი არ არის კარგად შესწავლილი ზემოდნახსენები ვაზის ჯიშები, მითუმეტეს, რომ მათი დიდი ნაწილი ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ გადაშენდა სხვადასხვა მიზეზების გამო. თუმცა გეოგრაფიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მასალების გაცნობას, რომელიც არსებობს სხვადასხვა წყაროებში.

## IV თავი. სასოფლო-სამეურნეო არეალები საქართველოში

### 4.1. სასოფლო-სამეურნეო არეალები ძველ საქართველოში

საქართველოს სასოფლო სამეურნეო არეების შესახებ ინფორმაციის ამოკითხვა მხოლოდ ვახუშტის თხზულებებში მიმოვანტული ინფორმაციის ამოკრების შედეგად არის შესაძლებელი. ინფორმაცია საკმაოდ მწირია და მოიცავს კახეთს, ქართლსა და დასავლეთ საქართველოს.

#### კახეთ-ჰერეთის კუთხის ბოტანიკურ-აგრონომიული არეები

ვახუშტის გადმოცემით კავკასიონსა და ალაზანს შორის მოქცეული კახეთი, მეტად ნაყოფიერი ადგილი ყოფილა. იქ უხვად მოდიოდა მარცვლეული, ვენახი, ხეხილი, აბრეშუმი, ბრინჯი, განსაკუთრებით კი ბამბა. კახეთის ტერიტორია ზაფხულში საკმაოდ ცხელი, ზამთარში კი თბილი ამინდები ყოფილა და თოვლი არ მოდიოდა.

გარე კახეთში, მანავიდან ქიზიყამდე ცივ გომბორის მთაზე ყოფილა შენობა ნაგებობები, ვენახისა და ხეხილის ბაღები. იორისაკენ ყოფილა სახნავი ადგილები, თუმცა რაკი მთაში მდინარე არ იყო, ეს ადგილები ვერ ირწყვებოდა, ამიტომ ეს კუთხე უწყლოობით ხასიათდებოდა.

საცხენისისა და ლოჭინის სამხრეთით მდებარე და სართიჭალამდე და გარეჯის მთამდე გადაჭიმული „სამგორის ველი და ჩადვირი“ ბუნებრივად „ბალახოვანი და უწყლო“ იყო. (ვახუშტი, გეოგრაფ, 304).

შიდა კახეთი მე-18 საუკუნის დამდეგსაც ვენახებით და ხეხილით ყოფილა სავსე. აქ შედარებიც მცირე ყოფილა ტყე და ველები. შენობა-ნაგებობები კი უმთავრესად მთის ძირში იყო აშენებული.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რორმ სავარაუდოა კახეთი ტერიტორია უწინ ტყით არ ყოფილიყო დაფარული, ამას მოწმობს ვახუშტის აღწერაც. ტყის მასას ხეხილი შეადგენდა და ტყის მოჭარბებული ხეხილიანობა ნასოფლარების წყალობით უნდა იყოს გაჩენილი.

ვახუშტი ასე ახასიათებს კახეთის თემს: „უმეტეს კახეთის ადგილთა... ტყითა, ველითა, მოსავლის ნაყოფიერებითა, ვენახითა, ხილითა“ იყო განთქმული. მისი ხილიანობა იმდენად დიდი იყო, რომ „ტყენიცა ხილნარით სავსე არიან“ - ო. (ვახუშტი, გეოგრაფ, 322).

ვახუშტის მიხედვით „იორის პირსაცა ზედა მრავალსა სთესვენ ბრინჯ-ბანბასა“-ო. (ვახუშტი, გეოგრაფ, 322-324).

პანკისის ხეობის დაბლობი ადგილები დაფარული ყოფილა ვენახით, ხილით, მარცვლეულით, ბრინჯით.

ჯვრის მონასტრიდან მოყოლებული „გრდანამდე არს ველი მთასა და მტკვარს შორისი და არს დაბნები მთასა შინა მცირე წყაროთი, უვენახო, უხილო“. (ვახუშტი, გეოგრაფ, 302).

მარტყოფი ვენახებით და ხილით ყოფილა სავსე, საგურამო - ხილით, ვენახით, მარცვლეულით, ბრინჯით, ბამბით.

ბოჭორმიდან უჯარმამდე ხეობა მთიანი და კლდოვანი ყოფილა. ვახუშტის ცნობით ოსეთი მოსავლით და ნაყოფიერებით ყოფილა დატვირთული.

ვახუშტის დახასიათებული აქვს კახეთის ჰავაც. კახეთი და ქიზიყი ხასიათდებოდა რბილი კლიმატით. ზაფხული ყოფილა ცხელი და მშრალი, ზამთარი კი - თბილი. თოვლი მოდიოდა ცოტა. ამინდები იყო უქარო. ალაზნისა და იორის ნაპირები კი ხასიათდებოდა მაღალი ტემპერატურით და მძიმე პირობებით.

### ქართლის ბოტანიკურ - აგრონომიული არეები

ვახუშტის თავის ნაშრომში, ქართლის შესახებ, დაწვრილებით და ზედმიწევნით აქვს ცნობები მოცემული.

დებედას ხეობაში, რომელსაც შემდგომ ბორჩალო ეწოდა, ზაფხული ცხელი და გაუსაძლისი იყო, ზამთარი კი - მშვენიერი. ნიადაგი ნაყოფიერი იყო კლიმატური პირობების წყალობით. უხვად მოდიოდა ბრინჯი, ხორბალი, ფეტვი, ბამბა, თამბაქო, სელი, კანაფი, ნესვი, კიტრი, პამინდორი და უამრავი სხვა ბოსტნეული და ხეხილი. დებედას ხეობის ზემო ნაწილი ტყის ხეობის ვიწრო ხეობას წარმოადგენდა. იქაც იყო ვენახი, ხეხილი, ბროწეული, ლელვი, თუმცა ლორის ციხის ზემო ნაწილი საუცხოო ყვავილნარი ყოფილა. ხოლო იმაზე უფრო ზემოთ აღარ მოდიოდა ხორბალი და სელი და ზამთარში ცხვარი და სხვა საქონელი მხოლოდ თივით იკვებებოდა.

სომხეთისა და საქართველოს გამყოფი ბამბაკ-ერევნის მთები მუდამ თოვლიანი, მისი კალთები კი და ტყით ყოფილა დაფარული. (ვახუშტი, გეოგრაფ, 140).

ვახუშტის დროს ალგეთის შესართავის ჩრდილოეთით იალღუჯამდე მტკვრის პირას ბამბა, ბრინჯი, და ყოველგვარი მცენარეულობა მოდიოდა. (ვახუშტი, გეოგრაფ, 140).

კუმისის მინდორზე კი ბრინჯი, ბამბა, კანაფი. თვით დაბა დაფარული ყოფილა ვენახით, სა სხვადასხვა ხილით: ბროწეულით, ლელვით და სხვა (იქვე, 176).

სკვირეთის ანუ ვერეს ხეობა დიდგორისაკენ „ არს უვენახო, უხილო ვანათამდე, ამის იქით ვენახოვანი, ხილიანი, ტყიანი, ნადირიანი, ფრინველიანი“ (იქვე, 176).

სამშვილდის ქვემოთ სხვა ადგილებთან შედარებით უკეთ ხარობდა ბროწეული, ლელვი ზეთისხილი, და სხვა ხილი, ეს ფაქტი იმითაც აიხსნება, რომ ზამთარი თბილი იყო და ზაფხული ცხელი.

კლდეისის და ძველი გომარეთის ხეობები უვენახო და უხილო ყოფილა. ტაშირი ზაფხულში მშვენიერი და ყვავილიანი ყოფილა, მაგრამ ზამთარი მეტად თივლიანი. ამის

გამო ამ ადგილებში მოიპოვებოდა ხორბალი, ქერი, შვრია, მაგრამ არ ხარობდა ვენახი და ხეხილი.

მესხეთზე ანუ იმ მიწა წყალზე რომელსაც ძველად ზემო ქართლიც ეწოდებოდა, ისეთი დაწვრილებითი ცნობები, როგორც ვახუშტის შიდა ქართლზე აქვს მოცემული, არ მოგვეპოვება ეს აიხსნება იმით, რომ მესხეთი იმ დროს ოსმალეთის ხელში იყო და როგორც ივ. ჯავახიშვილი თვლის მას პირადად ეს მხარე ნანახი არ ექნებოდა.

ვახუშტი ხეპინის ხევის შესახებ ამბობს, რომ იქ მოიპოვებოდა ხილი, მაგრამ არ იყო ვენახი, ასეთი ყოფია სადგერის ხეობაც, თორ-გუჯარეთის ხეობაც, სადაც მოიპოვებოდა მთის ხილი და იყო ტყე უამრავი წყარო.

სამცხის ანუ ლაღოსა და გურია აჭარის მთები იყო მარად თოვლიანი. არსიანის მთა კი „თხემთა უტყეო და კალთათა ტყიან... „თოვლიანი, ყინულიანი მარადის, ბალახოვანი, შამბანოვანი“ (94-96).

სამცხე შუაგულში მართალია ყოფილა ქვიანი, გორიანი, და კლდოვანი, მაგრამ იქ ბუნების მრავალფეროვნებაც მაინც იყო. იქ უხვად მოიპოვებოდა ვენახი, ხილი, მარცვლეული. იყო ნაყოფიერი ადგილები.

ქ. ახალციხეში მშვენიერი ჰავა ყოფილა. ზამთარი იყო ცივი და თოვლიანი, ზაფხული კი საკმაოდ ცხელი. ქალაქის ირგვლივ იყო ვენახი და სხვადასხვა ხილის ბაღები.

იმის გამო რომ, ზოგადად სამცხე-ჯავახეთი გამოირჩეოდა მკაცრი კლიმატით ვახუშტის ამ მხარის ბევრი ნაწილი დახასიათებული აქვს, როგორც უტყეო, უვენახო, უხილო.

მესხეთის დასავლეთ ნაწილი ანუ აჭარა ვახუშტის დახასიათებული აქვს, როგორც ვენახიანი, ხილიანი. იქ უხვად მოიპოვებოდა ბრინჯი, ბამბა და სხვადასხვა მარცვლეული.

შავშეთი ტყიანი, მთა-გორიანი ადგილი ყოფილა. გამოსაგეგი მიწების სიმცირის გამო იქ ფართოდ არ ყოფილა გავრცელებული მევენახეობა და მესაქონლეობა.

ჭოროხის ხეობის ადგილები კი ისეთი კლიმატისა და ადგილმდებარეობის ყოფილა იქ ყველაფერი მოდიოდა.

ლიკანის ხეობაში ფართოდ მოდიოდა ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული, ლეღვი. ამ ადგილებში მოდიოდა სხვადასხვა მარცვლეული, მაგრამ ხეობის სივიწროვე და გამოსადეგი მიწების სიმცირე მაინც საგრძნობი იყო, ამიტომ მეხილეობა და საველე მეურნეობაც შეზღუდული იყო. სივიწროვის გამო ვერ თესავდნენ ბრინჯსა და ბამბას.

კლარჯეთი და არტანუჯი მთიანი ადგილი იყო. ტყით დაფარული. ნიადაგი ნაყოფიერი იყო. მოდიოდა ვენახი და ხილი, თუმცა სახნავ-სათესი მიწების სიმცირის გამო სასოფლო სამეურნეო პროცესები ფართოდ არ მიმდინარეობდა.

ტაოში მოიპოვებოდა მალლობი ადგილებიც და დაბლობებიც. ამის გამო ზოგიერთ ადგილას მოიპოვებოდა ხილი და იყო ვენახი ზოგიერთი კი მხოლოდ ქვიანი და გორიანი ყოფილა.

ბასიანი საკმაოდ მაღლობზე ყოფილა და ამით იქ უტყეო, უმოსავლო, უხილო ადგილები ყოფილა.

თრომის ხეობა შემკობილი იყო როგორც მთით ასევე ბარით. ამიტომ ზოგიერთ ადგილას მოდიოდა მოსავალი, ზოგან კი არა.

## დასავლეთ საქართველოს ბოტანიკური არეები

ვახუშტი ასევე მნიშვნელობან ცნობებს იძლევა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების შესახებ. ხეფინის ხევი მოსავლიანი და ხილიანი ყოფილა, თუმცა ქართლისაგან განსხვავებით იქ მოჰყავდათ უფრო მეტი ხურმა, ლომი. თესავდნენ ბევრ სიმინდს. ჩრდილისა და ნუნისის ხევი ყოფილა ხილიანი და ვენახიანი.

საჯავახოს ხეობა გურიაში, ვახუშტის ცნობით, იყო „მოსავლიანი ყველთა მარცვლითა ხილ-ვენახითა“ (გვ. 352)

ვახუშტის ცნობით, გურია გამოირჩეობდა კარგი კლიმატური პირობებით. ზაფხული იყო ცხელი, წვიმიანი, ნოტიო, ხოლო ზამთარი - თბილი, დიდთოვლიანი. გურიაში განვითარებული იყო მეხილეობა და მევენახეობა. მოდიოდა სხვადასხვა მარცვლეული. თესავდნენ თითქმის ყველაფერს ბამბის გარდა.

### 4.2. სასოფლო - სამეურნეო კულტურების გავრცელების თავისებურებანი

თუ გავიხსენებთ ვახუშტის მიერ საქართველოს მოსავლიანობა- ნაყოფიერების შესახებ დახასიათებას და ასევე ქართულ - უცხოური წყაროების ცნობებს, საქართველო შეგვიძლია დავყოთ არეებად იმის მიხედვით თუ სად რომელი კულტურა მოდიოდა, რის შედეგადაც ჩვენს თვალწინ შემდეგი სურათი შეიქმნება.

**1. თურინჯ- ნარინჯის არე:** საქართველოში შავი ზღვის სანაპიროზე ყოფილა მხოლოდ. ბართომის მიდამოებში, გონიას, ერგეს, ლიგანის ხეობაში თურინჯი, ნარინჯი და ზეთისხილი ყველგან ხარობდა

**2. ბრინჯ - ბამბის არე:** დასავლეთ საქართველოშიც იყო, მაგრამ უფრო მეტად ლიხთ - ამერეთის აღმოსავლეთ სანაპირო თემში. ბრინჯ ბამბის არედ გაღმა კახეთი, განსაკუთრებით კი ენისელი ითვლებოდა, გარე კახეთში კი - ივრის სანაპიროები.

დასავლეთ საქართველოში ბამბის მოყვანაც ოდიშში და გურიაში მისდევდნენ. გურიაში შედარებით ნაკლებად მისდევდნენ, სამაგიეროდ ოდიშში ისეთი ჰავა ყოფილა, რომ იქ ეს მცენარე მოურწყავადაც ხარობდა.

**3. ვენახ - ხილიანის არე:** ამ არეს საქართველოში საკმაოდ ფართო ასპარეზი

ეკავა.

გარე კახეთში - მანავიდან მოყოლებული ქიზიყამდე, შიდა კახეთში ცივ-გომბორის მთის შუა კალთამდე. გაღმა კახეთში პანკისის ხეობის დაბლობი პანკისამდე. ერწო - თიანეთის მთებამდე, მარტყოფი და საგურამო.

ქართლში დებედას ხეობის ზემო ზოლი, კომისის მინდორი, ქციის ხეობა, დიის ველის მინდორი, დბანისის ხეობა დბანისამდე, სკვირეთის ანუ ვერეს ხეობა ვანთამდე, ფოცხვერიანის, ირაგას, ჭივჭავის ხეობათა ქვედა ნაწილი, ხუნანის საერისთავო ანუ სომხეთი. ბალიჭის ხეობა, გეტის, ქვეშისა და კაზრეთის ხეობანი.

შიდა ქართლში - დამჩხერლოთგან თბილისამდე გადაჭიმული ზოლი, მეტეხ-სასირეთის, დოესის ხოვლის მინდვრები, ტანის ხეობა, სკრისა და ხვედურეთის ხეობები, ძამათის ხეობა გვეძინეთამდე. ბაზალეთის თემი გრემის ხევამდე, ნარეკვავის ხეობა, მუხრანის ველი, ქსნის ხეობა მტკვრიდან ზებეყურ - წირყვილამდე, მეჯუდის ხეობა, პატარა ლიახვისა და კვერნაქს - შორისი მინდორი, დიდი ლიახვის ხეობა მტკვრიდან სვერამდე, გორიდან სურამამდე გადაჭიმული ზოლი, დვანეთის, მოხისის, ქვიშხეთის ხეობა.

ქართლის ზემონაწილი ანუ მესხეთის აღმოსავლეთ ნაწილი თავისი ადგილმდებარეობის გამო უმეტესწილად უვენახო და უხილო ყოფილა. თუმცა ვენახ - ხილმარ არედ მაინც ყოფილა: მტკვრის ხეობა სადგერიდან ლიკანამდე, სამხრის დაბლობი ადგილები ახალციხესთან ერთად.

შავი ზღვისაკენ აჭარა, ბირჩხის ხეობა, შავშეთისა და კლარჯეთის თემები, ოლთისის ხეობა, ნარუმაკამდე, ტაოს დაბლობები და თორთომის ხეობა ხახულამდე.

ლიხ - იმერეთში ჩხერიმელის, ჩრდილისა და ნუნიას ხეობები, ფერსათი, საჩინო, მთელი გურია, არგვეთი, სამოქალაქო, ოკრიბა, ვაკე, სალიპარტიანო, რაჭა კუდარომდე და ჭიდროთამდე, ლეჩხუმი, აფხაზეთი.

**4. უვენახ - ხილო არეს** კახეთში ცივ - გომბორის ზემოთ მდებარე ნაწილი შეადგენდა, პანკისის ზემოთ მდებარე ადგილები. თიანეთის ზემოთ მდებარე მთები. უჯარმიდან ბოჭორმამდე გადაჭიმული მთელი მანძილი. ფშავ - ხევსურეთი და თუშეთი.

ქვემო ქართლში უვენახო - უხილო არე სამშვილდიდან იწყებოდა. დბანისიდან მოყოლებულ სათავემდე, სკვირეთის, ანუ ვერეს ხეობაში ვანათს ზევით მდებარე ნაწილი, კლდეისისა და ძველი გომარეთის ხეობები მთლიანად, ირაგის ხეობა, ჭივჭავის ხეობის ზედა ნაწილი, ფინეზაურის ხეობა, ბალიჭის ხეობა აბულმუგზ ზევით, ზურტაჯერტის ხეობა მთლიანად.

მესხეთის უდიდესი ნაწილიც უვენახ - ხილო არეს წარმოადგენს, სადგერის ხეობა, თორ - გუჯარეთის ხეობა, შაორი, თავკვეთილი, თაბისყური, ირჯანი, ღადოს მთები.

დასავლეთ საქართველოში ღადოსა და გურიის მთების ზედა, ტყიანი ხაზი, რაჭაში შქმერი, ჯეჯორის ხეობა კუდაროს ზევით, რიონის ხეობა ჭიდროტას ზევით, სვანეთი.

უვენახო - უტყეო არეს ზემოთ უკვე საზაფხულო საძოვრების არე იწყებოდა. **უტყეო ბალახ - ყვავილოვან არეს** წარმოადგენდა თრიალეთი, გუდამაყრის

ხეობა, დვალეთი, ჯავახეთი, ფოსო, ერუშეთი, არტანუჯი, კოლა.

#### 4.3. სოფლის მეურნეობის ზონალობის ეკონომიური მნიშვნელობა

საქართველოს მიწა - წყალი მთებით და მდინარეებით არის შემოსაზღვრული. საქართველოს სასოფლო - სამეურნეო არეების განხილვას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიური ფაქტორის განვიტარების მხრივ.

თურინჯ - ნარინჯისა და ბრინჯ - ბამბის არეები საქართველოში მხოლოდ აღმოსავლეთ და დასავლეთ კიდეებზე მოიპოვებოდა. მთელი დანარცენი ტერიტორია კი ვენახს და ხილს ეკავა. იყო ისეთი ადგილები, რომლებიც თავიანთი ადგილმდებარეობის გამო შედარებით მოუსავლიანი იყო.

უვენახ-ხილო ადგილები ერთის მხრივ მარცვლეული კულტურების მოსაყვანად გამოიყენებოდა, ხოლო მეორეს მხრივ საუცხოო საძოვრების პუნქციას ასრულებდა, რას ასევე მესაქონლეობის განვითარებას უწყობდა ხელს. ასეთი საძოვრების სიუხვით განსაკუთრებით სამხრეთ საქართველო გამოირჩეოდა.

ამიერკავკასიაში გადმოსახლებულ ქართველთა ტომებს მარალხარისხიანი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის კულტურა ჰქონდათ, ისინი განთქმულნი იყვნენ მეღვინეობითა და მესაქონლეობით, ამიერკავკასიაში მათ სულ სხვა ბუნებრივი პირობები დახვდათ.

ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება მინც ის იყო, რომ ტერიტორიები საშუალებას იძლეოდა მოსახლეებს ეწარმოებინათ როგორც მიწათმოქმედება, ასევე მეხილეობა, მევენახეობა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები განევიტარებინათ. ის ადგილები, რომლებიც მევენახეობა-მეხილეობისათვის გამოუსადეგარი იყო ხერბლეულისა და სხვადასხვა მარცვლეულის დასათესად გამოიყენებოდა.

ასეთი განსხვავებული სასოფლო-სამეურნეო და ბოტანიკური არეების წყალობით მოსახლეობას ყველაფერი ის რაც სჭირდებოდა არ ჰქონდა. მაღალმთიან მოსახლეობას არ ჰქონდა ვენახები და ხეხილის ბარები და პირიქით ბარის მოსახლეობას არ ჰქონდა იმდენი მარცვლეული, როგორც ეს მთის მოსახლეობას.

წვრილფეხა საქონელს მაღლობი ადგილების სუსხიანი ზამთრის გაძლება არ შეეძლო. ამიტომ ზამთარში ცხვრის ფარას ბარის თბილი და საძოვრიანი ადგილები აუცილებლად სჭირდებოდა. თავის მხრივ ბარის მოსახლეობას ზაფხულობით წვრილფეხა საქონლის ბარად დატოვება არ შეეძლო სიცხის გამო, თანაც არ იყო იმდენი საძოვარი ადგილი როგორც მთაში, ამიტომ მოსახლეობა ზაფხულში ცხვარს მთაში მიერეკებოდა.

ბარში მცხოვრებ ადამიანს სჭირდებოდა მთის გამოყენება და პირიქით. ამიტომ გეოგრაფიული პირობების გამო მთა და ბარი თავიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან





## დასკვნა

1. ნაშრომში განხილულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ეტაპები. დადგენილია, რომ აქ ათასწლეულების მანძილზე მაღალ დონეზე განვითარდა სოფლის მეურნეობის ის დარგები, რომლებიც ევროპისა და აზიის სუბტროპიკული და ზომიერი სარტყლების, ნოტიო და თბილი, ცხელი და მშრალი კლიმატის ტიპებისთვის იყო დამახასიათებელი. ქართული ვაზი და ხორბალი, ხილი, ციტრუსი, ფუტკარი, შინაურ ცხოველთა არაერთი სახეობა (ძროხა, ცხენი, ცხვარი, ღორი და სხვ.), მაღალი კვებითი თვისებებით თუ ენდემიზმით, მთელ მსოფლოშია ცნობილი. ამგვარი ვითარება უკავშირდება როგორც ბუნებრივ მრავალფეროვნებას, ისე ქართველი კაცის გონიერებას და პატრიოტიზმს.

2. თანამედროვე საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს ეკონომიკური გარდაქმნები, მიწათსარგებლობის რევიზია, სოფლის მეურნეობის რეგიონული სპეციალიზაციის მორგება საბაზრო ეკონომიკაზე და ა.შ. მიუხედავად ამისა, ქვეყანა აგრარული მიმართულებით სტიქიურად ვითარდება. მოსახლეობას პრაქტიკულად არ გააჩნია ინფორმაცია სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების და მათი მნიშვნელობის შესახებ. არადა, ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ და ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსის“ მრავალ საყურადღებო ცნობას გვაწვდის საქართველოს მეურნეობის იმ ტრადიციების და მიმართულებების შესახებ, რომელთა გათვალისწინებამ არსებითი როლი შეუძლია ითამაშოს ქვეყნის სასურსათო კრიზისიდან გამოყვანის საქმეში. ნაშრომის სამეურნეო მნიშვნელობიდან და ყოვლისმომცველობიდან გამომდინარე, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ამ მიმართებით ივანე ჯავახიშვილი ვახუშტი ბაგრატიონის ღირსეულ შთამომავლად წარმოჩინდება.

3. ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ მრავალმხრივაა საყურადღებო. მასში მოცემულია უმნიშვნელოვანესი ცნობები საქართველოს მოსახლეობის აღწერის, დემოგრაფიული ვითარების, სასოფლო და საქალაქო დასახლებათა, ადმინისტრაციული დაყოფის (სადროშოების), სოციალური წყობის, ფინანსური ინსტიტუტების და ურთიერთობების, აღებ-მიცემობის, მეურნეობის ტიპების და გეოგრაფიული ნომენკლატურის შესახებ.

4. ივ.ჯავახიშვილის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ გეოგრაფიული ნაშრომების მიმოხილვას, რომელშიც მოცემულია საქართველოს გეოგრაფიული აღწერილობა. მასში წარმოჩენილია ძველი ბერძენი, რომაელი, არაბი, სპარსი, იტალიელი, გერმანელი, ფრანგი და რუსი სწავლულების, მოგზაურების თუ დიპლომატების დამსახურება საქართველოს მეურნეობის ისტორიული თუ გეოგრაფიული

თავისებურებების კვლევის საქმეში. ნაშრომის ეს ნაწილი ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცის შემწავლელთათვის საყურადღებო ცნობებს შეიცავს და დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

5. ივ. ჯავახიშვილი საყურადღებოდ აღწერს ბუნებრივ გარემოს და მეურნეობის წარმოების პირობებს. ამგვარ ინფორმაციას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საქართველოს ბუნებრივი პოტენციალის კომპლექსური შეფასებისთვის, ისე მეურნეობის განვითარებისთვის. ამგვარი შეფასება დღემდე პრაქტიკულად არ განხორციელებულა, რაც აქტუალური სამეცნიერო და მაღალი სამეურნეო დანიშნულების ამოცანაა.

დასკვნების სახით ასევე შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე საყურადღებო ვითარება. კერძოდ:

1. ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ერთი ჯგუფი (ბრინჯი, ბამბა) ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე და მათი მოყვანა წამყვან და საექსპორტო დანიშნულების დარგთა შორის იყო გაერთიანებული. ამჟამად ამ კულტურების მოყვანა პრაქტიკულად არ ხორციელდება.

2. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეორე ჯგუფი (ვაზი, ხორბალი, ქერი, ზეთისხილი და სხვ.) საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფართოდ და შესაბამისი სახეობების სახით იყო გავრცელებული, განაპირობებდა მაღალ და სტაბილურ მოსავალს. ამ ჯგუფის კულტურათა უმეტესი ნაწილი პრაქტიკულად მივიწყებულია, რაც მთელ რიგ სირთულეებს ქმნის სხვადასხვა რეგიონში მოსავლიანობის სტაბილიზაციის კუთხით;

3. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მესამე ჯგუფი (ბოსტნეული, ხილი) პრაქტიკულად შემორჩენილია საქართველოს თანამედროვე სოფლის მეურნეობაში და ხასიათდება მაღალი ხარისხობრივ-რაოდენობრივი მაჩვენებლებით. მიუხედავად ამისა, მათი ჯიშობრივი მახასიათებლების განვითარება აგრარული სექტორის აუცილებელი წინაპირობაა.

და ბოლოს, ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ და ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“ ჩვენი ქვეყნის აგროპოტენციალის და ტრადიციების კვლევის უშრეტი წყაროა, რაც არსებითი წინაპირობაა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. თხზულებები, ტომი 4-5. - თბ., გამომც. თსუ, 1981.
2. საქართველოს გეოგრაფია. -თბ., გამომც.თსუ, 2000, - 300 გვ.
3. ელიზბარაშვილი ნ. საქართველოს აგროპოტენციალი და ბუნებრივი რისკები. -თბ., შრომების კრებული:სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები. თსუ-ს გამომცემლობა, 2012,. გვ.175-179..
4. ელიზბარაშვილი ნ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია და თანამედროვეობა. სამეცნიერო კონფერენციის „ივანე ჯავახიშვილი 135“ მასალები. თბ. გამომც. თსუ, 2011, გვ79-81.
5. ნ.ელიზბარაშვილი, ბ.კუპატაძე. საქართველოს 100 ღირსშესანიშნაობა. - თბ., გამომც. კლიო, 2011, 120 გვ.
6. საქართველოს მეხილეობა, ტ. 1, თბ., 1969
7. მათიაშვილი ა., ქსე, ტ. 7, თბ., 1984
8. საქართველოს მეხილეობა, ტ. 3, თბ., 1973;
9. მ. ჯანაშვილი, საინგილო; ძვ. საქართ, 2 ტ
10. რამიშვილი მ., ამპელოგრაფია, თბ., 1970;
11. ქანთარია ვ., რამიშვილი მ., მევენახეობა, გამოც, მე-4, თბ., 1965;
12. ბერძენიშვილი ლ., ქსე, ტ. 7, გვ. 282, თბ., 1984
13. მენაღარაშვილი ა. , დარჩიაშვილი რ., ქსე, ტ. 6, თბ., 1983
14. ბარამიძე არჩ. მარუაშვილი ლ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4,1979 წელი.
15. ჯავახიშვილი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა/ თხზ 12 ტომად, VIII, თბილისი, 1945;
16. ბარამიძე ა., ძველი საქართველოს ქრონოლოგიის საკითხები XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში, «მაცნე» 1964, №4
17. გაბაშვილი ვ., ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1969;
18. მარუაშვილი ლ., საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის ფუძემდებელი ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1956;
19. ჯავახიშვილი ა., ვახუშტი ბაგრატიონი — გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, «ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები»,
20. საქართველოს ისტორიის ნარკვევები 8 ტომად
21. ანთელავა ი., ქსე, ტ. 6, გვ. 116, თბ., 1983
22. ბადრიშვილი გ., მემცენარეობა, თბ., 1981;
23. ლომოური ი., მარცვლეული კულტურები, ნაწ. 1-2, თბ., 1946-1950;
24. ჯაფარიძე ა., მემცენარეობა, თბ., 1975;
25. ბადრიშვილი გ., ქსე, ტ. 6, გვ. 568, თბ., 1983

26. ტერასული მევენახეობა საქართველოში გ. ბარისაშვილი
27. Жуковский П. М., Культурные растения и их сородичи, 3 изд., Л., 1971;
28. Прянишников Д. Н., Частное земледелие, 8 изд., М-Л., 1931;
29. John Emerson's biography of Chardin in *Encyclopaedia Iranica*.
30. Partial extracts from Dirk Van der Cruysse's *Chardin le Persan*, Fayard, Paris, 1998.
31. <http://ka.wikipedia.org>
32. <http://vazisjishebi.blogspot.com/>
33. <http://diaokh.wordpress.com>
34. <http://www.wineclub.ge/>